



ლიბეხანი

№ 120 / 17 - 23 დეკემბერი / 2012

ინტერვიუ კოტე კუბლაშვილთან **83. 10**

უნდა დანიშნოს თუ არა დიალოგი რუსეთთან? **83. 08**

ცენტრალიზებული თვითმმართველობა **83. 14**

შემცირებული საპროცენტო განაკვეთები **83. 24**

სახელმწიფო მონოპოლიები **83. 26**

ანგარიშში დაკარგული გარემო **83. 40**

პატარა ბეკეა და დიდი დიპლომატია **83. 56**

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2 ლარი



**სახელმწიფო
ღახუბების
პრინციპი**

83. 36

ՈՅՄՅԿՈՒ
ՁՆՆԵՐԻ ՆԻՆՈ
ՄՆԵՆՁՁՔՆԱՅԻՐՔԻ



	POS.	FREC.	STD.	SR.	FEC.
EUTELSAT 36B	36°	11446 H	DVB-S	2222	3/4
HOTBIRD 13A	13°	11585 V	DVB-S	27500	3/4
TURKSAT 3A	42°	12639 V	DVB-S	4070	5/6

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

რედაქტორები
ნინო ბექიშვილი
სოფო ბუკია

შურნალისტები:

ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მალალაძე, ლაშა ქავთარაძე, ქეთევან ლვედაშვილი

კონტრიბუტორები:

ვასო კუჭუხიძე, მანანა ვარდიაშვილი, ბექა ქურხული, პაატა ქურდაძე, კახა თოლორდავა, ვალერი ძუცუცი, ცირა გვასალია, ირაკლი ძნელაძე

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი
კორექტორი
თამარ ღონღაძე

გამომცემლობა:

ლიბერალი
ქეთევან ბაბუნაშვილი
გაყიდვებისა და გიგანტის
ბანკითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი
გაყიდვების მენეჯერი:
სოფო პაპუნაშვილი
მარკეტინგის მენეჯერი:
ელენე ხარაზაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ მამუჩიშვილი

შურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.



„გიგი სულაკაურმა დღეს თავი მოიკლა“ – ამ ამბით დაინწყო დღე. და უცებ ჩაჩუმდა ყოველდღიური, სრულიად მომაბეზრებელი ხმაური, თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ახალი ამბებით.

მეგობრის სახლში გავიცანი, სადაც მუხლ და ხელგადატყავებული მივედი, მივრბოდი და ქუჩაში ფეხი დამიცდა... სრულიად უცნობ ადამიანს, გამომყვა და ჭრილობის ჩამოსაბანად, ხელზე წყალს მისხამდა... მერე გვერდზე მომისვა, ჩემი სახე ხელეებში მოიქცია და მითხრა, „რა ლამაზი თვალები გაქვს, შენ, გოგო... საიდან?“

გამელიმა, დღეს ამ სტროფებს რომ გადავანყდი:

*„მანაც არაფერ ისურვებდა
გაეგო მისთვის,
შეესწავლა მისი თვალები,
ეს ხომ ძნელია,
და დამღლელი,
არის თითქმის შეუძლებელი...“*

მერე მის ლიტერატურულ საღამოზე ვიყავი, ლიტერატურის მუზეუმში, სცენაზე იჯდა უხერხულად, თავის ლექსებს კითხულობდა, პაუზებითა და ჩახლეჩილი ხმით და მივხვდი, რომ ჩემი პოეტი იყო. მერე მისი წიგნიც ვიყიდე, სადაც უკვე ფანქრით ხაზგასმული ბევრი სტროფია. ამავე პერიოდში იყო „ცხელი შოკოლადის“ გარეკანის გმირიც, ბევრისათვის მხოლოდ „გაბურძგნული კაცი“ პრილა უურნალის გარეკანზე.

ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე გადავანყდი – მეგობრების სახლებში, სრულიად არაფხიზელსა და ძალიან დაღლილ-დაქანცულს, ყოფისგან დაღდასმულს, ისეთს, როგორც შეიძლება იყოს დაღლილი, ცხოვრებასთან ნაბრძოლი კაცი... ოღონდ მანაც არ ავიწყებოდა ეთქვა, როგორ უყვარდა.

დღესაც, როგორც ყოველდღე, ბევრი ხმაური იყო – მძიმე სარედაქციო თათბირები, მედია-კოალიციის შეხვედრა ივანიშვილთან, გააჭანტურას გადადგომა და საზოგადოებრივი მაუწყებლის უკვე მარადიული თავსატეხი, მაგრამ ყოველ ჯერზე, ვბრუნდებოდი კომპიუტერის ეკრანთან და გულმოკლული ვუყურებდი ჩემთვის თითქოს უცხო ადამიანის, გიგი სულაკაურის შავ-თეთრ ფოტოს და ამაზე მნიშვნელოვანი, კარგა ხანია, მართლა არაფერი მომხდარა.

გიგი სულაკაურმა ჩემთანაც დატოვა კვალი, ისეთი კვალი, როგორსაც მაგარი ადამიანები, თავისდაუნებურად ტოვებენ ხოლმე.

დიდი მადლობა გიგის ამისათვის.

*„ჩემს ძმას,
უთხარი დედას,
რომ ამაღამ არ დამელოდოს
ჩრდილების სადგურს არ მოადგა
მატარებელი.
დაივიწყოს
მაგიდაზე დატოვებული ჩემი არჩივი
პურიც, ლეინოც, სიყვარულიც
ხელუხლებელი...“ – გიგი სულაკაური*


შორენა შავერდაშვილი



ვინ აჩიან პოლიტპატიმრები?


5 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ დეპუტატების წინაშე 215-კაციანი სია ჩაიკითხა.

ოპოზიციური პარტიების აქტივისტები, ყინწვისის, მუხროვანის, „ენვერის“ საქმეებთან დაკავშირებული პირები, ტელეკომპანია კავკასიაში შეჭრის გამო მსჯავრდებულები – ეს ადამიანები საქართველოს პარლამენტმა 77 ხმით 14-ის წინააღმდეგ პოლიტპატიმრებად ცნო.

 ზურაბ ვარდიამელი 83.32

"სამაბაილო" ხიზანი და ბაჰვიჩაი ღვინო


მას შემდეგ, რაც 2006 წლიდან რუსეთმა ქართულ ღვინოზე ემბარგო დაანესა, ყურძენს და რთველს საქართველოში პოლიტიკური ფასი აქვს. 2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების წინ, ყურძნის პოლიტიკურად გაძვირებული საფასურის დიდი ნაწილი ღვინის კომპანიებმა გადაიხადეს.

 მანანა ვარდიამელი 83.22

მუხა დათვი - ბიანონიხის სამიზნე


2009 წლიდან დღემდე არალეგალური ნადირობის ფაქტზე მხოლოდ 4 ადამიანია დაკავებული. მიუხედავად ამისა, საქართველოში ბრაკონიერობის შემთხვევები მაინც ფიქსირდება, მსხვერპლი ცხოველები „წითელ ნუსხაში“ შესული იშვიათი ჯიშის სახეობებია. მათ შორის არის მურა დათვი, რომელიც რეპროდუქციის დაბალი ტემპით ხასიათდება.



 სოფო აფციაური 83.46

ღამოუხილავობა - სასამართლოს მთავარი გამოწვევა


საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლების შტოთაგან სასამართლო ერთადერთია, რომელსაც ცვლილებები არ შეეხება, ელის თუ არა მესამე ხელისუფლება გავლენას პოლიტიკური რყევებისგან და რა არის მისი მთავარი გამოწვევა? – „ლიბერალი“ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კოტე კუბლაშვილს ესაუბრა.

 ზურაბ ვარდიაშვილი
33.10

ფოსტოქროსტაჟი

ფრანგული ანტი-კორიდა



 ირაკლი ძნელაძე
33.50-55

ნომერში:



- 04 მოკლედ
- 06 ციტატები
ორი აზრი
- 08 უნდა დანიშნოს თუ არა პირდაპირი დიალოგი რუსეთთან?
ირაკლი მენაღარიშვილი vs გიორგი კანდელაკი
პოლიტიკა
- 14 მაშველი რგოლის გარეშე
- 18 ნატო-ს მინისტრიალი და ქართული პერსპექტივა
რეგიონი
- 20 ერთი დიქტატურის ანატომია
ეკონომიკა
- 24 რამდენად რეალურია საპროცენტო განაკვეთების დაწვევა?
ჟურნალისტური გამოძიება
- 26 სახელმწიფო მონოპოლიები
საზოგადოება
- 36 სახელმწიფო ლატაკების პირისპირ
გარემო
- 40 ანგარიშში დაკარგული გარემო
კომენტარი
- 56 პატარა ბეკეკა და დიდი დიპლომატია
- 58 მზე და იდეოლოგიები
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 60 ისევ იმ ორი ქალაქის ამბავი

გამომცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ფლენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამომცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“
„ლიბერალის“ სააქტუო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაჭყალი:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

სიჩიის ოპოზიციის აშშ-მ დახმავებული ქაღალდი



აშშ-მა სირიის ოპოზიციური კოალიცია ოფიციალურად აღიარა სირიელი ხალხის ლეგიტიმურ წარმომადგენლად. ამის შესახებ ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა. მისი თქმით, სირიის ოპოზიციური კოალიცია საკმაოდ წარმომადგენლობითია და მასში საკმაოდ ფართო პოლიტიკური სპექტრია თავმოყრილი.

კოალიცია ლეგიტიმურ ძალად უკვე აღიარეს სპარსეთის ყურის ქვეყნებმა, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და თურქეთმა.

აქტივისტების განცხადებით, 18 თვის მანძილზე პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ გამოსვლებს ქვეყანაში უკვე შეენირა 40 000-ზე მეტი ადამიანი. გაეროს დევნილთა სააგენტოს ინფორმაციით კი ნახევარ მილიონზე მეტი სირიელი მეზობელ ქვეყნებს აფარებს თავს ლტოლვილის სტატუსით.

ოპოზიციური კოალიციის ლეგიტიმურად ცნობის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ABC News-თან საუბრისას დაადასტურა. მისი თქმით, ამ პოლიტიკურმა ძალამ უკვე საკმარისი გააკეთა საიმისოდ, რომ სირიელი ხალხის წარმომადგენელი იყოს, თუმცა, აღნიშნა ისიც, რომ აღიარება, აუცილებლად, გულისხმობს გაზრდილ პასუხისმგებლობასაც როგორც სირიელი ხალხის, ასევე საერთაშორისო თანამეგობრების წინაშე.

ჩინეთი უიხანში ახალი კოვიდ-19-ის შემთხვევების გამო

ჩრ. კორეის ახალი ამბების ცენტრალური სააგენტოს ცნობით, სატელი-

ტური Kwangmyongsong-3-ის განახლებული ვერსიის გამოცდა სოჰაეს კოსმოსურ ცენტრში 12 დეკემბერს წარმატებით დასრულდა. რაკეტა, ადგილობრივი დროით 09:49 სთ-ზე გაუშვეს, მან გეგმიური ტრაექტორია გაიარა და მოსალოდნელ ადგილას დაეშვა.

ჩრ. კორეის ტერიტორიაზე რაკეტის გაშვება აშშ-ის ოფიციალურმა სამსახურებმაც დაადასტურეს.

ამ ფაქტმა აშშ-ის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის შემფოთება გამოიწვია, რასთან დაკავშირებითაც ქვეყნებმა სპეციალური განცხადებებიც გაავრცელეს და ჩრ. კორეის ეს ქმედება აკრძალულ სამხედრო-სარაკეტო ქმედებად შეაფასეს.

აშშ-მ ჩრ. კორეის ქმედება „რეგიონის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციულ აქტად“ შეაფასა, გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა კი გაეროს რეზოლუციაში აღნიშნა, რომ ეს „ცხადი ძალადობა“ იყო. რაკეტის გამოცდამ იაპონიის განსაკუთრებული ყურადღებაც მიიპყრო და მან გაეროს უშიშროების საბჭოს მოწვევა მოითხოვა.

აღსანიშნავია, რომ ჩრ. კორეული რაკეტის გამოცდა ქვეყნის ლიდერის კიმ ჩენ ირის გარდაცვალების ერთი წლის თავს დაემთხვა, ერთი კვირის შემდეგ კი სამხრეთ კორეაში საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული.

ბაჩუსაონი მონის მთავრობის ბაჩანოსანსხილი პოლიტიკის ბაშო ახიხიკაბს

იტალიის არაერთგზის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ უკვე დაიწყო ფიქრი სახელმწიფო თანამდებობაზე დაბრუნებაზე, რაც მის პოლიტიკურ გააქტიურებაში გამოიხატა. გასულ კვირას მან იტალიის ამჟამინდელი მთავრობა გერმანოცენტრული პოლიტიკის გატარების გამო გააკრიტიკა.


სკანდალურად ცნობილი ექსპრემიერის კრიტიკა იტალიის ტექნოკრატულმა მთავრობამ და პრემიერმა მარიო მონტიმ მას შემდეგ დაიმსახურეს, რაც



ცნობილი გახდა, რომ მონტი თანამდებობის დატოვებას აპირებს. მას შემდეგ რაც ბერლუსკონის მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიის მხარდაჭერა დაკარგა, მონტიმ განაცხადა, რომ ის მაშინვე დატოვებს თანამდებობას, როგორც კი პარლამენტი საბიუჯეტო და ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას დაუჭერს მხარს. თუმცა, მისი თქმით, ის პოლიტიკიდან არ აპირებს წასვლას და ქვეყნის მართვასთან დაკავშირებულ დებატებში კვლავაც განაგრძობს მონაწილეობას იმის მიხედვით, თუ რა პოზიციაზე აღმოჩნდება მომავალი წლის არჩევნების შემდეგ.

"ბაიონისა და ოქსიჯენის ხელოვნური თანამდებობის ხელმძღვანელობა"

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი ამტკიცებს, რომ ქართველ პოლიტიკოსს, გივი თარგამაძეს არა მხოლოდ კავშირი ჰქონდა რუსულ ოპოზიციურ ძალებთან, არამედ ის პირდაპირ ხელმძღვანელობდა 6 მაისს რუსეთის დედაქალაქში მოწყობილ მილიონების მარშს. ამის შესახებ ინფორმაციას BBC-ის რუსული ბიურო ავრცელებს. საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენლის, ვლადიმერ მარკინის განცხადებით, მათ მიერ მოპოვებული მასალები შეიცავს მტკიცებულებებს, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ გივი თარგამაძე ოპოზიციის არა მხოლოდ ერთ-ერთი დამფინანსებელი იყო, არამედ უშუალოდ მონაწილეობდა რო-



გორც ბალოტნიას მოედანზე მომხდარი არეულობის დაგეგმვაში, ასევე მილიონების მარშის ორგანიზებაში. მარკინის განცხადებით, უახლოეს ხანებში საგამოძიებო კომიტეტი ქართულ მხარეს გაუგზავნის თხოვნას, რათა გამოძიების მიმდინარეობაში ისიც ჩაერთოს.

უკრაინის ახალი პარტიის ჩხებით ბიზნსი

უკრაინის ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სესია არეულობით დაიწყო. მმართველი პარტიისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის სპიკერის ტრიბუნამდე მისაღწევად ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ოპოზიციის ორი წარმომადგენელი, მამა-შვილი, ალექსანდრ და ანდრეი თაბალოვები სახელისუფლებო ფრთაში გადასვლას გეგმავდნენ, რის გამოც მათ ფიცის დადების საშუალება არ მისცეს და დარბაზიდან გააძევეს. „ეს ადამიანები მოლაღატები არიან. ისინი იფიცებენ ბიბლიაზე, ფიცს დებენ უკრაინელი ხალხის წინაშე, რომ ოპოზიციის რიგებიდან იბრძოლებენ სამართლიანობისთვის, თუმცა, საბოლოო ჯამში, ხალხს ატყუებენ და დანაპირებს არ ასრულებენ“, – აღნიშნა Euronews-თან საუბრისას ოპოზიციური

პარტია „ბატკოვშჩინას“ წარმომადგენელმა, არსენ იაცენუკინმა. პირველ სასესიო დღეს არეულობა იყო რადას შენობის გარეთაც, სადაც 100-მდე ადამიანი შეიკრიბა ანტიფაშისტურ აქციაზე. ხოლო ფემინისტურმა ჯგუფმა „FEMEN“ უკრაინელი პოლიტიკოსების კორუმპირებულობა გააპროტესტა და პარლამენტის შენობაში შეჭრა სცადა, რასაც საბოლოოდ პოლიციის მიერ აქციის დაშლა მოჰყვა.

ეგვიპტე ხაფიხნდამის შედეგად ექსპრეზიდენტის

ეგვიპტეში ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით მთელი ქვეყნის მასშტაბით რეფერენდუმი ტარდება. ლიბერალური და სეკულარული ოპოზიციის წარმომადგენლები კი მოსახლეობას მოუწოდებენ უარი თქვან ახალი კონსტიტუციის მიღებაზე. ორდღიანი კენჭისყრის პროცესი 22 დეკემბერს გაიმართება, რომელიც საბოლოოდ გადწყვეტს შევა თუ არა ძალაში ახალი კონსტიტუცია, რომლის გამოც ეგვიპტეში რამდენიმე დღეა არეულობაა. პრეზიდენტ მურსის ოპონენტებმა სამუშაო კომიტეტს ბოიკოტი გამოუცხადეს. მათი თქმით, კონსტიტუციაზე

მუშაობის პროცესი დაჩქარებულ ტემპებში მიმდინარეობდა, ხოლო ისლამისტური ჯგუფები დიდ ძალისხმევას იჩენდნენ, რომ მათთვის სასარგებლო გადწყვეტილებები მიეღოთ. „ჩვენ მოვუწოდებთ ხალხს, რომ მივიდნენ რეფერენდუმზე და ახალ კონსტიტუციას „არა“ უთხრან“, – აღნიშნავს ახალი კონსტიტუციის წინააღმდეგ დანაშაულები მოძრაობის ერთ-ერთი წევრი. „ეს ერთადერთი შანსია, რომ პრეზიდენტ მურსის მოწოდებას, მივიდნენ ხმის მისაცემად, დაუპირისპირდეთ. თუკი კენჭისყრის პროცესს ბოიკოტს გამოვუცხადებთ, ამით მუსლიმთა საძმოს საქმეს გავაკეთებთ და მათ გამარჯვების საშუალებას მივცემთ.“



ციტატები



„იმ წიგნის სათქმელი, რომლის დაწერაც მე მინდა, ბერამ ერთ სიმღერაში თქვა; სამ კუბლეტში ჩაატია თავიდან ბოლომდე მთელი ცხოვრების არსი. როგორ მოახერხა ეს, ჩემთვის საოცარია, სამი წლის წინ დაწერა, ერთ-ერთი პირველია და ეს გააკეთა აბსოლუტურად ბუნებრივად, გულით და ჩემთვის ეს არის საოცარი პოეზია, საოცარი ფილოსოფია და საერთოდ ძალიან საინტერესოა, თუ ალბომსაც გააანალიზებენ, როგორი პოეზია აქვს ბერას“, –

ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი



„არც მე და არც ირაკლი და არც ნებისმიერი ჩვენი, ასე ვთქვათ, ახალი მთავრობის წევრი იმ პოზიციას ვერ დაიკავებდა, რომელიც უკავია, რომ არა ბუტა რობაქიძის მკვლელობა, რომ არა გირგვლიანის მკვლელობა, რომ არა 7 ნოემბრისა თუ 26 მაისის და კიდევ სხვა ბევრი მკვლელობა, ამიტომაც წმინდა ემოციურად, ჩვენ ვალში ვართ ამ ადამიანების წინაშე, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლის ხარჯზე, უტრირებულად ვიტყვი, მაგრამ პირდაპირ,

ჩვენ თანამდებობები მოგვიტანეს“, –

არჩილ კობლაშვილი, საქართველოს მთავარი პროკურორი



„სასამართლო ხელისუფლებაში, როგორც დამოუკიდებელ შტოში, საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელია ისეთი ჩარევა, რომელიც სასამართლოს ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას

საფრთხეს უქმნის“, –

კოტე კუბლაშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე



„პრეზერვატივთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, კი მესმის, რომ ძალიან სერიოზული საკითხია, მაგრამ პრეზერვატივს გააჩნია, მას შეიძლება ჰქონდეს არა დაცვითი, არამედ სიამოვნების მიღების ფუნქციაც, თუ იგი გართულებული არის გარკვეული ტექნიკური საშუალებებით“, –

ლევან ბერძენიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი



ბარათების ფესტივალი

- 🌲 გადაიხადეთ თიბისი ბანკის ნებისმიერი პლასტიკური ბარათით და ჩაერთეთ გათამაშებაში
- 🌲 მოიგეთ 10.000 ლარი, მოგზაურობა, Xbox და Apple-ის 500-მდე პრიზი
- 🌲 გათამაშება გაიმართება 31 დეკემბერს და 9 თებერვალს

 **თიბისი ბანკი**
T B C B A N K

☎ 227 27 27 | 📠 * 27 27
www.tbcbank.ge

ღიას

ირაკლი მენაღარიშვილი

ექსპერტი საგარეო საკითხებში

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ შედეგები ცნობილი არ არის, შეხვედრა, რომელიც დღეს ჟენევაში შედგა, თავისთავად მნიშვნელოვანია. ეს არის ახალი კონტაქტი რუსულ და ქართულ მხარეებს შორის, რომელსაც აქვს შანსი, თუ მან რეგულარული სახე მიიღო, გარკვეული როლი შეასრულოს არსებული კრიზისის შესუსტების და შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის ძიების თვალსაზრისით.

რამე არსებით შედეგს დღევანდელი შეხვედრიდან არც ელიან. ეს ამ ფორმატის პირველი შეხვედრაა და მას თავისი ფუნქცია აქვს. მხარეები, ალბათ, მოსინჯავენ ურთიერთობის დინამიკას და გარკვეულ ტექნიკურ საკითხებზე შეთანხმდებიან. იმედი მაქვს, რომ ეს კონტაქტი გაგრძელდება და შემდგომი რეგულარული დიალოგის რეჟიმში წარიმართება.


ჯერ ნუ ვისაუბრებთ საკითხის მოგვარებებზე და გადაწყვეტაზე. საქართველო და რუსეთი, ფაქტობრივად, ომის მდგომარეობაში არიან. საჭიროა ამ სიტუაციიდან გამოსავლის ძიება, რადგან სხვანაირად საქართველო ვერც თავის ეროვნულ ინტერესებს დაიცავს და რუსეთიც დარჩება იმგვარ არაკომფორტულ ვითარებაში, როგორშიც დღეს არის.

ნურავინ იფიქრებს, რომ შექმნილი მდგომარეობა რუსეთს ძალიან აძლევს ხელს. ამიტომ ასეთი კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლის ძიებას, პირველ რიგში, კომუნიკაციის არხი სჭირდება. ჯერჯერობით დღეს სწორედ ამ არხის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო.

2008 წლის შემდეგ ჩვენ რკინის ფარდა ჩამოვიფარეთ და მოლაპარაკებების მცდელობაც არ ყოფილა, რადგან გამოვაცხადეთ, რომ ყოველგვარი მოლაპარაკებები რუსეთთან თავიდანვე განწინაურებულია წარუმატებლობისთვის. ოფიციალური პოზიცია მაქვს მხედველობაში.

ამის შედეგია, რომ დღეს საომარი მოქმედებების შეწყვეტიდან ოთხი წლის თავზე, არ გვაქვს სტრატეგია, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ რუსეთთან. სტრატეგიის არქონა კი ყველაზე უარესი სტრატეგიაა, ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა.

თუ ჩვენი ნაბიჯები წარუმატებელი იქნება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ უნდა შევწყვიტოთ, პირიქით, საბოლოოდ იმარჯვებს ის, ვინც უფრო დაჟინებით და მტკიცედ ეძებს გამოსავალს.

რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა ქვეყნის სტრატეგიულ არჩევანს არ შეცვლის და ამის შესახებ განცხადება არაერთხელ გაკეთდა. დასავლეთს, პირიქით, ამ ძალიან მგრძნობიარე რეგიონში დაძაბულობის განმუხტვა მხოლოდ აწყობს. ამას კი სულ სხვა სტრატეგია სჭირდება და არა უბრაოდ ყოფნა მეზობელთან, თუნდაც ის აგრესორი იყოს. 



უნდა დაიწყოთ დიალოგი

■ ნურავინ იფიქრებს, რომ შექმნილი მდგომარეობა რუსეთს ძალიან აძლევს ხელს. ამიტომ ასეთი კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლის ძიებას, პირველ რიგში, კომუნიკაციის არხი სჭირდება. ჯერჯერობით დღეს სწორედ ამ არხის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო.



ქართული ოცნებას დაელოდებიან?

■ მართალია, რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება ჩვენი ამოცანაა, ამაში „ქართულ ოცნებას“ ვეთანხმებით, მაგრამ ჩვენი ამოცანა საქართველოს სუვერენიტეტის დაზიანება და დათმობა არ არის. „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გააცნობიეროს, რომ პერსონალიების როლი, ზოგადად, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში გადაჭარბებულია.

არა

გიორგი კანდელაკი

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“
წევრი

ზოგადად, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მისწრაფებას მხარს ვუჭერთ. თუკი მსოფლიოში არსებობს ქვეყანა, რომელიც რუსეთთან კარგი ურთიერთობებითა დაინტერესებული, პირველ რიგში, ეს საქართველოა.

საქართველოს, რუსეთთან ურთიერთობებში, სხვადასხვა ხელისუფლებების პირობებში საკმაოდ გამოცდილება დაუგროვდა, გამოიკვეთა გარკვეული აქსიომები. ერთ-ერთი აქსიომაა ის, რომ თუკი საქართველო რუსეთს მარტო ელაპარაკება, ყოველთვის წაგებული რჩება. სწორედ ამიტომ უზარმაზარი პასუხისმგებლობა აქვს „ქართული ოცნებას“ და კერძოდ, ზურაბ აბაშიძეს. ეს რისკი კარგად უნდა გააცნობიერონ და არ შეუქმნან საფრთხე ჟენევის მოლაპარაკებებს, სადაც საქართველო მარტო არ არის.

ჟენევის მოლაპარაკებების ბოლო რაუნდი, ქართული მხარისთვის კრახით დასრულდა. ეს მეტყველებს სწორედ იმაზე, რომ ამ მოლაპარაკებებს საფრთხე შეექმნა და საქართველო გაუაზრებელი და ამჩატებული საქციელის გამო რუსეთთან პირისპირ მარტო დარჩენის საფრთხის წინაშე დადგა.

იმან, რომ რუსეთის მხარე არავითარ ნაბიჯებს არ დგამს, ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს. ასეთ შემთხვევაში უფრო მეტია შანსი, რომ ჩვენ დავუშვათ შეცდომები, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს დააზარალებს.

მართალია, რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება ჩვენი ამოცანაა, ამაში „ქართულ ოცნებას“ ვეთანხმებით, მაგრამ ჩვენი ამოცანა საქართველოს სუვერენიტეტის დაზიანება და დათმობა არ არის. „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გააცნობიეროს, რომ პერსონალიების როლი, ზოგადად, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში გადაჭარბებულია.

სინამდვილეში ამ დაპირისპირების საფუძველი ძალიან მარტივია. უწინაც და დღესაც საქართველოს სურდა გამხდარიყო ნორმალური, დემოკრატიული ევროპული ქვეყანა, ეს პრინციპული მისწრაფება რუსეთის მმართველების მხრიდან აღიქმება საფრთხედ და მათი პოლიტიკაა, რომ ეს არ დაუშვან. ეს არის ჩვენი დაპირისპირების საფუძველი.

ეს ურთიერთობები ასე არ შეიცვლება, „ქართული ოცნება“ რაღაც ილუზიებში არ უნდა ჩავარდეს, რომელიც მას ჩვენი სუვერენიტეტისთვის საზიანო ნაბიჯებს გადაადგმევინებს. ■



ფოტო: ლევან სერაფიშვილი



დამოუხილებლობა - სასამართლოს მთავარი ბამონჯევა

გვესაუბრება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
კოტე კუბლაშვილი

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლების შტოთაგან სასამართლო ერთადერთია, რომელსაც ცვლილებები არ შეხება, ელის თუ არა მესამე ხელისუფლება გავლენას პოლიტიკური რყევებისგან და რა არის მისი მთავარი გამოწვევა?

როგორია სასამართლოს ადგილი კოჰაბიტაციის პირობებში? განიცდის თუ არა მესამე ხელისუფლება პოლიტიკური რყევების ზეგავლენას?

პოლიტიკური ცვლილებები სასამართლოზე გავლენას არ უნდა ახდენდეს. ჩვენს ქვეყანაში ისტორიაში პირველად ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა. ასეთ პირობებში არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლება არ იცვლება. რატომ? იმიტომ, რომ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოა. სასამართლოს დამოუკიდებლობა პირველ რიგში ნებისმიერი სხვა ხელისუფლებისგან, ზოგადად კი, გარე ჩარევებისგან დამოუკიდებლობას გულისხმობს.

ამ თვალსაზრისით ჯერ ჩვენ პრობლემები არ შეგვექმნია და ასეც უნდა გაგრძელდეს. ოთხი წლის შემდეგ, როდესაც ხელისუფლება შესაძლოა, კვლავ შეიცვალოს, სასამართლოზე გავლენა არც ამან უნდა იქონიოს. ეს იმის მნიშვნელოვანი დამამტკიცებელი საბუთი იქნება, რომ საქართველო დემოკრატიის გზაზე შორს წავიდა და მიზანთან თითქმის მიაღწია.

ცნობილი პოლიტოლოგის, სემუელ ჰანთინგტონის აზრით, დემოკრატიულად ის ქვეყანა შეიძლება ჩავთვალოთ, სადაც ხელისუფლება არჩევნების გზით ორჯერ მაინც შეიცვლება. ჩვენთან ეს ერთხელ უკვე მოხდა, კარგი იქნება, მეორედაც თუ მოხდება, უფრო უკეთესი – თუ ამ ცვლილებებს სასამართლოში ცვლილებები არ მოჰყვება და სტაბილურ მუშაობას განაგრძობს.

ვხედავ იმის ნიშნებს, რომ ვილაცებს სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენის სურვილი აქვთ, თუმცა, ამის სურვილი

მსოფლიოში ყველა ხელისუფლებას აქვს, ამერიკაშიც, ინგლისშიც, გერმანიაშიც... ეს ბუნებრივია, მაგრამ ისე მკვეთრად გამოხატულ სურვილს, როგორც არჩევნების შემდეგ ჩვენთან იყო, იმ ქვეყნებში საკმაოდ დიდი ხნის წინანდელ წარსულში თუ მოვძებნით. 1 ოქტომბრის არჩევნების მეორე დღესვე პოლიტიკური ფიგურები აცხადებდნენ, რომ ესა თუ ის მოსამართლე თურმე უნდა დაისაჯოს. ამას ჩვენი პასუხიც მოჰყვა და პოლიტიკური აქტორების მხრიდან ბოლო ხანს ასეთი ხმა-მაღალი განცხადებები აღარ მომისმენია.

იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად რომელიმე სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარეები ვერ დაინიშნებიან, ამასთან, კანონპროექტის ძალაში შესვლისთანავე საბჭოს ამჟამინდელ წევრებს უფლებამოსილება შეუწყდებათ. რა გავლენას მოახდენს ეს ცვლილება სასამართლოზე?

ძალიან ცუდ გავლენას მოახდენს. ამ ცვლილებების ასეთი სახით დამტკიცება იქნება აშკარა მაგალითი იმისა, თუ როგორ ერევა აღმასრულებელი ხელისუფლება სასამართლოს კომპეტენციაში. იუსტიციის საბჭო სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოა. მისი წევრებისთვის, რომელთა უმრავლესობაც მოსამართლეა, უფლებამოსილების შეწყვეტა ინსტიტუციონალურ დამოუკიდებლობაში პირდაპირი ჩარევაა. სასამართლოს ინსტიტუციური მოწყობა მხოლოდ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სურვილზე დამოკიდებული არ უნდა იყოს. ახლა სწორედ ამ სურვილს ვხედავ.

ჩვენ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს მოვამზადებთ, რომლის მიხედვითაც, იუსტიციის საბჭოს წევრთა უფლებამოსილება კანონმდებლის ნებაზე დამოკიდებული არ იქნება.

წარმოიდგინეთ, რომ შემდეგი არჩევნების შემდეგ ახალი ხელისუფლება მოვიდეს, და მიიჩნიოს, რომ არსებული წესი ხელს არ აძლევს, მიიღოს კანონი და მოქმედ წევრებს უფლებამოსილება ისევე შეუწყვიტოს.

დამატებით მაგალითსაც მოგიყვანთ, ვთქვათ, საპარლამენტო უმრავლესობას არჩევნების ხელახლა ჩატარება მოუწინაა და ამისთვის მიიღო კანონი, შეცვალა არჩევნების წესი და დაადგინა, რომ საპარლამენტო არჩევნები მხოლოდ პროპორციული წესით უნდა ჩატარდეს, და მაჟორიტარებს უფლებამოსილება შეუწყვიტოს. ზუსტად ამის მსგავსია ის ცვლილება, რომლის გატანაც იუსტიციის სამინისტროს სურს.

ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ იუსტიციის წევრთა არჩევის წესი უფრო გაიმართოს. მოსამართლეებმა ისინი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინების გარეშე აირჩიონ, აქამდე მათ მე წარვადგენდი, მე ვთანხმდები

როგორ მისცემს მონმე ვინმეს წინააღმდეგ ჩვენებას, როდესაც მან იცის, რომ როდესაც სახლში დაბრუნდება, ამ ჩვენებას ტელევიზორში ნახავს. საქართველოში ასეთი საკითხები დიდი ყურადღებით უნდა განვიხილოთ.

პროექტის ავტორებთან რომ ამის შემდეგ თავად მოსამართლეებმა დაასახელონ კანდიდატები, თუმცა, მათ, ვინც კანონიერად არიან არჩეულნი, უფლებამოსილება არ უნდა შეუჩერდეთ.

რაც შეეხება სასამართლოს თავმჯდომარეთა იუსტიციის საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის შეზღუდვას, ამასაც ჩარევის მცდელობად ვაფასებ. იუსტიციის საბჭოში მოსამართლეები ვის არჩევენ, ეს მხოლოდ თავად მოსამართლეთა საქმეა. ახლა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ამბობს, რომ მათ უკეთ იცინან, მოსამართლეებმა ვინ უნდა აირჩიონ. და მოსამართლეები ვერ ხვდებიან, რომ თუკი სასამართლოების, პალატების და კოლეგიების თავმჯდომარეებს საბჭოში აირჩევენ, მერე, ისინი გავლენას მოახდენენ მათზე და შეავიწროვებენ.

ამის გარდა, რა იქნება ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი, რაც თქვენ მიერ ინიცირებულ პროექტს ექნება?

უპირველესად ეს ორი ცვლილება უნდა ამოვიღოთ. ამასთან, სადისციპლინო კოლეგიაში მოსამართლეებმა 5 წევრი უნდა აირჩიონ. აქედან სამი მოსამართლე უნდა იყოს. ორ არამოსამართლე წევრს წარმოდგენილი პროექტის მიხედვით პარლამენტი ირჩევს, პროფესორების თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წრეებიდან, ჩვენ ვთავაზობთ, რომ ეს ორი წევრი, ამავე წრეებიდან ისევე მოსამართლეებმა აირჩიონ. ამას ევროსაბჭოს რეკომენდაციები ითვალისწინებს.

ამავე კანონპროექტის მიხედვით, სასამართლოში ვიდუო გადაღება აღდგება. თქვენ ამას ადრეც ეწინააღმდეგებოდით, ახლა როგორია თქვენი პოზიცია და რას ემყარება იგი?

მე ეწინააღმდეგებოდი იმას, რომ ნებისმიერ ტელეკორპორატორს, როცა მოუწოდებოდა, მაშინ შესულიყო დარბაზში, და რაც უნდოდა, ის გადაეღო. პროექტის მიხედვით, კამერები დარბაზში სასამართლოს თანხმობით შევა. ეს პრობლემა არ არის.

მაგრამ როდესაც ოპერატორი იმას იღებს, რაც თავად უნდა, ეს პრობლემა არაა. ოღონდ არა სასამართლოსთვის, არამედ მხარეებისთვის. ახალ ხელისუფლებასაც იმას ვუბნებთ, რასაც ძველს ვუბნებოდი, რომ უმჯობესი იქნება, არა მთელი პროცესის ტრანსლირება, არამედ მხოლოდ იმ ნაწილის, რაც მხარეებს თუ მონმეებს საფრთხეს არ შეუქმნის. როგორ მისცემს მონმე ვინმეს წინააღმდეგ ჩვენებას, როდესაც მან იცის, რომ როდესაც სახლში დაბრუნდება, ამ ჩვენებას ტელევიზორში ნახავს. საქართველოში ასეთი საკითხები დიდი ყურადღებით უნდა განვიხილოთ.

მე ვთავაზობ ხელისუფლებას, რომ დაუშვან გადაღება, მაგრამ არა მთელი პროცესის.

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა პოლიტიკურ პატიმართა სია, რომელიც საკმაოდ მასშტაბურია. ამით მან მიუთითა, რომ სასამართლო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებდა, როგორია ამ

პროცესის თქვენული შეფასება? ეთანხმებით, რომ ქვეყანაში პოლიტიკატიმრები გვყავდა, თუ ფიქრობთ, რომ პარლამენტი შეცდა?

როდესაც ადამიანი დანაშაულს ჩადის, და შემდეგ ეს დანაშაული სასამართლოზე დამტკიცდება, მის პოლიტიკურ კუთვნილებას მნიშვნელობა აღარ აქვს. პოლიტიკური პროცესები თუ მართლაც იმართებოდა, მაშინ თითოეული მათგანი ზედმინევენით უნდა იყოს განხილული. უნდა გამოიკვეთოს ის ნიშანი, რომლითაც მტკიცდება, რომ ადამიანი არა დანაშაულის, არამედ პოლიტიკური კუთვნილების გამო დაისაჯა. მე ასეთ საქმეს ვერ ვიხსენებ.

ბოლო წლების განმავლობაში გამამართლებელი განაჩენების პროცენტული რაოდენობა საკმაოდ მცირე იყო, რა განაპირობებდა ამას და თქვენი ინფორმაციით, შეიცვალა თუ არა რაიმე ბოლო დროს ამ მიმართულებით?

მოდით, თავდაპირველად გავერკვეთ,

თუ რამდენად გამოდგება გამამართლებელი განაჩენების პროცენტი სასამართლოს დამოუკიდებლობის შესაფასებლად. შვედეთში გამამართლებელი განაჩენები მხოლოდ 1,7%-ია, საფრანგეთში – 3,5%. იაპონიაში – დაახლოებით 1%, ისრაელში – 1,3%.

გეთანხმებით, რომ გამამართლებელ განაჩენთა რაოდენობა ჩვენთან დაბალია. ეს მონაცემი წლების განმავლობაში მერყეობდა. მაგრამ მხოლოდ ამ კრიტერიუმით სასამართლოს დამოუკიდებლობის შეფასება არ შეიძლება.


2011 წელს გამამართლებელ განაჩენთა წილი 3% იყო, წელს კი, ბოლო ათი თვის მონაცემებით, არსებითად განხილული საქმეებიდან ასეთი განაჩენების რაოდენობა 9%-ია. თუმცა, ეს არ არის ერთადერთი მანიშნებელი იმისა, რომ სასამართლო ასეთი დამოუკიდებელია.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი რა გამოწვევები დგას ახლა სასამართლოს წინაშე?

რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობა!

ყოველთვის ამას აღვნიშნავ. არასოდეს არ მითქვამს, რომ ჩვენ უკვე დამოუკიდებლები ვართ. ისეთი განვითარებული ქვეყნების სასამართლოების თავმჯდომარეებიც კი, როგორც არის, მაგალითად ამერიკა მთავარ გამოწვევად ასევე დამოუკიდებლობას ასახელებენ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ყველა სახელმწიფოს ხელისუფლება ცდილობს, რომ სასამართლომ მისთვის სასურველი გადაწყვეტილებები გამოიტანოს.

გერმანიის მაგალითს გეტყვით, თუ როგორ დაურეკა შინაგან საქმეთა მინისტრმა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების შესაცვლელად და როგორ არ მივიდა იგი ტელეფონთან. ანუ, იქაც იყო ჩარევის მცდელობა.

ჩვენ ახლა ვიღებთ დამოუკიდებლობის გამოცდილებას, და იმედი მაქვს, ამ გამოწვევას ქართული სასამართლო ღირსეულად უპასუხებს. 

ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი

RadioCommersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

ადგილობრივი თვითმმართველობა

მაშვენი ხბონის ბაჩეშე

სოფელში, სადაც მოსახლეობას უწყლობა აწუხებს, წყლის პრობლემის მოგვარების სანაცვლოდ, მეორე სტადიონი შენდება – საქართველოში თვითმმართველობების ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა მათი აბსოლუტური ცენტრალიზება და ადგილობრივი პრიორიტეტების იგნორირებაა.

თინა ყიფშიძე

ტალახიანი გზის პირას ახალგაზრდა ბიჭსა და შუახანს გადაცილებულ მამაკაცს ჭიდან წყალი ამოაქვთ. ჭის გვერდით ყავისფერი წყლით სავსე ორი სათლი დგას, ასეთივე ფერის წყალია ჭიდან ახალამოღებულ თუნუქის სათლში.

„სამი-ოთხი საათი უნდა გავაჩეროთ, რომ დაინმინდოს და დაღვევა შესაძლებელი გახდეს“, – ამბობს ჭის მეპატრონე მიხეილ პარასკევაშვილი.

ეს გორის რაიონის სოფელი ზემო სობისია, სადაც, მიმდებარე სოფლების მსგავსად, სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემა სისტემურია.

სოფელში ჭა სერიოზულ ფუფუნებად ითვლება. მისი გაჭრა 3000-4000 ლარი ჯდება. მთელ სოფელში სულ 4-5 ჭა თუ იქნება. გორის სოფლების ნაწილს წყალი ცხინვალიდან მიეწოდებოდათ, თუმცა 2008 წლის შემდეგ წყლის მიწოდება შეუწყდათ, წყლის ალტერნატიული გამანაწილებელი სისტემის გამართვა კი დღემდე ვერ მოხერხდა.

სოფელში წყლის სარწყავი ღარები უფუნქციობის გამო ნაგვითა და დამპალი

ფოთლებითაა ამოვსებული. მოურწყველობის გამო ხილის მოსავალმაც იკლო.

„წელს მოურწყველობის გამო ვაშლის მოსავალი თითქმის არ მქონია, გამიხმა და მხოლოდ 336 ლარის ვაშლი გავყიდე“, – ამბობს სოფლის მაცხოვრებელი კაკო შიუკაშვილი.

უწყლობას სოფლის ნომერ პირველ პრობლემად მეზობელ ხელთუბანსა და მეჯვრისხევშიც ასახელებენ.

ხელთუბანში წელს მაღალდაბიანი ხაზის გაჭიმვა დაგეგმეს, რათა წყლის ტუმბოებით სარწყავი სისტემა მთელ სოფელზე განაწილებულიყო. ფულის ნაკლებობის გამო ხაზის მხოლოდ ნაწილი გაიმართა.

მეჯვრისხევი, რომელიც სიდიდით გორის რაიონში ყველაზე დიდი სოფელია, სასმელ წყალს დღეში ერთხელ, დილაობით ორი საათით იღებს. სარწყავი სისტემა აქ საერთოდ არ არსებობს.

გამგებები და გორის მუნიციპალიტეტი სოფლებს უწყლობის პრობლემას ვერ უგვარებენ, სამაგიეროდ, ყოველ წელს სავალ გზას ქვიშით ფარავენ. ქვიშა მალე



იფანტება და ყოველ წელს ხელახლა მოსაყრელი.

გზების მოხრეშვა და მაღალდაბიანი ხაზის გაჭიმვაც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხდება. პროგრამა რამდენიმე წელია დაიწყო. კონცეფციის მიხედვით, სოფლის მოსახლეობა ყოველი წლის გაზაფხულზე იკრიბება, წყვეტს მთავარ საჭიროებებს და სოფლისთვის გამოყოფილ თანხებს შესაბამისი მიმართულებით მიმართავს. ასეთ შეკრებებზე ყოველ წელს სოფლის



უწყლობა მთელი სოფლის პრობლემა და 4-5 ჯა მის გადასაჭრელად არასაკმარისია. სოფელი ზემო სობისი, დეკემბერი 2012

ფოტო: ზორბაი შივაზა

მოსახლეობა ნომერ პირველ პრობლემად უწყლობას ასახელებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ზემო სობისში ამ პროგრამით ორი წელია სარიტუალო სახლს აშენებენ. პირველ წელს სარიტუალო სახლისთვის სოფლის ოთხკლასიანი სკოლა გამოისყიდეს, შემდეგ წელს გაარემონტეს, ჭურჭელი შეიძინეს და შენობა გააფართოვეს.

სობისელებს თანხების მიზნობრივ ხარჯვაშიც ეპარებათ ეჭვი.

„მაგალითად, შარშან მოსახრეზად 10 მანქანა ქვიშა უნდა მოეტანათ და მხო-

ლოდ 5 მანქანა იყო, სად წავიდა დანარჩენი 5 მანქანა? არხი გაჭრეს და 20 ათასი ლარი დასჭირდაო... რად უნდა 20 ათასი ლარი, 2 ათას ლარად გაეჭრიდით ჩვენ“, – ამბობს ხელთუზნის მცხოვრები სულიკო ქოჩუაშვილი.

მეჯვრისხევეში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით წელს საბავშვო ბაღის შენობა გაარემონტეს. რემონტში ორ ოთახში კედლების ვარდისფრად შეღებვა, მეტალოპლასტმასის ფანჯრების ჩასმა, ლინენიუმს დაგება და დერეფნების მო-

წესრიგება იგულისხმება. ამის გაკეთება 25 000 ლარი დაჯდა, ბაღის შენობის სველი წერტილების მოსანესრიგებლად კი ფული საკმარისი აღარ აღმოჩნდა.

მეჯვრისხევის გამგებლის ნიკო ალხაზაშვილის თქმით, სოფელს წელს 65 ათასი ლარი გამოეყო, აქედან 25 ათასი ბაღის შენობის გარემონტებას, 20 ათასი სასაფლაოს გზის ქვაფენილით მოწყობას დასჭირდა, ხოლო დარჩენილი 20 ათასით წყლის სისტემის გამართვა შეუძლებელია.

„წყლის ჩამომავალი სისტემა ცუდ მდგომარეობაშია და 32 კილომეტრი მთლიანად გამოსაცვლელია. ამას ძალიან ბევრი ფული სჭირდება. გორში 39 კილომეტრი შეცვალეს და 5 მილიონი ლარი დაჯდა. ამდენ ფულს სოფლისთვის არავენ იმეტებს, სამწუხაროდ“, – ამბობს მეჯვრისხევის გამგებელი ნიკო ალხაზაშვილი.

უნწყლობის პრობლემის მოსაგვარებლად სოფლის მხარდაჭერის პროგრამები ვერ მუშაობს.

ის, რომ აღნიშნული პროგრამა რეალურ საჭიროებებს ვერ აგვარებს, კომპლექსური პრობლემაა. რეალურად ის ღონისძიება ფინანსდება, რომელიც შედარებით მარტივი მოგვარებადია. რეალური ადგილობრივი საჭიროებები კი უგულებელყოფილია, ხშირად პრიორი-

ტეტებს ცენტრალურ დონეზე წყვეტდნენ.

სოფლის პროგრამის ხარვეზებზე ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების 2009-2010 წლების ანგარიშში ნათქვამია, რომ სოფლებში კრებები ხშირად ფორმალურად ტარდებოდა. დაგეგმილ სამუშაოებზე ტენდერი არ ცხადდებოდა, მთავრობის დადგენილებით, სახელმწიფო შესყიდვის ფორმად ერთ პირთან მოლაპარაკება განისაზღვრა:

„2010 წლის პროგრამული თანხა 13 იანვარს გამოიყო და დაჩქარებული წესით დაიხარჯა, რამაც გააჩინა საფუძვლიანი ეჭვი, რომ პროგრამა 2010 წლების 30 მაისის მუნიციპალური არჩევნების წინ ამომრჩეველთა მოსყიდვის მიზნით ხორციელდებოდა“.

ანგარიშში ასევე საუბარია იმაზეც, რომ სოფლის მოსახლეობის სურვილები მუნიციპალიტეტების მიხედვით დაჯგუფდა. ზოგან ყველა სოფელმა (გამონაკლისის გარდა) ავტობუსის გაჩერების აშენება ითხოვა, სხვებმა კი – ხიდის შეკეთება. „ამან ასევე გააჩინა ეჭვი, რომ რეალურად პრიორიტეტებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი (გამგებელი) განსაზღვრავდა და არა – მოსახლეობა“, – წერია ანგარიშში.

ის, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას პროგრამული პრიორიტეტები არ აქვს და ადგილობრივ საჭიროებებს ვერ აგვარებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის წევრის დავით ლოსაბერიძის აზრით, ცენტრალიზების



ფოტო: მირიამ ბოლუა

სარიტუალო სახლი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით უკვე მეორე წელია, რემონტდება. სოფელი ზემო სოპისი, დეკემბერი 2012

■ ის, რომ აღნიშნული პროგრამა რეალურ საჭიროებებს ვერ აგვარებს, კომპლექსური პრობლემაა. რეალურად ის ღონისძიება ფინანსდება, რომელიც შედარებით მარტივი მოგვარებადია. რეალური ადგილობრივი საჭიროებები კი უგულებელყოფილია, ხშირად პრიორიტეტებს ცენტრალურ დონეზე წყვეტდნენ.



შედეგია. წლიდან წლამდე ადგილობრივი თვითმმართველობის მოქმედების სფერო მცირდებოდა და ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული ხდებოდა, აირია ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციებიც: „განვევას რატომ უნდა კურირებდეს ადგილობრივი თვითმმართველობა და საბავშვო ბაღების შენობების შეღებვას – ცენტრალური ხელისუფლება?“ – ამბობს დავით ლოსაბერიძე.

ბოლო წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსება იზრდებოდა, მაგრამ იზრდებოდა არამიზნობრივი ხარჯიც. არამიზნობრივი ხარჯი ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 12 პროცენტი იყო, ანუ 2 მილიარდიდან 300 მილიონი ასეთ ხარჯს წარმოადგენდა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსება თითქმის 10-ჯერ გაიზარდა. თუმცა აქედან ის ნაწილი, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება ხარჯავს, შემცირდა. გამოდის, რომ ადრე თუ 100 ლარს აძლევდნენ, ახლა აძლევენ მილიონ 10 ლარს, ოღონდ აქედან მილიონი რაზე უნდა დაიხარჯოს, ცენტრიდან იგეგმება და ადგილობრივ თვითმმართველობას რეალურად 10 ლარი რჩება“, – ამბობს ლოსაბერიძე.

2009 წელს საქართველოს პარლამენტმა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, აკაკი მინაშვილის ინიცირებით, ორგანულ კანონში ცვლილებები შეიტანა. ცვლილების მიხედვით, მთავრობის თხოვნის შემთხვევაში ადგილობრივ ხელისუფლებებს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციების დაფინანსების უფლება ენიჭებათ. ამგვარად აღმოჩნდა, რომ რეგიონებში პოლიციის შენობის დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციაა.

გარდა ცენტრალიზებისა, პრობლემა იმაშიცაა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და სოფლის განვითარება არასდროს ყოფილა პრიორიტეტი წინა ხელისუფლებისთვის.

„სოფლის დახმარების პროგრამა წყალში გადაგდებულისთვის მაშველი რგოლის გადაგდების ტოლფასია. მე გადაგაგდეთ წყალში და რახან იხრჩობით, მაშველი

რგოლიც გადმოგიგდეთ. რგოლზე ფულის დახარჯვა არ მომიწევდა თავის დროზე თქვენთვის რომ ხელი არ მეკრა. თან ესეც ხდება ცენტრალიზებულად. ამიტომაც, რომ საქართველოს ყველა სოფელი რატომღაც ერთხმად ითხოვს ავტობუსის გაჩერებებს, სტადიონებს და ა.შ.“ – ამბობს ლოსაბერიძე.

საქმე ხშირად კურიოზებამდეც მიდიოდა. რამდენიმე სოფელში, სადაც მხოლოდ მოხუცები არიან დარჩენილი, ადგილობრივი თვითმმართველობა საბავშვო მოედნებს აწყობდა და საქანელებს ამონტაჟებდა.

რა თქმა უნდა, არსებობდა გამონაკლისი შემთხვევები, სადაც მოსახლეობის სათანადო აქტიურობამ შესაბამისი შედეგი გამოიღო და უფრო მეტად მტკივნეული პრობლემები გადაიჭრა, თუმცა ეს ისეთ შემთხვევებში ხდებოდა, სადაც ცენტრიდან ჩარევა ნაკლები იყო.

„სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისას ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის რამდენიმე წარმატებული მაგალითიც იყო. მთელ რიგ თემებსა და სოფლებში ჩანდა მოსახლეობის გააქტიურება. ბევრმა სოფელმა არა მარტო შეცვალა ზევიდან ნაკარნახევი პრიორიტეტები, არამედ წარმატებით მოახდინა საკუთარი ინტერესების ადეოკატირება და ლობირება და მიზანსაც მიაღწია. პროგრამამ ნათლად აჩვენა, რომ თუ მისი განხორციელება მოხდება არა ცენტრალური ხელისუფლების დირექტივების საფუძველზე, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ და ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს მოსახლეობის ჩართულობას განხილვის პროცესში, მცირე თანხებითაც შესაძლებელი გახდება მრავალი პრობლემის მოგვარება“, – წერია ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ წლიურ ანგარიშში.

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის ეფექტიანობისთვის, დავით ლოსაბერიძის აზრით, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ნების არსებობაა საჭირო. მათ დამოუკიდებლად საქმიანობის საშუალება უნდა მიეცეთ. „თუ გინდა, რომ ბავშვს ცურვა ასწავლო, წყალში უნდა ჩააგდო“, – ამბობს ის. ■

თვალსაზრისი

ნატო-ს მინისტრული და ქაჩთუნი ჰეხსჰეხივა

თბილისი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს ნატო-ს „ღია კარში“ შესვლის თანხმობას, თუკი დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა ან ძალიან დაიძაბება, ან ძალიან დათბება.

ვასო კუჭუხიძე

2012 წლის 4-5 დეკემბერს ბრიუსელში ნატო-ს მინისტრული გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ დღის წესრიგში ერთ-ერთი თემა ნატო-საქართველოს ურთიერთობები იყო, ამ კონკრეტული შეხვედრის მიმართ თბილისში განსაკუთრებული მოლოდინი არ არსებობდა. მინისტრული ინსტიტუციური პროგრესის მხრივ რაიმე შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერიათ, თუმცა საქართველოსთვის რამდენიმე მიზეზის გამო ის მაინც მნიშვნელოვანი იყო.

პირველ რიგში, მაია ფანჯიკიძის მიერ გამართული შეხვედრები ალიანსის წევრი სახელმწიფოების საგარეო უწყებების ხელმძღვანელებთან და ნატოს გენერალურ მდივანთან მნიშვნელოვანი იყო კომუნიკაციის აღდგენის თვალსაზრისით. ამგვარ ფორუმზე იმის ხაზგასმა, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლებისთვის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად რჩება, დასავლელ პარტნიორებში ნდობის შენარჩუნების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დასავლეთში გარკვეული მედიასამუალებებისა და ლობისტური ჯგუფების დახმარებით ხდება საქართველოსა და უკრაინას შორის პარალელის გავლება და იმ მოსაზრების პედალირება, რომ თბილისი, კიევის მსგავსად, დასავლეთისკენ ალებულ კურსს გადაუხვევს.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ნატო-ს გენერალური მდივნისა და წევრი ქვეყნების წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებები და შეფასებები. ეს მესიჯები საშუალებას აძლევს თბი-

ლისს, გაანალიზოს, თუ რა საკითხებზე აკეთებს აქცენტს ალიანსი და ამის გავალისწინებით შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა. თუმცა, განცხადებები დიდად არ განსხვავდებოდა წინა ოფიციალური მესიჯებისგან. ტრადიციულად აღინიშნა, რომ ნატო-ს კარი კვლავ ღიაა ახალი წევრებისთვის და ისევე როგორც ბუქარესტის სამიტზე გენერალურმა მდივანმა განაცხადა, საქართველო აუცილებლად გახდება ალიანსის წევრი ქვეყანა.

საქართველოს თემით განსაკუთრებულ დანტერესებას ბალტიისპირეთის ქვეყნების, ნიდერლანდებისა და გერმანიის წარმომადგენლები იჩენენ. მათი შეფასებით, ქართულ დელეგაციასთან შეხვედრები პროდუქტიული იყო ინფორმაციული თვალსაზრისით. მათ მზადყოფნა გამოთქვეს, მეტი მონდომებით დაუჭირონ მხარი ქვეყნის ევროატლანტიკური ინსტიტუტებისკენ სწრაფვას. თავად ნატო-ს გენერალური მდივნის მიერ დადებითად იქნა შეფასებული 1 ოქტომბერს გამართული საპარლამენტო არჩევნები, თუმცა ქართული მხარე ვერც ამჯერად აცდა კოჰაბიტაციის პროცესთან დაკავშირებულ შენიშვნებს და ქვეყნის ახალ ტესტად 2013 წელს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნები გამოცხადდა.

გარდა ამისა, ნატო-ს წარმომადგენლების უკმაყოფილებას იწვევს გაერთიანებული შტაბის მეთაურთან დაკავშირებული მოვლენები.

ნატო-ს ერთ-ერთი ძირითადი სტანდარტი, რასაც იგი წევრი სახელმწიფოებისგან ითხოვს, პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი სამხედრო



ძალებია. გიორგი კალანდაძის დაკავების პოლიტიკურ ანგარიშსწორებად გამოცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ აღიარებს გენერლის პოლიტიკურ ერთგულებას. შესაბამისად, აშკარა ხდება, რომ მისთვის მისაღები კადრის დანიშვნით სააკაშვილი ცდილობდა გაერთიანებულ შტაბზე პოლიტიკური გავლენის შენარჩუნებას, რაც ნატო-ს მოთხოვნებს ეწინააღმდეგება. სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელ თავდაცვის მინისტრსა და პრეზიდენტს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად გაერთიანებული შტაბის მეთაურად ირაკლი ძნელაძის დანიშვნა კი მოუთითებს იმაზე, რომ ის ვერ იქნება რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ინტერესების გამტარებელი. რაც შეეხება საკითხის მეორე მხარეს, დაპირისპირებულ პარტიებს შორის

მიღწეული კომპრომისი ქვეყნის იმიჯზე იმოქმედებს დადებითად და შეამსუბუქებს საერთაშორისო ზენოლას.

დასავლეთის მიერ კოჰაბიტაციის შესახებ გამუდმებული მონოდეტები საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილებას იწვევს, რამაც თავად დასავლური ინსტიტუციების მიმართ საზოგადოებრივ აზრზეც შეიძლება იქონიოს ნეგატიური ზეგავლენა. ამის თავიდან ასაცილებლად ხელისუფლება და ოპოზიცია ვალდებული არიან მო-

რებულია მოვლენებმა ეს საკითხი ჩაშალა. არადა, მინისტრიალის პირველ დღეს რასმუსენმა ხაზგასით თქვა, რომ ნატო-საქართველოს კომისიის შეხვედრის ფარგლებში მაჰ-ის მინიჭების საკითხი საერთოდ არ იდგა დღის წესრიგში. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის განცხადება დასავლური მედიისა და ანალიტიკოსთა ნაწილის მიერ უკვე შეფასდა სააკაშვილის მიერ ახალი ხელისუფლების იმიჯის შელახვის მცდელობად.

მოლაპარაკებების დროს საქართველოსთან დაკავშირებითაც იყო საუბარი. რაც შეეხება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას, ჟურნალისტების შეკითხვის მიუხედავად, მან თავი აარიდა საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვის თემას და მხოლოდ მოსკოვსა და თბილისის შორის კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენის საკითხებზე ისაუბრა.

რაც შეეხება საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესში რუსეთის

■ განცხადებები დიდად არ განსხვავდებოდა წინა ოფიციალური მესიჯებისგან. ტრადიციულად აღინიშნა, რომ ნატო-ს კარი კვლავ ღიაა ახალი წევრებისთვის და ისევე როგორც ბუქარესტის სამიტზე გენერალურმა მდივანმა განაცხადა, საქართველო აუცილებლად გახდება ალიანსის წევრი ქვეყანა.



სახლეობის ინფორმირება მოახდინონ და განმარტონ, რომ დასავლელი პარტნიორების მიერ გაკეთებული შენიშვნები ემსახურება ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკური გარემოს შექმნას. თუმცა, იმის მაგივრად, რომ ქვეყნის ინტერესების წინა პლანზე დაყენება მოხდეს, „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს შექმნილი ვითარება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია მოახდინოს.

მაგალითად, პოლონეთში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, თითქოსდა მას ნატო-ს მაღალჩინოსნებისგან ჰქონდა ინფორმაცია, რომ დეკემბრის მინისტრიალზე საქართველოსთვის ე.წ. მაჰ-ის გადაცემის საკითხის განხილვა იგეგმებოდა, მაგრამ უკანასკნელ თვეში ქვეყანაში განვითარ-

მიუხედევად იმისა, რომ ნატო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საქართველოს მიერ დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებას, რაც თავისთავად სასიკეთოა ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკური სისტემის შექმნისათვის, ეს არ გახლავთ ქვეყნის ნატო-ში განწევრიანების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი. საქართველოზე გაცილებით არაჯანსაღი პოლიტიკური სისტემის მქონე ალბანეთი უკვე 2009 წლიდან ალიანსის წევრია. საქართველოსთან მიმართებაში მთავარი ფაქტორი მაინც რუსეთია და ეს კიდევ ერთხელ გამოიჩინა მინისტრიალის ფარგლებში გამართულ ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომაზე. როგორც აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რუს კოლეგასთან გამართული

როლს, ვარაუდობენ, რომ კრემლი არ დაუშვებს თბილისის ნატოსკენ სწრაფვას, თუმცა, ძალიან ცოტა ამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ რამდენად შედის თავად ნატოს წევრი ქვეყნების ინტერესებში ალიანსში საქართველოს მიღების სანაცვლოდ რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა. ანალიტიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი დასავლეთსა და რუსეთს შორის არსებული არასტაბილური და უნდობლობაზე დაფუძნებული ურთიერთობაა. თბილისი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს ნატოს „ღია კარში“ შესვლის თანხმობას, თუკი დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა ან ძალიან დაიძაბება, ან ძალიან და-

ახტი დიქტატორის ანატომია

იმ გრძელ და დამაბნეველ დრამას, რომელიც 2011 წლის ბოლოს სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროს გათამაშდა, ერთი წლის თავზე, შესაძლოა, უფრო დრამატული გაგრძელებაც კი ჰქონდა. რამდენიმე აქტივისტი, რომლებიც ოპოზიციის კანდიდატს, ალა ჯიოევას ეხმარებოდნენ, ჩრდილოეთ ოსეთში, ვლადიკავკაზში ყოფნისას მათთვის თითქოსდა ნაპოვნი ნარკოტიკების გამო დააკავეს და გაასამართლეს.

ვალერი ძუცუვი

29 ნოემბერს ამბავმა გროტესკნარევი ტრაგიკულობის ნიშნები შეიძინა. ერთ-ერთი დაპატიმრებული აქტივისტის ცოლი, ანა კოკოევა, ყალბუხეთში, ქალაქ ელისტაში დააკავეს, სადაც მისი ქმარი, სოსლან კოკოევი იხდის სასჯელს. ანა კოკოევა ქმრის გათავისუფლების მცდელობასა და იმ ციხის ხელმძღვანელობის მოსყიდვამა ეჭვმიტანილი, რომელშიც მისი მეუღლე იმყოფება როგორც პატიმარი. ცოლ-ქმარს ხუთი შვილი ჰყავს, და ახლა, როცა მათი ორივე მშობელი დააპატიმრეს, თეორიულად შესაძლებელია, ბავშვები სახელმწიფომ მცირეწლოვანთა მეურვეობის ორგანოებს გადასცენ, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს ისეთი ნათესავებიც ჰყავს, რომელთაც ბავშვებზე ზრუნვა შეუძლიათ.

ეს ამბავი პარადოქსებითაა სავსე და იმ სისტემის კარგ თვალსაჩინოებად გამოდგება, რომელიც ჩრდილოკავკასიაში ფესვგადგმული. სოსლან კოკოევმა, ჰენრი კაჩმაზოვმა და რამდენიმე სხვა აქტივისტმა 2011 წელს ინტერნეტსაიტი გააკეთეს, რომლის მეშვეობითაც ეწეოდნენ საკუთარი კანდიდატის მხარდასაჭერ საქმიანობას სამხრეთ ოსეთში. მას მერე, რაც კრემლის პოლიტიკის მომხრე კანდიდატი ანატოლი ბიბილოვი, ნოემბრის არჩევნებში სამარცხვინო მაჩვენებლებით დამარცხდა, აქტივისტები სხვადასხვა ბრალდებით დააკავეს, მათ შორის, ნარკოტიკების შენახვისთვის.

შემდეგ მოხდა ის, რაც ყველამ იცის: ალა ჯიოევამ არჩევნები მოიგო, მაგრამ

ხელისუფლების სადავეებამდე არ მიუშვეს, დაუნდობლად ცემეს. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მან, ისევე, როგორც მისმა სხვა თანამოაზრეებმა, როგორც ჩანს, მაინც გამონახეს საერთო ენა სამხრეთ ოსეთის ახალ ლიდერთან. ანუ შეიძლება ითქვას, რომ ჯიოევა შეურიგდა ახალ ხელისუფლებას. ამის მიუხედავად, ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები მისი თანამოაზრეები მაინც დაპატიმრებულები არიან და ვადას ყალბუხეთში იხდიან.

რით შეიძლება აიხსნას მათი ასეთი დევნა რუსული მართლმსაჯულების მხრიდან, მაშინ, როცა ამ აქტივისტების პოლიტიკური ლიდერი საფრთხეს აღარ წარმოადგენს, და ისიც საკითხავია, წარმოადგენდა კი ოდესმე უპატივბელი დანაშაული, რომელიც სამხრეთ ოსეთის აქტივისტებს ჩრდილოეთ ოსეთში შეეძლოთ ჩადინათ, როგორც ჩანს, იმაში გამოიხატებოდა, რომ ჯერ ერთი – მათ ოპოზიციური დაჯგუფების შექმნა შეეძლოთ, მეორეც – ხელისუფლებისგან ჯიოევას ჩამოშორებისა და კრემლის კანდიდატის გაყვანის შემდეგ ისინი ოპოზიციის ავანგარდში დარჩნენ. ძირითად ხიფათზე კი თვით სოსლან კოკოევმა მიუთითა მაშინ, როცა ალა ჯიოევას მომხრეებს შორის სამხრეთ ოსეთში დაუნდობელი დაპირისპირება დაიწყო. კოკოევმა თქვა, რომ იმ პირობებში, როცა მოსკოვი სამხრეთ ოსეთის ხალხის არჩევანს ანგარიშს არ უწევს, რესპუბლიკა თავისთავად იწყებს „პირის მიბრუნებას დასავლეთისკენ“.

სამხრეთ ოსეთის რეალებში ასეთი განცხადება უფრო ზღაფს ჰგავდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ჩრდილოეთ კავკასიაში დამყარებული უმკაცრესი რუსული დიქტატორის პირობებშიც კი, ნორმად მიღებული 100%-იანი პრორუსულობის ფარგლებს აშკარა ზღაფიც არ უნდა გასცდეს, გამონათქვამების დონეზეც კი.

საინტერესოა, რომ რუსეთის მოქალაქეები დევნას განიცდიან იმის გამო, რომ საგარეო კურსთან დაკავშირებით აზრი გამოთქვას, თანაც სად – უშუალოდ რუსულ ტერიტორიაზე კი არა, არამედ სამხრეთ ოსეთში, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ თვით რუსეთმა ცნო.

ანა კოკოევას დაპატიმრება საკმაოდ ნიშანდობლივი ფაქტია და შტირლიცის და გესტაპოს თემის გაგრძელებას ჰგავს – გამომძიებლებმა, კოკოევას დაპატიმრების შესახებ განცხადება რომ გააკეთეს, მიუთითეს, რომ მას ორი თვით აკავებდნენ, რადგან მოქრთამვის მცდელობაში იყო ეჭვმიტანილი. ბრალდება, თავისთავად, სოლიდურია, და ადამიანს, რომელიც რუსეთის რეალებში ვერ ერკვევა, შეიძლება მოეჩვენოს, რომ ამ ქვეყანაში კანონი, ავად თუ კარგად, მაგრამ მოქმედებს.

პრობლემა აქ ერთი მხრივ, იმაში მდგომარეობს, რომ მუხლი ქრთამის მიცემის შესახებ რუსეთში ძალიან იშვიათად მუშაობს, მეორე მხრივ კი, ყველამ კარგად იცის, ციხის თანამშრომლები პატიმრების ოჯახის წევრებისგან ქრთამს მთელ რუსეთში იღებენ, ეს იქ



საყოველთაოდ გავრცელებული მოვლენაა.

დაპატიმრებული კოკოევას ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პროვოცირების გზით ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ ქმრის (რომელსაც საპატიმროში უკვე რამდენიმე დაავადება გაუჩნდა) ხვედრის შესამსუბუქებლად ყველაფერი ელონა. ციხის თანამშრომლებმა ამჯერად გადაწყვიტეს, ეს ადამიანი „ჩაეშვათ“, ეს არის და ეს. ყველა ნიშნით ჩანს, რომ ქრთამის მიცემის სცენა წინასწარ იყო დაგეგმილი და გამოსამზეურობლად გამიზნული.

სიტუაციის სიმანხინჯე და გროტესკულობა ამით არ ამოწურულა. სოსლან კოკოევმა ციხიდან განცხადება გააკეთა, რომ რუსეთის წინააღმდეგ არაფერი უთქვამს, ასევე არ უგულისხმია, თითქოს სამხრეთ ოსეთის ოპოზი-

ციის გამო გულგატეხილი ან იმედგაცრუებულია. არ ჰგავს ეს განცხადება მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების „ალიარებით ჩვენებებს“? მაგრამ არც ამით დამთავრებულა ყველაფერი. 12 დეკემბერს ვლადიკავკაზელი ჟურნალისტი ელინა მარზოევა ჩრდილოეთ ოსეთის შსს-ის ექსტრემიზმსა და ტერორიზმთან ბრძოლის ცენტრის წარმომადგენლებმა დააკავეს. მარზოევა იმაშია ეჭვმიტანილი, რომ ყალმუხეთის კოლონიაში არეულობებს დისტანციურად უწევდა ორგანიზებას. საბოლოოდ, ჟურნალისტს თითის ანაბეჭდები აუღეს და გაათავისუფლეს, თან საგზლად ჭკუაც დაარიგეს, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ჟურნალისტი. მარზოევა ყალმუხეთის ციხის პირობებზე და კოკოევების ოჯახის მდგომარეობაზე წერდა. ახლა უნდა ვიფიქროთ,

რომ, თავის გადასარჩენად, მარზოევა ამ საკითხების გარშემო ნაკლებად იაქტიურებს.

რუსეთის რეპრესიული მანქანის ამ დაულღელი საქმიანობის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკურად აქტიური ადამიანი, რომელიც სახელმწიფო სისტემის ნაწილი არ არის, საზოგადოებას ჩამოშორდეს. თუ ეს პრინციპი აქამდე მხოლოდ რუსეთის კუთვნილ ჩრდილოეთ კავკასიას ეხებოდა, ახლა იგი უკვე სამხრეთ ოსეთშიც მოქმედებს. ■

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთი კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

"სამაბანიო" ხოვადი და ბაძვიხაბუდი ღვიწო

მას შემდეგ, რაც 2006 წლიდან რუსეთმა ქართულ ღვიწოზე ემბარგო დაანესა, ყურძენს და რთველს საქართველოში პოლიტიკური ფასი აქვს. 2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების წინ, ყურძენის პოლიტიკურად გაძვირებული საფასურის დიდი ნაწილი ღვიწის კომპანიებმა გადაიხადეს.

მანანა ვარდიანი

„რიგები ამოვიძრკვეთ, ქარხნებმა ააწყვეს უკვე ჩაბარების სისტემა, ბაზრები გაუხსენით ბევრი... გურჯაანში ვხსნით ძალიან დიდ ქარხანას და ის განტვირთავს ქვედა ზონას. ქარხნებს მაქსიმალურად ველაპარაკებით, რომ ფასები მაქსიმალურად დავიჭიროთ და ზემოთაც წავიდეს... როგორმე უნდა ვიმუშაოთ შესყიდვის ფასზეც და საბაზრო მექანიზმების გამოყენებით დავარეგულიროთ. უნდა გავაკეთოთ ისე, რომ ყურძენმა ბევრად მეტი შემოსავალი მოგვცეს. ახლა ატამი და გარგარი უფრო მეტი შემოსავლის მომტანია და იმის დაბინავება ბევრად უფრო დიდი გამოწვევაა, ვიდრე ყურძენის. ყურძენი, ასე თუ ისე, ვისწავლეთ. წელს რთველი უნდა იყოს სამაგალითო“, – ამ სიტყვებით აუწყა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოსახლეობას საქართველოში რთველის დაწყება.

ყურძენის დაბინავების სამაგალითო ორგანიზების მიზნით სახელმწიფომ წელსაც განაგრძო რთველის სუბსიდირება. წელსაც, ისევე როგორც შარშან, რთველის ჩატარებისთვის ბიუჯეტიდან 10 მილიონი ლარი გამოიყო. ქარხნებმა რქანთელის ჯიშის ყურძენი 75 თეთრად, საფერავი კი – 65 თეთრად ჩაიბარეს. სახელმწიფომ კი ერთი კილოგრამი საფერავისა და რქანთელის ფასი ერთ ლარამდე შეავსო – გლეხმა თითოეულ კილოგრამ რქანთელზე სახელმწიფოსგან დამატებით 25 თეთრი, ხოლო კილოგრამ საფერავის ჯიშის ყურძენზე – 35 თეთრი მიიღო.

ღვიწის მსხვილი კომპანიები ყურძენის

ქართული ბაზრის სახელმწიფოს მძიმე ხელით რეგულირების სიმძიმეზე ალაპარაკდნენ. „თბილღვიწოს“ გენერალური დირექტორი გიორგი მარგველაშვილი ამბობს, რომ რუსეთის მიერ ქართულ ღვიწოზე ემბარგოს დაწესების შემდეგ, საქართველოში ყურძენის ფასს ბაზრის მაგივრად სახელმწიფო არეგულირებს: „სახელმწიფო ინვესტიციებით შექმნილი

■ „სახელმწიფო ინვესტიციებით შექმნილი კომპანიების მეშვეობით ყურძენის ყველაზე დიდი და აქტიური შემსყიდველი სახელმწიფო იყო. შესაბამისად, სახელმწიფო ადგენდა ყურძენის ფასს. ბაზარზე ფასის რეგულირების არანაირი საბაზრო მექანიზმი არ არსებობდა“.

კომპანიების მეშვეობით ყურძენის ყველაზე დიდი და აქტიური შემსყიდველი სახელმწიფო იყო. შესაბამისად, სახელმწიფო ადგენდა ყურძენის ფასს. ბაზარზე ფასის რეგულირების არანაირი საბაზრო მექანიზმი არ არსებობდა.

გასულ წელთან შედარებით, წელს სახელმწიფო სუბსიდის მოცულობაც გაი-

ზარდა, მაგრამ უფრო მეტად გაიზარდა კერძო კომპანიების მიერ ყურძენის ჩაბარებისთვის გადასახდელი თანხა. შარშან 1კგ რქანთელში – 45 თეთრი, საფერავში კი 65 თეთრი გადავიხადეთ. წელს 1კგ რქანთელის ღირებულებამ 77 თეთრს, ხოლო 1 კგ საფერავის ფასმა 70 თეთრს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ წელს სეტყვამ კახეთი ძალიან დააზარალა, ბაზარზე ყურძენი მაინც ბევრი იყო და მისი ფასის გაზრდის რეალური მიზეზი არ არსებობდა“.

ყურძენის ჩაბარების ხელოვნურად გაზრდილ ფასზე საუბრობენ „თელავის ღვიწის მარანიც“. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ რამაზაშვილი „ლიბერალთან“ საუბარში აცხადებს, რომ გასულ წელთან შედარებით ყურძენის ჩაბარების ფასი წელს საგრძნობლად იყო გაზრდილი: „სახელმწიფოს მიერ რთველის სუბსიდირებას ჰქონდა ერთი დადებითი მხარე. სახელმწიფო ყიდულობდა იმ ყურძენს, რომელსაც კერძო კომპანიები არ ყიდულობდნენ. მაგრამ, ეს სახელმწიფოს მხრიდან ბაზარზე ყურძენის ხელოვნურად გაზრდილი ფასის შემოტანის გარეშე უნდა მომხდარიყო. თითქმის 5 წელზე მეტია საქართველოში ყურძენის ფასს ბაზარი არ არეგულირებს. ეს განსაკუთრებით საგრძნობი წელს იყო. იმ დროს, როცა ევროპაში ყურძენის ფასი ისევე შარშანდელ ნიშნულზე იყო და 1 კგ ყურძენი 20 ევროცენტი ღირდა, საქართველოში რქანთელის ჩაბარების ფასი 100%-ით გაიზარდა: თუ გასულ წელს 1 კგ

რქანითელი 35 თეთრად ვიყიდეთ, წელს მისი ფასი 70 თეთრი იყო. ფასის ასეთი დიდი ზრდა განსაკუთრებით მძიმე გავლენას იმ კომპანიებზე ახდენს, რომლებსაც, ჩვენგან განსხვავებით, საკუთარი ვენახები არა აქვთ“.

მეღვინეები ამბობენ, რომ ყურძნის გაზრდილი ღირებულება წლევეანდელ ღვინის ფასზე გავლენას მოახდენს. შექმნილი მდგომარეობიდან ორი გამოსავალი არსებობს: ან კომპანიებმა ღვინის ფასი უნდა გაზარდონ და საკუთარი ნაწარმი ბაზარზე კიდევ უფრო არაკონკურენტული გახადონ, ანდა თითოეული ღვინის ბოთლიდან მიღებული მოგების მარჟა შე-

გაძვირება ადვილი საქმე არ არის. როგორ აისახება ყურძნის ხელოვნურად გაზრდილი ღირებულება წლევეანდელი ღვინის გაყიდვებზე, ამას 2013 წლის სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, – ამბობს რამაზაშვილი და დასძენს, რომ რთველის 6-წლიანმა სუბსიდირებამ მევენახეობისა და მეღვინეობის სისტემურ პრობლემას ვერაფერი უშველა.

2007 წლიდან დღემდე სახელმწიფო ბიუჯეტიდან რთველის სუბსიდირებისთვის 77 მლნ ლარზე მეტი თანხა გამოიყო. ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე სუბსიდირებული რთველის შედეგებს სტატისტიკური მონაცემებით აფასებს: „რუსულმა

ვერ მოახდინა. არცერთი სხვა ქვეყნის ბაზარი ქართული ღვინისთვის ისეთი ტევადი არ არის, როგორც რუსეთისა. მაგალითად, ჩინეთის ბაზარზე 2006 წლიდან 2011 წლის ჩათვლით განხორციელებული ქართული ღვინის ექსპორტის მაჩვენებელი 2006 წლის ოთხი თვის განმავლობაში განხორციელებული ექსპორტის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს. ცხადია, რომ ქართული ღვინის ექსპორტი ემბარგომდე დონეს ჯერ კიდევ ვერ დაუბრუნდა.

თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთის ბაზრის გახსნის შემთხვევაში ქართული ღვინო იქ ისევ პირვანდელ ნიშას დაიბრუნებს. ის ნიშა ჩილეს და კალიფორნიის იაფფასიანმა ღვინოებმა ჩაანაცვლეს. რუსეთში უკვე ისეთი თაობა წამოვიდა, რომელსაც ქართული ღვინისადმი ნოსტალგიური დამოკიდებულება არ აქვს. ამიტომ, რუსეთის ბაზარზე ღირსეული დაბრუნებისთვის ძალიან დიდი ფინანსური და მარკეტინგული ძალისხმევა დაგვიჭირდება“.

რუსული ბაზრის გახსნის აუცილებლობაზე საუბრობს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც. „რუსეთის ბაზარზე ძალიან ბევრი მაღალი ხარისხის ღვინოები შედის – იტალიური, ფრანგული.. და მათ გვერდით ქართული ღვინოებიც თავის ადგილს დაისაკუთრებს. იქ განსაკუთრებით იციან ჩვენი ღვინის ფასი, მთელი მსოფლიო იქ ისწრაფვის, ჩვენმა პრეზიდენტმა კი თავისი გაუზარებელი საქციელით ეს ბაზარი სწრაფად დაგვიხურა. ეს იყო მიზეზი გლეხის დაქცევისა“, – განაცხადა ივანიშვილმა და რუსეთის ბაზარზე დაბრუნებასთან ერთად ახალი ბაზრების ათვისების გაგრძელების პირობაც დადო.

პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ საქართველოში ბიზნესმენებზე ზენოლის გზით ყურძნის სუბსიდირება აღარ მოხდება. ის ბიზნესს თავისუფლებას, გლეხებს კი ვაზის ჯიშების განახლებაში, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაფინანსებაში, დაბალპროცენტიანი კრედიტების მიღებაში, მოსავლის რისკებისგან დაზღვევასა და სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის შექმნაში დახმარებას დაჰპირდა. თუმცა, არცერთი ამ მიმართულებით ჯერ არც მუშაობაა დაწყებული და არც კონკრეტული სამოქმედო გეგმა შექმნილი. ■



ამცირონ. გიორგი მარგველაშვილი აცხადებს, რომ „თბილღვინო“ ამ უკანასკნელ გზას ირჩევს და ღვინის ფასის გაზრდას არ აპირებს.

2012 წლის ღვინის ფასსა და მის სამომავლო პერსპექტივაზე საუბარი „თელავის ღვინის მარანი“ უჭირთ. „ძნელია იმის თქმა, რამდენი პროცენტით გაიზრდება 2012 წელს წარმოებული ღვინის თვითღირებულება. წლევეანდელი ღვინის ფასი ჩვენ ჯერ არ დაგვიდგენია. მომხმარებელი მიჩვეულია კონკრეტული ღვინის და ფასის კომბინაციას, ამიტომ ღვინის

ემბარგომ მეღვინეობის სექტორს ძალიან დიდი ზარალი მიაყენა. 2006 წლამდე ქართული ღვინის 80 პროცენტი რუსეთში გადიოდა. თუ 2005 წელს საქართველოდან ექსპორტზე 81 მლნ 328 ათასი ლიტრი ღვინო გავიდა, გასულ წელს ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 15 მლნ 534 ათას ლიტრს მიაღწია. რუსული ემბარგოს შემდეგ ქართული ღვინის ექსპორტის 73 პროცენტი სხვადასხვა ქვეყნებზე გადაამისამართდა. თუმცა, ღვინის საქსპორტო ორიენტაციის შეცვლამ რუსული ბაზრის დაკარგვით გამოწვეული ზარალის კომპენსირება

ხამდენად ხანაუხია საჯარო სავაჭრო ბანკების დანაშაულები?

ახალი მთავრობა ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მაღალ საპროცენტო განაკვეთებზე აქტიურად ალაპარაკდა. თუმცა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, საპროცენტო განაკვეთების შემცირების მექანიზმი ჯერ ვერ მოინახა და ახალი მთავრობა ამაზე მუშაობას აგრძელებს.

თათია ხალიანი

„განვადებებსა და სხვა ტიპის სამომხმარებლო სესხებზე საპროცენტო განაკვეთები მთელ მსოფლიოში მაღალია. რაც შეეხება იპოთეკებს და ბიზნეს სესხებს, ბოლო წლების განმავლობაში საპროცენტო განაკვეთების კლების ტენდენცია შეინიშნება“, – ეს განცხადება ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ „რუსთავი 2“-ის ეთერში 18 ოქტომბერს გააკეთა. მანვე აღნიშნა, რომ საპროცენტო განაკვეთების კლება ეკონომიკის განვითარებასთან ერთად გაგრძელდება და მისი დაწვევის ხელოვნური მექანიზმი არ არსებობს.

„ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პროგრამაში წერდა, რომ ქვეყანაში საბანკო კრედიტები ძვირია და მათი შემცირებისთვის სახელმწიფოს წლების განმავლობაში არაფერი გაუკეთებია. წინასაარჩევნო პროგრამის მიხედვით, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საკანონმდებლო ცვლილებები მომზადდებოდა. განსაკუთრებული ყურადღება მსესხებლის უფლებების დაცვას დაეთმობოდა, გამსესხებლის მიერ განხორციელებული სანქციები კი საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ნორმების შესაბამისი გახდებოდა.

„მაღალმა საპროცენტო განაკვეთებმა და მკაცრმა საკრედიტო პირობებმა გააუარესა სოციალური გარემო და მრავალი ადამიანი იძულებული გახდა სესხის დასაფარად საკუთარი უძრავი ქონება გაეყიდა“, – ნათქვამია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში.

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საკრედიტო განაკვეთების შემცირების პირობა ხელისუფლებაში მოსულ გუნდს არაერთგზის შეასხენეს, თუმცა როგორც ირკვევა, რა გზით აპირებენ საპროცენტო განაკვეთების შემცირებას ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

რამდენად რეალურია საპროცენტო განაკვეთების დაწვევა და რა ფაქტორებზე დამოკიდებულია? – ამ კითხვებზე ქვეყნის წამყვანმა კომერციულმა ბანკებმა პასუხის გაცემისგან თავი შეიკავეს. თუმცა ექსპერტულ წრეებში ამ საკითხებზე მსჯელობა დაწყებულია.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ გახშირებული საუბრები ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთების სიძვირესთან დაკავშირებით უსაფუძვლო არ არის და საბანკო კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების სიდიდით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი „ლიდერია“.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაციის პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, საქართველოში საბანკო კრედიტებზე საშუალო შენონილი განაკვეთი 25.8%-ია, რითაც ქვეყანა კრედიტების სიძვირით მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა. უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებია ბრაზილიაში (43.8%), კონგოს რესპუბლიკაში (43.7%), ყირგიზეთში (40.2%), გამბიაში (28%). ყველა დანარჩენ ქვეყანაში კრედიტები საქართველოსთან შედარებით იაფია, მაგალითად, მეზობელ აზერბაი-

ჯანში, სომხეთში და რუსეთში.

როგორც ექსპერტები აფასებენ, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე დამოკიდებულია. მაგალითად, ქვეყანაში არსებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სიმკაცრეზე, ქვეყნის საინვესტიციო რეიტინგზე, ბანკების მიერ მოზიდული რესურსის სიძვირეზე, რისკებზე, რომელიც ქვეყანაში არსებობს და კონკურენციის ხარისხზე. ჭიჭინაძის შეფასებით, სწორედ კონკურენციაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის ნაკლებობასაც ქართული საბანკო სექტორი განიცდის.

„2012 წლის ცხრა თვის მონაცემებით პირველი ორი ბანკის წილი საბანკო სისტემის აქტივების მთლიან მოცულობაში 62.5%-ს, ხოლო პირველი ხუთეულისა – 82%-ს შეადგენს. როგორც ვხედავთ, 19 ბანკის ფუნქციონირების მიუხედავად კონკურენციის ხარისხი ქართულ საბანკო სისტემაში მაინც დაბალია“, – ამბობს ჭიჭინაძე. აქვე აღნიშნავს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი სხვაობა არაკონკურენტულ გარემოზე მიუთითებს. მსხვილი საბანკო ინსტიტუტები კი თავიანთ დომინანტურ პოზიციას სასიკეთოდ იყენებენ და საპროცენტო განაკვეთების შემცირებას არ ცდილობენ.

კონკურენტულ პირობებში, დომინანტური პოზიციისთვის ბრძოლა ქვეყანაში არსებულ ბანკებს შორის თანაბრად მიმდინარეობს. ისინი არა მხოლოდ საბანკო პროდუქტებით, მომსახურებით, უკეთესი


ხარისხით, არამედ, პირველ რიგში, სწორედ საპროცენტო განაკვეთებით ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. ბანკები ცდილობენ, რაც შეიძლება იაფი კრედიტი მოიზიდონ. შესაბამისად, კონკურენტულ გარემოში ვითარდება როგორც საბანკო სექტორი, ასევე, მომხმარებელიც სასურველ სერვისის ადეკვატური პირობებით იღებს.

საბანკო სფეროში კონკურენციის არარსებობას ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე არ ეთანხმება. მისი თქმით, მიმდინარე წელს მთლიანმა აქტივებმა 15 მილიარდ ლარს მიაღწია, მთლიანი შიდა პროდუქტის ფინანსურმა სიღრმემ კი 52%-ს. ამ მონაცემებით ქადაგიძე საბანკო სფეროში არსებულ კონკურენციას აფასებს. აქვე აღნიშნავს, რომ ამ სექტორში დასაქმებული 20 ათასი ადამიანი კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობას დაადასტურებს.

გამომდინარე იქიდან, თუ რა ფაქტორებზეა დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, ექსპერტები უახლოესი ერთი წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვან ცვლილებას არ ელოდებიან.

„ბანკების ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორის გიორგი ცუცქერიძის თქმით, ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინება პირდაპირ აისახება საპროცენტო განაკვეთების კლებაზე როგორც სესხებზე, ისე დეპოზიტებზე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, თუმცა 2013 წელს განაკვეთების კლების ტენდენცია მაინც იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად მოხერხდება საერთაშორისო ბაზრებიდან შედარებით იაფი და ხელმისაწვდომი სესხების აღება.

ნოდარ ჭიჭინაძე ფიქრობს, რომ საჭიროა პოლიტიკური ნების არსებობა და ბანკების მზაობა, რადგან კრედიტების გაიაფებაში თავისი როლი უნდა შეასრულოს, ერთი მხრივ, სახელმწიფომ, შესაბამისი კანონმდებლობით და მეორე მხრივ, თავად ბანკებმა, რისკის ადეკვატურად აღქმით და საკრედიტო პოლიტიკის დახვეწით, რადგან მიაჩნია, რომ ბანკის მხრიდან რისკის შეფასება გადაჭარბებულია, „გაბერილი“ რისკის ფაქტორი კი კრედიტს მნიშვნელოვნად აძვირებს.



„სახელმწიფო პოლიტიკის კუთხით გარკვეული ნაბიჯები არსებობს, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს საპროცენტო განაკვეთების კლებას. შემცირებული პოლიტიკური რისკი, ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ბანკების შეზღუდვა არასაბანკო აქტივების ფლობის კუთხით, ბანკების გათავისუფლება სხვადასხვა ტიპის წნეხისგან, მათ შორის, ბანკების ცალკეულ სახელმწიფო პროექტებში მონაწილეობისგან – ეს ის ფაქტორებია, რომლებიც ბანკებს ხარჯებს უზრდის, რისი ანაზღაურებაც სწორედ მაღალი საპროცენტო განაკვეთით ხდება“.

ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ საპროცენტო განაკვეთების ცვლილება მიბმულია ქვეყნის მაკროეკონომიკასთან და ის მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. მაგალითად, დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები ვერ იქნება იმაზე უფრო დაბალი, ვიდრე ქვეყნის წლიური ინფლაციაა, რადგან წი-

■ 2013 წელს განაკვეთების კლების ტენდენცია მაინც იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად მოხერხდება საერთაშორისო ბაზრებიდან შედარებით იაფი და ხელმისაწვდომი სესხების აღება.

ნალმდეგ შემთხვევაში დეპოზიტარის სარგებელი უარყოფითი იქნება. საქართველოში დეპოზიტებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 9.2%-ია. თუმცა, როგორც აღნიშნავენ, ესეც მაღალია და საქართველო მსოფლიოს ქვეყნების პირველ ათეულშია. **■**

სახელმწიფო მონოპოლიები

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს შემოსავლების სამსახური ჩაერია ისეთ ბიზნეს საქმიანობებში, როგორცაა კომერციული ტვირთების გადაზიდვა, ტერმინალების საქმიანობა და სალარო აპარატების ბიზნესი. ამ სფეროებში სახელმწიფოს დახმარებით შექმნილი მონოპოლიების გამო ათობით კომპანია დაიხურა და ასობით ადამიანი უმუშევარი დარჩა, მომსახურება და საქონელი გაძვირდა, ბიზნესის ექსკლუზიური წარმოების უფლება ხელისუფლებასთან დაახლოებულმა მენარმეებმა მოიპოვეს.

მარი როჭიკაშვილი, სტუდია „მონიტორი“



ფოტო: ლევან სერცხელიძე



დალი ლაჭყებიანი მცირე მალაზიას ფლობს. მას ბოლო სამი წლის განმავლობაში ორი სალარო აპარატის ყიდვა მოუხდა. რამდენიმე წელია, სალარო აპარატების გამოყენება ყველა იმ გადამხდელისთვისაა სავალდებულო, რომელიც მომხმარებელთან ანგარიშს ნაღდი ფულით აწარმოებს.

„პირველი აპარატი ნამდვილად კარგი იყო, მიჩვეული ვიყავი. ის მეორე აპარატი, რომლის ქონაც მოგვთხოვეს, არ მქონდა, მეორე დღეს მოვიდნენ და დამაჯარიმეს. ჯერ გამოყენებაც არ ვიცოდი“, – იხსენებს დალი ლაჭყებიანი.

საქართველოს ბაზარზე სალარო აპარატების რეალიზაციას რამდენიმე ათეული კომპანია ახორციელებდა, მათ შორის იყო კომპანია „ალიონი 1“. კომპანიის დამფუძნებელი გოდერძი ამაშუკელი ამბობს, რომ სალარო აპარატების საქართველოში შემოტანა მისი იდეა იყო. „ალიონი“, სადაც 85 ადამიანი მუშაობდა, შემოსავლების სამსახურის პოლიტიკის გამო დღეს დახურვის პირასაა.

„პირადად ჩემთან მუშაობდა 85 კაცი. ისინი და მათი ოჯახის წევრები დარჩნენ შემოსავლის გარეშე. სახელმწიფოს პოლიტიკა იყო ასეთი: თქვენ ვერაფერს გააკეთებთ და ეს ახალი აპარატები უნდა დაიდგასო“, – ამბობს გოდერძი ამაშუკელი.

სალარო აპარატების ბიზნესიდან გასვლა მოუხდა კომპანია „სოფთმასტერსაც“, რომელმაც აპარატების წარმოება და რეალიზაცია 2007 წლიდან დაიწყო. მათი წარმოებული აპარატი ძირითადად, მსხვილი სავაჭრო ობიექტებისთვის იყო გათვლილი.

„ვანარმოებდით სალარო აპარატს, ფისკალურ პრინტერს და ფისკალურ მოდულს. ანუ ქვითარს, რომელსაც ბეჭდავს ოპერატორი სუპერმარკეტში ან რესტორანში. ანუ ამ ქვითარს აღარ სჭირდება დამატებით ჩეკი“, – აცხადებს „სოფთმასტერის“ წარმომადგენელი მიხეილ კვეტენაძე.

2010 წლის 14 იანვარს მთავრობის სხდომაზე გადაწყდა, რომ მენარმეებს „GPRS“ სისტემით აღჭურვილი, ახალი

სალარო აპარატები დაურიგდებოდათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია, რომელსაც მენარმე ამ სალარო აპარატით შეასრულებდა, შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში, ინტერნეტში ონლაინრეჟიმში აღირიცხებოდა. როგორც მთავრობის სხდომაზე გადაწყდა, სალარო აპარატებს მენარმეები უფასოდ მიიღებდნენ.

იმ დღეებში შემოსავლების სამსახურის უფროსი გიორგი ცხაკაია საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის მიცემულ კომენტარში აღნიშნავდა: „შემოსავლების სამსახურმა მთელი ქვეყანა აღჭურვოს უფასოდ სალარო აპარატებით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება „GPRS“ სისტემით, რომელიც მისცემს ყველა გადამხდელს საშუალებას თავის თავი თვითონ აკონტროლოს. გარდა ამისა, შემოსავლების სამსახური არ მივა შესამონმებლად ყველასთან, ანუ მივა მხოლოდ მათთან, ვისაც ექნება პრობლემა და ვინც არ ურტყამს ჩეკს. ვინც არ იხდის გადასახადს. ეს მისცემს საშუალებას კეთილსინდისიერ გადამხდელს, იცხოვროს წყნარად, მშვიდად, ზედმეტი კონტროლის გარეშე.

სწორედ მთავრობის ეს გადაწყვეტილება იქცა იმის მიზეზად, რომ ბაზარზე ერთ-ერთმა მსხვილმა მოთამაშე „ელ-ბი“-მ ახალი კომპანია „ლაინტექნო“ დააარსა, რომელიც ახალი სალარო აპარატის „ონლაინ 100“-ის და მისი ოპერატიული სისტემის ე.წ. „სოფტის“ შექმნაზე დაიწყო მუშაობა.

„ამ აპარატს გააჩნია ყველა ის ფუნქცია, რაც უნდა ჰქონდეს სალარო აპარატს საქართველოს კანონმდებლობით. პლუს აქვს ის უნარი, რომ „GPRS“ სისტემით გადასცეს ინფორმაცია საგადასახადოს სერვერს ნებისმიერ ამორტყმულ თანხაზე, აქვს ტერმინალის გატარების ფუნქცია, ბონუს დაგროვების სისტემა კომუნალური გადახდის საშუალება“, – ასე ახასიათებს სალარო აპარატის „ონლაინ 100“-ის შესაძლებლობებს კომპანიის წარმომადგენელი მარი ლეჟავა.

შემოსავლების სამსახურმა 2010 წლის 26 აგვისტოს სალარო აპარატების შესყიდვის მიზნით ორეტაპიანი ტენდერი გამოაცხადა. ტენდერი სამი ლოტისგან შედგებოდა. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, პირველ ლოტში 98 000 ცალის მცირე ზომის სალარო აპარატის სავარაუდო ღირებულება 30 მილიონ 821 ათასი ლარით განისაზღვრა; მეორე ლოტში – ფულის უჯრის მიერთების შესაძლებლობით აღჭურვილი 35 000 ცალი ავტონომიური სალარო აპარატის ღირებულება 12 მილიონ 950 ათასი ლარით, მესამე ლოტის მიხედვით კი, 7 000 ცალი სისტემური სალარო აპარატის ღირებულება 3 მილიონ 237 ათასი ლარია. პირობების მიხედვით, გამარჯვებულ კომპანიას აპარატები 2011 წლის ნოემბრამდე უნდა შემოეტანათ.

ტენდერში მონაწილეობა 7 კომპანიამ მიიღო, აქედან 5 ტენდერს პირველივე ეტაპზე გამოეთიშა. სამივე ტურით კომპანია „გელენიკი“ დაინტერესდა, „გელენიკი“ ბულგარული „დეიზი ტექნოლოჯის“ კონტრაქტორი იყო. პირველი და მეორე ლოტი „გელენიკმა“ მოიგო. მას კონკურენტი მხოლოდ მესამე ლოტზე, კომპანია „სოფთმასტერის“ სახით გამოუჩნდა. მესამე ლოტზე ვაჭრობის შედეგად, ერთ ცალ სალარო აპარატზე „გელენიკის“ მიერ წარდგენილმა ფასმა 370 ლარი შეადგინა, ხოლო „სოფთმასტერის“ ფასმა კი – 365. რაც იმას ნიშნავს, რომ მესამე ლოტი „სოფთმასტერმა“ მოიგო.

კომპანიები შემოსავლების სამსახურისგან ხელშეკრულების გაფორმებას ელოდებოდნენ, როცა მოულოდნელად წერილი მიიღეს. წერილი 10 თებერვლითაა დათარიღებული: „გაცნობებთ, რომ შემოსავლების სამსახურის სატენდერო კომისიამ 2011 წლის 10 თებერვალს გამართულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება სალარო აპარატების პროგრამული უზრუნველყოფისა და თანმდევი მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ორეტაპიანი ტენდერის შეწყვეტის შესახებ“.

არც „გელენიკი“ და არც „სოფთმასტერი“ არ დაინტერესებულა მიზეზით, თუ რატომ გააუქმა მოგებული ტენდერის შედეგები შემოსავლების სამინისტრომ. ორივე კომპანიის წარმომადგენელმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ გარკვევას და ბრძოლას „აზრი არ ჰქონდა“.

რატომ გაუქმდა 10 თებერვალს ტენდერი? ამ კითხვით შემოსავლების სამსახურს არაერთხელ მივმართეთ, რამდენიმე თვის განმავლობაში პასუხი ვერ მივიღეთ. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ კი, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა ხატია მოისწრაფიშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „ტენდერის შეწყვეტის მიზეზად მაშინ დასახელდა შესყიდვის ობიექტის ცვლილება. კერძოდ, ტენდერის პირობებით გათვალისწინებული იყო სამი ლოტი და ბოლოს მხოლოდ პირველმა შეიძინა აქტუალობა და, აქედან გამომდინარე, შეწყდა ტენდერი. თუმცა, რასაკვირველია, არის ბევრი კითხვის ნიშანი და ამ ყველაფერზე პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს“.

შემოსავლების სამსახურმა ტენდერი გააუქმა, მაგრამ რამდენიმე დღეში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სალარო აპარატების შემოტანაზე ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ ბულგარულ „დეიზი ტექნოლოჯისთან“ გააფორმა. ხელშეკრულების მიხედვით, 100 000 სალარო აპარატში სახელმწიფოს 13,3 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა. შემოსავლების სამსახურის მაშინდელმა ხელმძღვანელმა გიორგი ცხაკაიამ კვლავ გააკეთა განცხადება ახალი სალარო აპარატების უპირატესობის შესახებ და აღნიშნა, რომ ამ აპარატებს უფასოდ მიიღებდნენ წერილი მენარმეები, ასევე ის ბიზნეს ორგანიზაციები, რომელთა წლიური ბრუნვაც 250 000 ლარზე ნაკლები იყო.

სახელმწიფოს გადანყვეტილება, რომლითაც სალარო აპარატების შეძენის შესახებ ხელშეკრულება ბულგარულ „დეიზი ტექნოლოჯის“ გაუფორმდა, მოულოდნელი აღმოჩნდა ტენდერში მონაწილე კომპანიებისთვის.

„ეს იყო შოკისმომგვრელი, რადგან თვითონ „დეიზი ტექნოლოჯი“ არ მონაწილეობდა ტენდერში. ყველა ის მოთხოვნა, რაც ჩვენ წაუწყენეთ, მაგრამ

სახელმწიფომ არ დაგვიკმაყოფილა, „დეიზი ტექნოლოჯის“ დაუკმაყოფილეს“, – ამბობს მარი ლეჟავა, კომპანია „ელ ბი ინვესტის“ გაყიდვების მენეჯერი.

„დეიზი ტექნოლოჯიმ“ საქართველოში წარმომადგენლობა „ჯორჯიან სერვის ნეთვორქი“ დააფუძნა. დაფუძნებიდან ერთ თვეში კომპანიის ხელმძღვანელად ლევან რეხვიაშვილი დაინიშნა, რომელიც წლების განმავლობაში ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა. „ლევან რეხვიაშვილი არის ფინანსთა სამინისტროს „აიტიშნიკი“ (ანუ საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი), იგი პროექტში აქტიურად იყო ჩართული და მისი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ჩვენ და, არა მარტო ჩვენ, გვქონდა მიწოდებული ძალიან კონფიდენციალური ინფორმაცია“, – ამბობს მარი ლეჟავა.

ახალი სალარო აპარატების პრეზენტაცია 2011 წლის 2 აგვისტოს გაიმართა. ცნობილი გახდა, რომ მენარმეები სალარო აპარატებს, მართალია, უფასოდ მიიღებდნენ, როგორც ეს დაანონსებული იყო, თუმცა, მის რეგისტრაციაში 290 ლარის გადახდა მოუწევდათ. მცირე მენარმეებისთვის დაიშვა გამონაკლისებიც.

მას შემდეგ, რაც ბულგარულმა კომპანიამ 100 000 ცალი სალარო აპარატი გაყიდა, ანუ ტენდერით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, ბაზარზე დაბრუნება გადანყვიტეს მანამდე მოთამაშე კომპანიებმაც. თუმცა, მათ შეექმნათ დაბრკოლება, რის გამოც სურვილის შემთხვევაშიც კი, მენარმეები მათ სალარო აპარატებს ვერ შეიძენდნენ.

„ჩვენს აპარატს ვერ ვაბამთ სერვერზე, რადგან არ გვაძლევენ გაცვლის პროტოკოლს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი სალარო აპარატიდან ამორტყმული ჩეკის შესახებ ინფორმაცია ვერ მივღებთ. ამის გარეშე, ფაქტობრივად, სალარო აპარატი არ არის. ფინანსთა სამინისტრო გვპასუხობდა, რომ ბულგარული კომპანია არ აწვდიდა

გაცვლის პროტოკოლს. წარმოუდგენელია, რომ ბულგარული შპს არ აძლევდეს ამ პროტოკოლს საქართველოს სახელმწიფოს. ბევრი მცდელობის მიუხედავად შედეგს ვერ მივაღწიეთ. დღემდე არის ჩამოყალიბებული მონოპოლისტი კომპანია“, – აცხადებს ჩვენთან საუბრისას მარი ლეჟავა.

„თვითონ შემოსავლების სამინისტრო იყო დაინტერესებული რაღაცით, ვიღაც იდგა ამ ყველაფრის უკან, ძალიან მაღალი თანამდებობის. მთელი სახელმწიფო მანქანა ამუშავდა იმისთვის, რომ, აი, ეს მონოპოლიზაცია გაეკეთებინათ და ხელში ჩაეგდოთ ეს ბიზნესი, ყველა გვერდზე განიეს“, – ასე ფიქრობს გოდერძი ამაშუკელი, შპს „ალიონი 1“-ის ხელმძღვანელი.

„GPRS“ მომსახურებისა და სერვისის

ვთ დაფაროთ 60 ლარი“. ფინანსთა სამინისტრომ გამოუშვა სპეციალური გადანყვიტელება, რომ წინასწარ უნდა დაიფაროს მთელი წლის საფასური. არ მესმის, რატომ უნდა დაეფარო წინასწარ, როცა შეიძლება მე საქმიანობა შევწყვიტო შუა წელში“.

კომპანია „ლაინტექნომ“ გადარჩენის გზას მიაგნო და ბაზარზე ახალი სერვისით დაბრუნდა. კომპანიამ მენარმეებს ადგილზე გამოძახება და დაზიანებული აპარატის შეკეთება შესთავაზა. თუმცა, მონოპოლისტი კომპანიის ხელმძღვანელობამ არც ეს სერვისი დაუთმო. ახალი კომპანია „სითი გრუპი“ ჩამოაყალიბეს და ანალოგიური მომსახურება თავადვე შესთავაზეს.

„დიდი დაინტერესება გამოიწვია ჩვენმა მომსახურებამ, მენარმეები

■ არც „გელენიკი“ და არც „სოფთმასტერი“ არ დაინტერესებულა მიზეზით, თუ რატომ გააუქმა მოგებული ტენდერის შედეგები შემოსავლების სამინისტრომ. ორივე კომპანიის წარმომადგენელმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ გარკვევას და ბრძოლას „აზრი არ ჰქონდა“.

უფლებაც სახელმწიფომ „ჯორჯიან სერვის ნეთვორქს“ მიანიჭა და მისი ღირებულება თვეში 5 ლარით განსაზღვრა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომპანიაში ყოველთვიურად მხოლოდ ამ სერვისიდან ნახევარი მილიონი ლარი შედის, აქედან დაახლოებით 50 000 ლარი „ჯეოსელისთვის“ ხაზის გატარების საფასურია. თუმცა, როგორც მენარმეები ამბობენ, „ჯორჯიან ნეთვორქი“ მათ მთელი წლის მომსახურების საფასურს – 60 ლარს – წინასწარ ახდევინებს. ამის თაობაზე სიუჟეტი ტელეკომპანია „მე-9 არხმა“ მოამზადა.

სიუჟეტში ერთ-ერთმა ინდემნარმემ ნანა კარიჭაშვილმა „მე-9 არხის“ კორესპონდენტს განუცხადა: „დაფარე 15 ლარი და მითხრეს, რომ წლის ბოლომდე მექნება გადახდილი, მაგრამ კიდევ მომივიდა გუშინწინ მესიჯი, სადაც მითხრეს, რომ „წინასწარ გთხო-

მასობრივად გვიფორმებდნენ ხელშეკრულებებს და აქაც, ნეთვორქის ღირებულებას შექმნა ალტერნატიული კომპანია „სითი გრუპის“ სახელწოდებით, სადაც მთელი რესურსების გამოყენებით შემოსავლების სამსახურის სერვის ცენტრებში თავისი თანამშრომლების განლაგებით აიძულეს მენარმეებს რომ მასთან გააფორმონ ხელშეკრულებები“, – ამბობს მარი ლეჟავა.

კომპანია „ჯორჯიან ნეთვორქ სერვისს“ დაფუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ. თუმცა, მათ ჩვენთან ინტერვიუ დროის კარგვად მიიჩნიეს და უარი გვითხრეს. „ჯორჯიან ნეთვორქის“ წარმომადგენელმა ლევან რეხვიაშვილმა, რომელიც ადრე ფინანსთა სამინისტროს მოხელე იყო, სატელეფონო საუბარში გვითხრა: „რეალურად ჩვენი დრო ცდება და სიუჟეტის ბოლოში

გრძნობა გვაქვს, რომ ჩვენ ვართ დამნაშავეები და არ არის ეგრე რა. არსებობს სასამართლო და სახელმწიფო ინსტიტუტები და მიმართონ იმათ და იქიდან აიღონ პასუხი“.

სახელმწიფოს პოლიტიკის შედეგად სალარო აპარატების ბიზნესში ჩართული 10-მდე კომპანია შემოსავლების გარეშე დარჩა. დიდი ნაწილი დაიხურა, ნაწილმა კი სხვა სფეროში განაგრძო მუშაობა. 100-ზე მეტი ადამიანი უმუშევარი დარჩა.

შემოსავლების სამსახურის ახალი ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ უახლოესი პერიოდიდან სალარო აპარატების რეალიზაციის უფლება ყველა დანტერესებულ კომპანიას მიეცემა. ხატია მოისწრაფიშვილი: „დღემდე ასეთი უფლებით სხვა კომპანიები არ სარგებლობენ, რადგან ხელშეკრულების გაფორმებიდან დღემდე მიმდინარეობდა სისტემის დახვეწა, ახალი კომპონენტების ინტეგრირება. თუმცა, დღეს შემიძლია გითხრათ, რომ სამსახური მუშაობს ამ საკითხზე და უახლოესი პერიოდიდან სხვა კომპანიებიც მოახდენენ სალარო აპარატების რეალიზაციას. რა თქმა უნდა, იმ სტანდარტების მიხედვით, რომელიც დღეს არსებობს და რომლის გადახედვაც დღის წესრიგში არ დგას“.

ტერმინალები

კიდევ ერთი მონოპოლია, რომელიც სახელმწიფომ, კერძოდ კი, შემოსავლების სამსახურმა შექმნა, ტერმინალების ბიზნესია. ფოთის სანაპიროსთან ტანკერებით მოტანილი ტვირთი სხვადასხვა ტერმინალებში იცლებოდა, მათ შორის იყო მსუბუქი ავტომობილებიც. თუმცა, ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 6 ივნისის ბრძანებულებით, საქართველოს ტერიტორიაზე კონტინენტური შემოტანილი მსუბუქი ავტომობილების დეკლარირების განხორციელება გაფორმების ეკონომიკურ ზონას, „გეზ“-ს დაევა. „გეზი“ კი ექსკლუზიურად თანამშრომლობდა იმ ნავმისადგომთან, რომელიც არაბული „რაკია დეველოპმენტის“ მფლობელობაში იყო.

სხვა ტერმინალების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ შემოსავლების სამსახურის მაშინდელმა უფროსმა, გიორგი ცხაკაიამ საერთაშორისო საზღვაო კომპანიები აიძულა ხელშეკრულება არაბული კომპანიის ნავმისადგომთან გაეფორმებინა.

„East Geate ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილი: „საერთაშორისო გიგანტებს დაევალებოდა და აიძულეს, უარი ეთქვათ გარკვეული ტვირთების მომსახურებაზე. უარი ეთქვათ მათ კონტრაქტორ ტერმინალებზე და მხოლოდ ერთ ტერმინალში, რომელიც მითითებული იყო სახელმწიფოს მიერ, წარემართათ თავიანთი საქმიანობა. სწორედ იქ უნდა შეეტანათ თავიანთი კონტინერები და იქვე მომხდარიყო მათი დამუშავება“.

ერთი კომპანიისთვის ექსკლუზივის მინიჭებამ პრობლემები შეუქმნა ბაზარზე არსებულ შეიდ საბაჟო-საკონტინენტო ტერმინალს. ტერმინალის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ მანქანებით დატვირთული კონტინერების მომსახურებას მათი საქმიანობის დაახლოებით 40% ეკავა.

„ჩვენს ტერმინალში ყველა ოპერაციას ონლაინ ხედავს საბაჟო: როგორ იღება კარი, როგორ იცლება, როგორ ილუქება. ჩვენ ვითხოვდით კიდევ, თუ რამე განსაკუთრებული მოთხოვნები არსებობს სახელმწიფოს მხრიდან, მაშინ გვითხარით და დავაკმაყოფილებთო და ეს „გეზი“ მოემსახუროს ყველას თანაბრად. არ იყოს ვილაცისთვის ექსკლუზივი, იყოს ყველასთვის თანაბარი. ამას ვერ მივალნიეთ, პირიქით სერიოზული აგრესიაც კი გამოიწვია“, – იხსენებს ირაკლი იაშვილი.

ფოთში მსუბუქი ავტომობილების იმპორტი ძირითადად იაპონიიდან და ამერიკიდან ხორციელდება, 2011 წელს ამ ქვეყნებიდან სულ 23 000-მდე მსუბუქი ავტომობილი შემოვიდა, როგორც კომპანიები აცხადებენ, თითო კონტინერის მომსახურება დაახლოებით 300 დოლარი ჯდება, ანუ ტერმინალებმა მხოლოდ ერთ წელში საშუალოდ 4 მილიონი დოლარის შემოსავალი დაკარგეს. „ამან ორი სერიოზული პრობლემა

გამოიწვია. პირველი, რომ ეს დარგი გავიდა კონკურენციის სფეროდან და იმ წუთშივე მოხდა ფასების ხელოვნური აწევა. მაგალითად, თუ რაღაც ოპერაცია ჩვენთან 150\$ ღირდა, უცბად გახდა 250\$. მეორე, 5-6 ტერმინალმა დაკარგა ფუნქცია და შესაბამისად, ხალხმაც დაკარგა სამსახური. ჩვენ 130-135 კაცს დავემშვიდობეთ. ჯამში, ჩემი აზრით, 500-600 სამუშაო ადგილი დაიკარგა“, – ამბობს იაშვილი.

დღემდე აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაშია, მიუხედავად იმისა, რომ არაბულმა კომპანიამ ნავმისადგომი დანიურ „APM“-ს მიჰყიდა. დღეს მანქანებით დატვირთული კონტინერების დამუშავების ექსკლუზივი დანიურ კომპანიას აქვს.

შემოსავლების სამსახურში ადასტურებენ, რომ მაშინ სახელმწიფომ ამ სფეროში მონოპოლიის შექმნას ხელი შეუწყო. „ამ გადაწყვეტილების შედეგად „რაკია“ ერთადერთი აღმოჩნდა ბაზარზე, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ის გახდა მონოპოლისტი. ის კარნახობდა ბაზარზე თამაშის წესებს. დღეს ჩვენი სტრატეგიაა, გამოვრიცხოთ მონოპოლისტური გარემო. ეს არის დაუშვებელი, უკან დაბრუნებას კი არ დაუშვებთ. ანუ არ დაუშვებთ მოუნესრიგებელ ტვირთბრუნვებს და უკანონო გარიგებებს“, – ამბობს ხატია მოისწრაფიშვილი, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი.

საქართველოს ფოსტა

კომპანია „კამექსი“ უკვე წლებია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან საფოსტო გზავნილების, ამანათებისა და კომერციული ტვირთების ავიაგადაზიდვებს ახორციელებს. თუმცა, ბოლო წლებია კომერციული ტვირთების გადაზიდვებზე პრობლემები შექმნა. კომპანიის ხელმძღვანელი თეა ზერეკიძე ამბობს, რომ ამის მიზეზი „საქართველოს ფოსტაა“: „მომსახურება ევროპაში კომერციულ ტვირთზე გაჩერდა იმის გამო, რომ გაჩნდა გარკვეული ხელისშემშლელი ფაქტორები ფოსტის სახით, რომლებმაც მოახდინეს მთლიანად შემოტანილი ტვირთე-

ბის განბაჟებაზე მონოპოლიზაცია. უფლებები მთლიანად ამ ტვირთის შემოტანაზე აიღეს თავის თავზე და რეალურად შეუძლებელი გახდა ტვირთების შემოტანა ჩვენი და სხვა მსგავსი ფოსტებისთვის ქვეყნის ფარგლებში“.

„კამექსის“ ხელმძღვანელის თქმით, „საქართველოს ფოსტა“ მენარმეებს აიძულებდა ტვირთები მათი გავლით შემოეტანათ. როგორც ის აცხადებს, ფოსტა სახელმწიფო საკუთრებაა და სახელმწიფო ხელს უწყობდა მონოპოლისტად ჩამოყალიბებაში. ამის გამო კი სხვა კომპანიებს ხელოვნური ბარიერები ექმნებოდათ.

თეა ზერეკიძე: „ნაკადის შეჩერების ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ მომხმარებელზე ანუ იმ პიროვნებაზე, რომელსაც ეკუთვნოდა ტვირთი და უნდა გაეტანა „გეზ“-იდან ხდებოდა ზენოლა და მათი გადაბირება, მაგრამ არა ისე, რომ ჩემთან უკეთესია და უფრო ნაკლები დაგიჯდება ტვირთის ჩამოტანა, რამაც შეიძლება მოხიბლოს მომხმარებელი, არამედ იმით, რომ, კი ბატონო, არის ჩემთან უფრო ძვირი უნდა გადაიხადო, მაგრამ თუ სხვა კომპანიას ჩამოატანინებ, ვერ განბაჟებ. არადა, მაინც ჩემთან უნდა მოიტანო საქონელი და ჩემთან მოგიწევს საქმის დაჭერა. ამან შეაჩერა ტვირთები, ხალხსაც პრობლემები შეექმნა და, რა თქმა უნდა, მათაც თავი აარიდეს პრობლემებს, რადგან ყველას ბიზნესი აქვს და ურჩევნია ბიზნესი კარგად წარმართოს და სხვა გარკვეულ ფაქტორებზე თვალის დახუჭოს. სამწუხაროდ, ძვირის გადახდა უნებდათ და ამასაც აკეთებდნენ იძულების გზით“.

იმას, რომ ფოსტა კომერციული ტვირთების შემოტანაში მონოპოლისტი გახდა, ადასტურებენ ლილოს ბაზრობის მოვაჭრეებიც. მამუკა ბურჯუაძე უკვე რამდენიმე წელია ლილოში ჭურჭლით ვაჭრობს, საქონელი ჩინეთიდან თავად შემოაქვს. საქონელი ბოლოს 4 თვის წინ შემოიტანა.

„ბოლო კონტინერი რომ მივიღე 3-4 თვის წინ, შევიყვანეთ „გეზ“-ში, ვანბაჟებდით და ამ დროს დამირეკეს, რომ აეროპორტთან ყოფილა საქართველოს

ფოსტა, მითხრეს, რომ ჩვენთან უნდა ითანამშრომლო“, – ამბობს მამუკა ბურჯუაძე. იგი შემოთავაზებას დათანხმდა იმ იმედით, რომ გადაზიდვის ფასები უფრო იაფი იქნებოდა. თუმცა, როდესაც მომსახურების ფასებს დააკვირდა, აღმოჩნდა, რომ „საქართველოს ფოსტის“ ტარიფები სხვა გადამზიდვების მომსახურების ფასებთან შედარებით ლამის ორმაგი იყო. „გვითხე, რა იქნება, თუ არ ვითანამშრომლებ თქვენთან-მეთქი. მითხრეს, პრობლემები შეგექმნებაო და რა სახის პრობლემები შემექმნება, ან ვინ შემიქმნიდა, ეგ უკვე აღარ ვიცი“, – იხსენებს მამუკა ბურჯუაძე.

„საქართველოს ფოსტის“ საშუალებით შემოაქვთ საქონელი ლილოს ბაზრობის სხვა მოვაჭრეებსაც. ჩვენ ისი-

■ იმას, რომ ფოსტა კომერციული ტვირთების შემოტანაში მონოპოლისტი გახდა, ადასტურებენ ლილოს ბაზრობის მოვაჭრეებიც. მამუკა ბურჯუაძე უკვე რამდენიმე წელია ლილოში ჭურჭლით ვაჭრობს, საქონელი ჩინეთიდან თავად შემოაქვს. საქონელი ბოლოს 4 თვის წინ შემოიტანა.

ნი ფარულად ჩავნერეთ. ყველა, ვისაც ჩვენ გავესაუბრეთ, ადასტურებს, რომ „საქართველოს ფოსტა“ ერთადერთი გადამზიდვია, რომელთან თანამშრომლობასაც მათთვის ალტერნატივა არ გააჩნია.

„ლილოს“ ბაზრობის მოვაჭრე: „აქ ყველას (შემომტან ფირმას) ჰქონდა თავისი ოფისი და თითქმის აღარავის აქვს. ამათი („საქართველოს ფოსტის“) წარმომადგენლები დადიან, ძველი კომპანიები ვინც იყვნენ, აღარავინ დარჩა, მათი ადგილები, სადაც მუშაობდნენ, ცარიელია“.

მეორე მოვაჭრე: „ადრე განბაჟებას თვითონვე ვაკეთებდით „გეზ“-ში. ახლა ამას ფოსტა აკეთებს, ადრე თუ ჯდებოდა 4-5 ათასი დოლარი, ახლა 7-8 ათასი დოლარი გვიჯდება. 2-3 ათას დოლარშია განსხვავება. ფოსტასთან სხვა შეთანხმებაა, თუ ტვირთს გზა-

ში რამე მოუვა, ისინი ანაზღაურებენ. ადრე, სხვა ფირმები ამას არ აკეთებდნენ“.

მსგავს ამბებს ჰყვებიან ვაგზლის ბაზრობის მოვაჭრეებიც.

გიორგი ყრუაშვილი, მოვაჭრე: „ადრე 100 კილოგრამიან ტომარაში 250 დოლარს ვიხდიდი, დღეს 910 ლარი გადავიხადე ამ დეკლარაციით, ანუ 560\$-ზე მეტი. ადრე იყო სხვადასხვა კომპანია, მიდიოდა მოლაპარაკება ან 20 ცენტს დააკლებდა, ან 50 ცენტს. ახლა ერთი „საქართველოს ფოსტა“ და მკვდარია, გაჩერებულია ფასი“.

მზია ჭკადუა, მოვაჭრე: „საქართველოს ფოსტა“ შემოვიდა დაახლოებით ერთი წელია, მანამდე შემოგვქონდა ძალიან გამარტივებული წესით. კილო იყო ორნახევარი დოლარი. ახლა მარ-

ტო „საქართველოს ფოსტა“, მონოპოლია მაგას აქვს.“

შევადარეთ „საქართველოს ფოსტის“ და სხვა კომპანიის ტარიფები, სადაც ჩანს, რომ ჩინეთიდან 20 ტონა საქონლის შემოტანა „საქართველოს ფოსტით“ საშუალოდ 6500 დოლარი ჯდება, ხოლო სხვა კომპანიების მიერ იმავე მომსახურებაში გადასახდელი ტარიფის მაქსიმალური ოდენობა 2800 დოლარს შეადგენდა.

სახელმწიფოს მფარველობის პოლიტიკის შედეგად მონოპოლიები შეიქმნა. ბაზარზე არსებულმა სხვა კომპანიებმა მნიშვნელოვანი შემოსავლები დაკარგეს. მათი უმეტესი ნაწილი დაიხურა. მხოლოდ ამ სამი სფეროს მონოპოლიზაციის გამო უმუშევარი რამდენიმე ასეული ადამიანი დარჩა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თამამგარეთ დარჩენილ კომპანიებს სამართლიანობის აღდგენის იმედი აქვთ. ■

ვინ ახიან პოლიტპატიმრები?

5 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ დეპუტატების წინაშე 215-კაციანი სია ჩაიკითხა. ოპოზიციური პარტიების აქტივისტები, ყინწვისის, მუხროვანის, „ენვერის“ საქმეებთან დაკავშირებული პირები, ტელეკომპანია „კავკასიაში“ შეჭრის გამო მსჯავრდებულები – ეს ადამიანები საქართველოს პარლამენტმა 77 ხმით 14-ის წინააღმდეგ პოლიტპატიმრებად ცნო.

ზურაბ ვარდიაშვილი

„უკვე 5 წელია, თვალყურს ვადევნებ უკანონო და პოლიტიკური პატიმრების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს და როგორც ექსპერტმა, შემიძლია გითხრათ, რომ ზოგიერთისთვის ეს თემა ბიზნესი გახდა, ზოგიერთისთვის კი საინფორმაციო სივრცეში ადგილის დამკვიდრების საშუალება.“

სამწუხაროა, რომ რეალურად უკანონო და პოლიტპატიმრების ბედი ნაკლებად მნიშვნელოვანია მათთვის. პირდაპირ გეტყვი, მე არ მინდა ვიყო იმ სიაში, რომლის მიმართაც არსებობს მცირეოდენი ეჭვი მაინც, რომ ვინმე დაუმსახურებლად ან უსაფუძვლოდ მოხვდა პოლიტპატიმრების სიაში.“

ეს არის ნაწყვეტი პატიმარ მერაბ რატიშვილის განცხადებიდან, რომელიც მან საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით გაავრცელა.

პოლიტოლოგი და საქართველოს გოლფის ეროვნული ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი 2007 წლის 26 ოქტომბერს დააკავეს. მისი საქმე სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრის მოხსენებაში მოხვდა.

„პოლიტიკური დევნა“ – ასე ერქვა დანართს, რომელშიც მაშინდელმა ოპ-

ბუდსმენმა სოზარ სუბარმა რატიშვილის ახსნა-განმარტებები გამოაქვეყნა. პატიმარი მის დაკავებას ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობას უკავშირებს. რატიშვილი წლების განმავლობაში რუსეთში საქმიანობდა. „საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი ოპოზიციის ლიდერებთან ახლო კავშირი დაამყარა.“

სიის ფორმირება

პოლიტპატიმრების სიის ჩამოყალიბებაში მთავარ როლს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებული კომისია ასრულებდა. კომისიის სამუშაო ჯგუფი 1 ნოემბერს ჩამოყალიბდა.

კომისიის წევრები იყვნენ „თბილისის ჰელსინკის ჯგუფი“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „საზოგადოებრივი დამცველი“, ფონდი „ქომაგი“, მოძრაობა „არა“, იურისტები – ნინო გვენეტაძე და მერაბ ტურავა...

კომისია თბილისის ჰელსინკის ჯგუფის მიერ კომიტეტში გაგზავნილი პოლიტიკური მოტივით დაკავებული თუ ძებნილი პირების სიას დაეყრდნო.

კომისიის მუშაობა რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, ის „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ და „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ მალევე დატოვეს. არასამთავრობო ორგანიზაციებს ამ გადაწყვეტილების გამო განმარტებების მიცემა რამდენჯერმე მოუწიათ.

„ამ ფაქტს არასწორი გამოხმაურებები და ინტერპრეტაციები მოჰყვა“, – ამბობს საია-ს თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილი და აღნიშნავს, რომ კომისია პატიმართა საქმეებს არ განიხილავდა და მას, ფაქტობრივად, ფორმალური დატვირთვა ჰქონდა.

არასამთავრობოებს არ სურდათ იმ საქმეებზე აეღოთ პასუხისმგებლობა, რომლებსაც არ იცნობდნენ. საია-ს აღმასრულებელი დირექტორის, ეკა ფოფხაძის თქმით, მათ ამ საქმეებში „არ ახედებდნენ“. ამ მიზეზით ორგანიზაციებმა ჯგუფი დატოვეს, თუმცა თანამშრომლობა არ შეწყვიტა.

5 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ დეპუტატების წინაშე 215-კაციანი სია ჩაიკითხა.

ოპოზიციური პარტიების აქტივისტები, ცინწვისის, მუხროვანის, ენვერის საქმეებთან დაკავშირებული პირები, ტელეკომპანია „კავკასიაში“ შეჭრის გამო მსჯავრდებულები... ეს ადამიანები საქართველოს პარლამენტმა 77 ხმით 14-ის წინააღმდეგ პოლიტპატიმრებად ცნო.

„მუხროვანის ამბოხი“

2009 წლის 5 მაისს, დღის 12 საათის ყველა ცენტრალური არხის საინფორმაციო გამოშვება ეთერში ერთი და იგივე ცნობით გავიდა. ოფიციალური ვერსიით, მუხროვანის სატანკო ბატალიონში ამბოხება დაიწყო.

მუხროვანის ბაზა თბილისიდან 30 კილომეტრში მდებარეობს. სპეცდანიშნულების რაზმებმა ბაზას ალყა შემოარტყეს და შტურმისთვის მოემზადნენ.

სიტუაციის განმუხტვაში ძალოვანი სტრუქტურების პირველი პირები ჩაერთვნენ. სამხედროებს ტელევიზიით პრეზიდენტმაც მიმართა და იარაღის დასაყრელად ერთსაათიანი ვადა მისცა.

ამბოხებაში ბრალდებულები იმავე დღეს დააპატიმრეს და მოგვიანებით გაასამართლეს.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ირაკლი სესიაშვილი მუხროვანის ამბოხს მაშინდელი ხელისუფლების მიერ ინსპირირებულს უწოდებს, დეპუტატი მიიჩნევს, რომ საქმეზე ძიება ხელახლა უნდა დაიწყო.

„ყინვისის შთქმულება“

2011 წლის 26 მაისს, გამთენიისას, მაშინ, როცა თბილისში ნინო ბურჯანაძის მიერ ორგანიზებული მიტინგები მიმდინარეობდა, ქარელის რაიონში, ცინწვისის მონასტერთან სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდებით 24 ადამიანი დააკავეს.

დაკავებულებს ბრალი სისხლის სამართლის 315-ე მუხლით წაუყენეს, რაც გულისხმობს „შეთქმულებას ან ამბოხებას საქართველოს კონსტიტუციური

წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხოვად ან ხელში ჩასაგდებად“.

ოფიციალური ინფორმაციით, ნიკოლოზ გოგუაძემ, რამაზ ლვალაძემ, ჯემალ გუნდიშვილმა და მათმა თანამოაზრეებმა 2011 წლის 11 მაისს ჩამოაყალიბეს ორგანიზაცია „ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა უფლისა და სარწმუნოებისთვის“. ბრალდების მტკიცებით, მათ თბილისში მიმდინარე მიტინგების ქაოსით უნდა ესარგებლათ, რა დროსაც ცხინვალის მხრიდან 2000-მდე ქართულად მოსაუბრე მეზობელი შემოვიდოდა. გამოძიების მასალების

თანახმად, „ეროვნულ სარწმუნოებრივი მოძრაობის“ წევრები ცინწვისში 24 მაისს ჩავიდნენ, საიდანაც ცხინვალის შემოსულ მეზობლებს უნდა შეერთებოდნენ.

დაკავებულთაგან რამდენიმეს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა, ზოგს პირობითი მსჯავრი, ზოგს კი 3, 4, 5 წლიანი თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს.

არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგალითად, „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“, ან „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ დაკავებულებს თავიდანვე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებად მიიჩნევდნენ.

ოპერაცია „ქნვერი“

2010 წლის 5 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო განცხადება გაავრცელა.

სამინისტროს ცნობით, დააკავეს 13 ადამიანი, რომელთაც ბრალად რუსეთის სასარგებლოდ ჯამუშობა დაედოთ.

ბრალდებულთაგან ექვსი – შეიარაღებული ძალების მფრინავი იყო, ერთი მეზღვაური და რადიოსპეციალისტი.

კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მაშინდელი ინფორმაციით, დაკავებულები რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს, ე.წ. გრუ-ს აგენტები იყვნენ.

2010 წელს გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, ქართველმა კონტრმზვერავებმა გრუ-ში რეზიდენტი ჩანერგეს, რომელმაც საიდუმლო ინფორმაციის დამშიფრავი კომპიუტერული პროგრამა მოიპოვა. ამით ქართულმა კონტრდაზვერვამ გრუ-ს მოქმედების სპეციფიკის შესწავლა შეძლო.

ქართულმა სპეცსამსახურებმა თავდაპირველად 15 ეჭვმიტანილი დააკავეს, თუმცა ორს საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს.



■ უფლებადამცველის აზრით, უკეთესი იქნებოდა, პოლიტპატიმართა საკითხების კომისიას საქმეთა ინდივიდუალური შესწავლისთვის უფრო მეტი დრო დაეთმო.

ვინ არიან პოლიტკატიმრები?

საქართველოს კანონმდებლობით, ან სხვა რაიმე ოფიციალური დოკუმენტით პოლიტკატიმრის დეფინიცია დადგენილი არ არის, თუმცა იგი 2012 წლის 3 ოქტომბერს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ განსაზღვრა და მიიღო რეზოლუცია N1900. რეზოლუციაში შეტანილი კრიტერიუმები 1989 წელს ნამიბიაში სამოქალაქო ომის დროს დაფიქსირებულ სპეციფიკურ შემთხვევებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეს.

პირი პოლიტკატიმარია თუ:

დაკავებულია სიტყვის, სინდისის, რელიგიის, გამოხატვის, ინფორმაციის გავრცელების, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებით სარგებლობისთვის.

დაპატიმრება აშკარად პოლიტიკური მოტივითაა განპირობებული და საფუძვლად რეალური კანონდარღვევა არ უდევს.

პოლიტიკური მოტივების გამო პატიმრობის ხანგრძლივობა და პირობები აშკარად შეუსაბამოა კანონდარღვევასთან, რაშიც პირი დამნაშავედაა ცნობილი.

პოლიტიკური მოტივის გამო პირს დისკრიმინაციულად ეპყრობოდნენ.

თავისუფლების აღკვეთა პოლიტიკურად მოტივირებული მკვეთრად არასამართლიანი პროცედურების გამოყენების შედეგია.

ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა, რომ სტატუსის განსაზღვრა სწორედ ევროპის საბჭოს სტანდარტის შესაბამისად მოხდებოდა.

რას ფიქრობენ უფლებადამცველები?

გიორგი გოგია საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის Human Rights Watch-ის წარმომადგენელი და უფროსი მკვლევარია სამხრეთ კავკასიაში. ის რეგიონის ქვეყნებში ადამიანთა უფლებრივ მდგომარეობას წლებია სწავლობს.

მას პოლიტკატიმრების სიის ფორმირების პროცესთან შეინიშნები აქვს. გოგია მიიჩნევს, რომ ის ორკვირიანი

ვადა, რაშიც პოლიტკატიმრების საკითხთა კომისიამ იმუშავა, – არასაკმა-რისია.

„ქვეყანაში მსჯავრდების ალბათობა 99%-ს შეადგენდა. ამიტომ ციხეში მყოფი პატიმრების დიდ ნაწილს, შესაძლოა, თავი არაკანონიერად და უსამართლოდ დაპატიმრებულად მიაჩნდეს. ამ პრობლემის მოგვარება სისტემურ მიდგომას და არა სწრაფ გადაწყვეტილებებს ითხოვს“, – განა-

■ არასამთავრობებს

არ სურდათ იმ საქმეებზე

აეღოთ პასუხისმგებლობა,

რომლებსაც არ იცნობდნენ.

საია-ს აღმასრულებელი

დირექტორის, ეკა ფოფხაძის

თქმით, მათ ამ საქმეებში

„არ ახედებდნენ“. ამ

მიზეზით ორგანიზაციებმა

ჯგუფი დატოვეს, თუმცა

თანამშრომლობა არ

შეუწყვიტავთ.

ცხადა გიორგი გოგია „ლიბერალთან“ საუბრისას.

„უფლებადამცველის აზრით, უკეთესი იქნებოდა, პოლიტკატიმართა საკითხების კომისიას საქმეთა ინდივიდუალური შესწავლისთვის უფრო მეტი დრო დაეთმო. „როდესაც ადამიანი ციხეში ზის, ყოველი დამატებითი დღე და საათი მისთვის დამატებით ტანჯვა და ტკივილია, თუმცა, ეს ისეთი სათუთი თემაა, სადაც სიჩქარე სწორი გადაწყვეტილება არ მგონია“, – აცხადებს გოგია.

მის აზრს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი თამარ ჩუგოშვილიც იზიარებს: „პოლიტკატიმრები ძალიან მნიშვნელოვანი და სა-

თუთი თემაა. ჩვენს ქვეყანაში ასეთი ტიპის პატიმრები არსებობენ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველას ხელალებით პოლიტკატიმარი არ ვუნოდოთ. ამით ეს ცნება უფერულდება. აიღეთ მერაბ რატიშვილის განცხადება, ეს ადამიანი წლების განმავლობაში ციხეში ტყუილად ზის და იქამდე მივიდა, რომ საერთოდ არ სურს ეს სტატუსი, ისეთი გვარების გვერდით აღმოჩნდა სიაში“, – გვითხრა ჩუგოშვილმა.

დეკლარაციის აზრით...


ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი, ჩიორა თაქთაქიშვილი პოლიტკატიმრების თემას „ქართული ოცნების“ მიერ წინასაარჩევნო დაპირების ასრულებას უწოდებს, მას იმ მექანიზმის ეფექტიანობაში შეაქვს ეჭვი, რომლითაც ამა თუ იმ პირს პოლიტკატიმრის სტატუსი მიენიჭა.

დეკლარაციის გაკვირვებას ის ფაქტიც იწვევს, რომ „პოლიტკატიმრებად აღიარებულთა სიაში არიან ადამიანები, რომლებიც ჯაშუშობაში არიან ბრალდებულნი, მათთან ერთად არიან რელიგიური ექსტრემისტული ჯგუფის წევრები, რომლებიც ტელეკომპანია „კავკასიაში“ შეიჭრნენ“.

მისი აზრით, პოლიტკატიმართა სიის ამ ფორმით დამტკიცება ქვეყნის რეპუტაციაზე დადებითად არ აისახება. თაქთაქიშვილი პროცესს აბსოლუტურად გაუმჭვირვალეს უწოდებს „თითოეული პატიმრის საქმე გამონვლილვით უნდა შესწავლილიყო“, – ამბობს ოპოზიციონერი დეკლარაცი.

მის აზრს მმართველი კოალიციის წარმომადგენელი, პარლამენტარი თინა ხიდაშელი არ ეთანხმება: – „ყველა საკითხი ინდივიდუალურად იყო განხილული, პროცესს ვეთანხმები და გადაწყვეტილება ნაჩქარევად არ მიმანია“.

პარლამენტი ამ და სხვა საქმეებში მსჯავრდებული პირებისთვის, რომლებიც 215-კაციან სიაში მოხვდნენ, სპეციალურ ამნისტიის პროექტს შეიმუშავებს და ისინი ციხეს, სავარაუდოდ, ახალ წლამდე დატოვებენ. ■



**უყურეთ
დოკუმენტურ
ფილმებს
შაბათ-კვირას
მეცხრე არხის
ეთერში**

www.tv9.ge

ქართული დოკუმენტური ფილმები 'მეცხრე არხზე'

ნანა ზარდიაშვილი

თქვენ გიყვართ დოკუმენტური კინო? გიყვართ პუბლიცისტიკისა და მხატვრული ფორმის ეს სინთეზი, რომელიც ანმყოს აკვირდება, აღნუსხავს და აანალიზებს? ყველაზე წარმავალი, ყველაზე მოუხელთებელი და ეფემერული დრო, ანმყო ხშირად სწორედ დოკუმენტურ კინოს აფარებს თავს, რათა თავი მომავალი თაობებისთვის გადაირჩინოს.

ქართული დოკუმენტური კინოს განვითარების ხელშეწყობა "მეცხრე არხმა" თავის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა. არხი საინფორმაციო და, ბუნებრივია, მის პროგრამაში პუბლიცისტური და საინფორმაციო გადაცემები ჭარბობს. დოკუმენტური კინო კი, როგორც უკვე ვთქვით, პუბლიცისტიკისა და მხატვრული ფორმის სინთეზს წარმოადგენს, ის ამ ორი პირობითობის ზღვარზე არსებობს და ამიტომ ზუსტად შეესაბამება არხის ზოგად კონცეფციას.

"მეცხრე არხი" თავის მაყურებელს პარტნიორად მიიჩნევს, თანამოსაუბრედ, რომელთანაც პარიტეტული ურთიერთობა აქვს და რომელთანაც ერთად ცდილობს გაერკვას მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში, დაადგინოს, რა არის უკეთესი ქვეყნის და თითოეული მისი მოქალაქის მომავლისათვის. ზუსტად ამ ინტონაციით მიმართავენ მაყურებელს მეცხრე არხის დაკვეთით დამზადებული დოკუმენტური ფილმებიც, განსხვავებით იმ ტელემაუნწყებლებისგან, რომლებიც თავს ინფანტილური მასის მენტორად მიიჩნევენ, ცდილობენ ჭკუა ასწავლონ აუდიტორიას, შეუცვალონ მსოფლხედვა და პროპაგანდის მსხვერპლად აქციონ.

აუცილებლად უყურეთ "მეცხრე არხის" ქართულ დოკუმენტურ ფილმებს ყოველ შაბათ-კვირას, გადადეთ ყველა საქმე და ხანგრძლივი, ყურადღებიანი მზერა მიაპყარით თქვენს თანამოქალაქეებს, ჩვენი მძიმე ყოველდღიურობის ამ ნამდვილ გამირებს: ისინი თავისებურად ებრძვიან და არ ეპუებებიან სილატაკვს, რომელიც უცხო მხარეში მიერეკება; გიგანტური ჰესების მშენებლობას, რომელიც ჩვეულ გარემოს თავდაყირა უყენებს; ომის სისასტიკეს, ულმობელ ბანკებს, დე ფაქტო საზღვრის ხაზზე ცხოვრების მძიმე პირობებს და მარტოობას დაცარიელებულ სოფლებში.



ფოტო: ბორის ბოლგა



სახელმწიფო ღატაკების პრობლემის

გარემოვაჭრები ახალ წლამდე ვაჭრობის უფლებას
ითხოვენ, მათი თქმით, საჭიროა გარემოვაჭრობის
საკანონმდებლო რეგულირება და არა მისი აკრძალვა.

ანი ჭანკოტაძე

ინგა სადგურის მოედანზე ტალახიანი ტროტუარის განაპირას დგას და ხილით ვაჭრობს. ამჟამად მანდარინს ყიდის. დიდი რაოდენობის ყიდვა-გაყიდვას ვერ ახერხებს, მაგრამ დღიურად საშუალოდ 10 ლარამდე მოგება რჩება და ეს მისი და მისი ოჯახისთვის საარსებო წყაროა. ირმას საქმიანობა კანონით აკრძალული და სარისკოა. ბოლოს პატრულის თანამშრომელმა მთელი ყუთი მანდარინი ჩამოართვა. ერთი ყუთი მანდარინი, გარემოვაჭრეების თქმით, დაახლოებით 20-25 ლარის ღირებულებისაა, ამ თანხის ამოსაღებად კი გარემოვაჭრეს საშუალოდ, 3 დღე მოგების გარეშე მუშაობა უწევს.

გარემოვაჭრობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არეგულირებს. ნებართვის გარეშე გარემოვაჭრობის შემთხვევა პირის 20 ლარით დაჯარიმებასა და სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციას ითვალისწინებს. გარემოვაჭრობის კონტროლი, აღკვეთა და სავაჭრო ნივთების კონფისკაცია თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის და საპატრულო პოლიციის კომპეტენციაშია.

გარემოვაჭრეების სოციალური ვლგომარეობა

გარემოვაჭრეთა უმრავლესობა სილატაკის პირას მყოფი ადამიანებია, რომელთაც დაგროვილი ეკონომიკური კაპიტალი არ გააჩნიათ და მათი უსაფრთხოება ყოველდღიურ შემოსავალზეა დამოკიდებული. შემოსავლის გარეშე თუნდაც ერთი დღით დარჩენა მათთვის შიმშილის პირისპირ დგომას ნიშნავს.

რაკი შემოსავალი მხოლოდ პირველად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არის საკმარისი, დამატებითი ხარჯების გაწევა მათ არ შეუძლიათ. ამიტომ, საყოფაცხოვრებო დამატებითი ხარჯების გაჩენისას იძულებული ხდებიან ბანკებს კრედიტორები გახდნენ.

61 წლის მანანა, რომელსაც სხვების მსგავსად, სესხის აღება ოჯახის წევრების ავადმყოფობის გამო მოუწია, ამბობს: „მეუღლე გამიხდა ავად,

თრომბიანი მყავს და იძულებული გავხდით „ფინკადან“ 500 ლარი გამომეტანა. ახლა 200 ლარი მაქვს დარჩენილი და ორი თვეა ვერ შევიტანე. სასამართლოს გადაცემით, მეუბნებიან მაგრამ რითი შევიტანო, მითხარით“.

გარემოვაჭრებმა იციან, რომ მათი საქმიანობა უკანონოა, მაგრამ თავის სარჩენად იძულებული არიან მაინც ივაჭრონ. „ბაზარში რომ დადგე 5-10 ლარი ადგილში უნდა გადაიხადო და მე სულ მაგდენი მრჩება დღეში“, – ამბობს ერთ-ერთი მათგანი.

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორანტი, ლელა რეხვიაშვილი რომელიც გარევაჭრობის პრობლემას სწავლობს, ამბობს, რომ უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში მოსახლეობის ამ ნაწილს სხვა ალტერნატივა უბრალოდ არ აქვს. „გარემოვაჭრეები ამბობენ, რომ არ უნდათ ქურდობა და უნდათ, რომ თავისით გამოიმუშაონ ფული. მეორე მხრივ, არალეგალური ვაჭრობაც ქურდობაა, მაგრამ მათ ამის ალქმა არ აქვთ, რადგან თავად არიან სახელმწიფოს მხრიდან უსამართლო მოპყრობის მსხვერპლნი. გარემოვაჭრეების დიდი ნაწილი ერთი ყუთი ბანანით დადის და ის სამი ლარიც არ აქვს, რომ ადგილში გადაიხადოს. სახელმწიფო, იმის ნაცვლად, რომ ხელი შეუწყოს თვითდასაქმებაში და ბაზარში შესვლაში, მიდის და იმ ბანანსაც ართმევს – პირიქით, კაპიტალს უმცირებს“.

მერიის პოლიტიკა – ბარევაჭრობის მონოპოლიზება

ბოლო 2-3 წლის განმავლობაში გარევაჭრობის აკრძალვა გამკაცრდა და სანქციები გაძლიერდა. გარემოვაჭრეები მასობრივად ჩიოდნენ მერიის სპეცსამსახურის თანამშრომლების მხრიდან ძალადობასა და არაეთიკურ ქცევაზე. „მოდიან, არც ფორმა აცვიათ, არც რამე ნიშანი აქვთ, გვცემენ, გვანოკებენ და ყველაფერი მიაქვთ“. ასე აღწერა „ლიბერალს“ ერთ-ერთმა გარემოვაჭრემ მერიის წარმომადგენლების ქცევა ერთი წლის წინ. მერიის დადგენილი წესით, ოფი-

ციალურად, პროდუქტის ჩამორთმევისას კონფისკაციის აქტი უნდა შემდგარიყო, ხოლო ჩამორთმეული პროდუქტი ბავშვთა სახლებისთვის და სხვადასხვა სახელმწიფო სოციალური დაწესებულებებისთვის უნდა გაენაწილებინათ. თუმცა გარემოვაჭრეები ამბობენ, რომ პროდუქტის ჩამორთმევისას არავინ არაფერს აფორმებდა.

„ფაქტობრივად, ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებს ძარცვის უფლება მიეცათ. ცხადია, კანონში ასე არ წერია, მაგრამ რეალურად ასე ხდებოდა – ისინი ყოველდღიურად დადიოდნენ და აყაჩაღებდნენ გარემოვაჭრეებს მთელი ქალაქის მასშტაბით. ბანანების გამყიდველ მოხუცს ბანანებს ართმევდნენ და მათ თვალწინ ჭამდნენ“, – ამბობს უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი, რომელიც რამდენიმე წელია გარემოვაჭრეების საკითხზე მუშაობს.

ჩხარტიშვილი ჰყვება, რომ გარემოვაჭრეებმა ზედამხედველობის სამსახურისგან თავდასაცავად ერთგვარი ხერხი შეიმუშავეს: რამდენიმე მათგანი პერიმეტრს აკონტროლებდა და დადიოდა სანამ სხვები ვაჭრობდნენ, რომ სპეცსამსახურის გამოჩენა დროულად ენიშნებინა დანარჩენებისთვის. შემდეგ გარემოვაჭრეები სასწრაფოდ აგროვებდნენ პროდუქციას და დასამალად გარბოდნენ. „ერთ-ერთი ასეთი გაქცევის დროს სადგურის მოედნის ტერიტორიაზე ლიმონის გამყიდველი მოხუცი ქალბატონი გარდაიცვალა, გული გაუსკდა“, – იხსენებს ჩხარტიშვილი. ის ამ და სხვა ინციდენტებში დამნაშავედ ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უფროსს, ნიკა ნამიჭიშვილს მიიჩნევს. მისი საქმიანობის გამოძიების შესახებ განცხადება ჩხარტიშვილმა არჩევნების შემდეგ ახალი გენერალური პროკურორის სახელზე შეიტანა.

ჩხარტიშვილი გარემოვაჭრეების შევინოებას მთავრობის კორუფციულ ინტერესებს და გარევაჭრობის მონოპოლიზების მცდელობას უკავშირებს. „განდა, სავარაუდოდ, ხელისუფლებასთან დაკავშირებული ადამიანების

მფლობელობაში არსებული „ნუგეშის“, „კოლხის“, „შირაქის ველის“ და რამდენიმე სხვა კომპანიის ჯიხურების ქსელი, რომელიც ვაჭრობდა იმავე პროდუქტით, რითაც გარემოვაჭრეები და სწორედ იმიტომ არბევდნენ მათ ორი წლის განმავლობაში, რათა მოგება ჯიხურების მფლობელებს დარჩენოდათ“.

ჯიხურების გარდა თბილისში გამოჩნდა მერის მიერ ორგანიზებული საკვირაო ბაზრობებიც, რომელიც ასევე გარემოვაჭრეების იდენტური პროდუქტით ვაჭრობდა, თუმცა, ამ ბაზრობებზე მონაწილეობის საშუალება მხოლოდ მერიის მიერ შერჩეულ კომპანიებს ჰქონდათ და არა ინდივიდუალურ მოვაჭრეებს.

ლელა რეხვიაშვილი ამბობს, რომ თუ მერიას გარევაჭრობის რეგულირება უნდოდა და არა მონოპოლიზება, მაშინ სხვა ხერხები უნდა მოეხსა. რეალურად კი მერია საკუთარ წესებს არ იცავს. „თუ აკრძალულია გარევაჭრობა, მაშინ მარტო ნაწილისთვის რატომ არის დაშვებული – საკვირაო ბაზრობები, ჯიხურები და ა.შ. და თუ არ არის აკრძალული, მაშინ ამდენ ხალხს, რომელსაც გარევაჭრობაში ჩართვა უნდა, რატომ არ აძლევს მერია ამის საშუალებას?“

არჩევნების შემდეგ, როცა ცენტრალური ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ თბილისის მთავრობა ისევ ძველი დარჩა, გარემოვაჭრეების მდგომარეობა უცვლელი რჩება. როგორც თავად ამბობენ, მერიის ზედამხედველობის სამსახურს არჩევნების შემდეგ მოვაჭრეებამდე საპატრულო პოლიცია აღარ უშვებს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში პოლიციამ თავად ჩამოართვა პროდუქტი მოვაჭრეებს. ზოგადად, მოვაჭრეები საპატრულო პოლიციისადმი ნდობით არიან განწყობილი, რადგან მართალია, პოლიციელები ვაჭრობას ადრეც უშლიდნენ, მაგრამ შეურაცხყოფას არ აყენებდნენ და მერიის სპეცსამსახურის წარმომადგენლებსაც არ აძლევდნენ მოვაჭრეების ცემისა და ძალადობის საშუალებას.



ფოტო გიორგი შიშინაძე

■ გარევაჭრობას ეკონომიკური ფაქტორის გარდა სამი მთავარი პრობლემა უკავშირდება: გარემოვაჭრები ხელს უშლიან ფეხით მოსიარულეებს, იქმნება სანიტარიული პრობლემები და იცვლება ქალაქის იერსახე, თუმცა, სწორი რეგულირების შემთხვევაში ყოველი მათგანის გადაჭრა შეიძლება.

თუმცა, რამდენადაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი ჯერჯერობით უცვლელია, საპატრულო პოლიცია გამოძახების შემთხვევაში ვალდებულია კანონი დაიცვას.

როგორ შეიძლება ბარემპაჭრობის რეგულირება

მოუწესრიგებელი გარევაჭრობა პოტენციურად საფრთხის შემცველია, მაგრამ რაშია გამოსავალი – აკრძალვაში, მონოპოლიზებაში თუ რეგულირებაში?

ექსპერტები, რომლებიც ამ საკითხზე მუშაობენ, საუკეთესო გამოსავლად გარევაჭრობის რეგულირებას და ლეგალიზებას მიიჩნევენ.

გარევაჭრობას ეკონომიკური ფაქტორის გარდა სამი მთავარი პრობლემა უკავშირდება: გარემოვაჭრები ხელს უშლიან ფეხით მოსიარულეებს,

იქმნება სანიტარიული პრობლემები და იცვლება ქალაქის იერსახე, თუმცა, სწორი რეგულირების შემთხვევაში ყოველი მათგანის გადაჭრა შეიძლება.

„გარევაჭრობა ყველა ქვეყანაში არსებობს, მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში შესაბამისად, ცივილიზებული ფორმა აქვს და განვითარებადში – ისეთი, როგორიც ჩვენთან“, – ამბობს ჩხარტიშვილი, რომელმაც გარემოვაჭრებთან ერთად გარევაჭრობის რეგულირების კანონპროექტიც შეიმუშავა და ჯერ კიდევ 2010 წელს გაუგზავნა პარლამენტს განსახილველად. თუმცა, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა ამ საკანონმდებლო წინადადების განხილვაზე უარი განაცხადა.

კანონპროექტის მიხედვით, ბაზრობებიდან გონივრული დაშორებით უნდა განისაზღვროს ადგილები, სადაც გარემოვაჭრებისთვის ნებადართული იქნე-

ბა ვაჭრობა. უნდა განისაზღვროს ასევე გარემოვაჭრეთა მაქსიმალური რაოდენობა, რომ ხელი არ შეუშალოს ფეხით მოსიარულეებს. შედგეს იმ პროდუქტის სია, რისი გაყიდვაც ქუჩაში არ შეიძლება, მაგალითად, მედიკამენტებისა და მსგავსი რისკის მატარებელი პროდუქტების. „რაც შეეხება მალფუჭებად პროდუქტებს, ჩვეულებრივ, შეიძლება პატარა მაცივრების დადგმა, ისე როგორც ნაყინის მაცივრებია. ასევე შეიძლება სპეციალური დახლების დამზადება პროდუქტებისთვის. ძველი თბილისის შემთხვევაში შესაძლოა სპეციალური დიზაინის დახლები შემუშავდეს, რომელიც იმ გარემოს შეეფერება და ამგვარად, გარევაჭრობა კი არ დაამახინჯებს, პირიქით კოლორიტს შესძენს ქალაქის იერსახეს“, – მიიჩნევს ჩხარტიშვილი.

კანონპროექტით, გარემოვაჭრეები თავისუფალი უნდა იყვნენ გადასახადისგან ან ძალიან ცოტას უნდა იხდიდნენ. ყოველ მოვაჭრეს გამოყოფილი უნდა ჰქონდეს თანაბარი და ამავე დროს შეზღუდული ადგილი, შეზღუდული უნდა იყოს თითოეული მოვაჭრის საქონლის რაოდენობა, რომ ვინმემ ეს შეღავათიანი პირობები არ გამოიყენოს ბიზნესის „გასამსხვილებლად“.

„გარევაჭრობა არ არის ბიზნესი – ეს უფრო სოციალური დაცვის საკითხია და სახელმწიფომაც ასე უნდა შეხედოს“, – ამბობს ჩხარტიშვილი.

მან კანონპროექტი ახალარჩეულ პარლამენტსაც გაუგზავნა ამჟამად თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის სახელზე და მიიჩნევს რომ საკანონმდებლო ორგანომ პროექტი უახლოეს დღეებში უნდა განიხილოს, რადგან ეს განაპირობებს ათასობით ადამიანის ბედს, რომელთა ყოველდღიური გადარჩენაც იმაზეა დამოკიდებული, მისცემს თუ არა სახელმწიფო არსებული მცირე კაპიტალით ვაჭრობის საშუალებას.

გარემოვაჭრები კი, თავის მხრივ, ითხოვენ ახალ წლამდე ამ ფორმით ვაჭრობის გაგრძელების საშუალება მიეცეთ, რომ სადღესასწაულო ვაჭრობით არსებული ვალები დაფარონ და საკუთარი ოჯახებიც უზრუნველყონ. **□**



ანბახიშში დაახიბუნი ბახემო

დემოკრატიულ ქვეყნებს შორის, საქართველო, ალბათ, ერთადერთია, სადაც საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, შესაძლებელია გარემოსთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციით გამოსყიდვა.

ცირა გვასალია



2012 წლის მაისში, სააქციო საზოგადოება „მადნეული“ და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო მოლაპარაკების მაგიდას მიუხდნენ. მოლაპარაკებამ წარმატებით ჩაიარა. სამინისტრო და საწარმო შეთანხმდნენ, რომ 18 წლის განმავლობაში, „მადნეულის“ მიერ გარემოს დაბინძურება 13 მილიონი ლარი ღირს.

შეთანხმების დოკუმენტი ზოგადია. „მადნეულის“ ყოფილი დირექტორის – გიორგი დევაძის და ენერჯეტიკის ყოფილი მინისტრის, ალექსანდრე ხეთაგურის – ხელმოწერით შეთანხმების დოკუმენტში, არცერთი დეტალი არ არის ნახსენები, თუ რა სახის – წყლის, ჰაერის, თუ ნიადაგის – დაბინძურებისთვის უნდა გადაიხადოს საწარმომ 13 მილიონი ლარი.

დოკუმენტი ზოგადად ამბობს, რომ საწარმომ „1994 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის 14 მაისამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილი ყველა ქმედება კანონიერად ითვლება“.

დოკუმენტი არც იმას ხსნის, ვინ და როგორ გამოიანგარიშა 13 მილიონი ლარი.

ასეთი შეთანხმების დადება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა საქართველოს პარლამენტის მიერ, 89 ხმით 8-ის წინააღმდეგ, 2012 წლის 20 მარტს მიღებული ცვლილება კანონებში, მათ შორის, კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“ და „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“, რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს თუ კომპანიას საშუალებას აძლევს, გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ, წარსულში გარემოს დაცვის სფეროში ჩადენილი დანაშაული საკომპენსაციო ფულით გამოისყიდოს.

კანონი არ ადგენს, როგორ უნდა მოხდეს გარემოსთვის მიყენებული ზიანის დათვლა და ვინ ითვლის ამ ზიანს – საწარმო თუ ენერჯეტიკის სამინისტრო.

ამ საკანონმდებლო ცვლილებების მიღებამდე, არსებობდა და არც მისი მიღების შემდეგ გაუქმებულა არაერთი კანონი თუ კანონქვემდებარე აქტი, რომელიც მენარმისა და სახელმწიფოს ურთიერთობას არეგულირებს ბუნე-

ბრივი რესურსების მართვის სფეროში.

არსებობს გარემოსთვის მიყენებული ზიანის დათვლის ფორმულები, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები, რის დარღვევის შემდეგაც, დამაბინძურებელი ისჯება.

2010 წლის გაზაფხულზე იყო შემთხვევა, როდესაც მდინარე მაშავერაში, რომელიც „მადნეულის“ გვერდით ჩამოედინება, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა, რომ სპილენძის, თუთიის, რკინისა და მანგანუმის კონცენტრაცია მნიშვნელოვნად აღემატებოდა ქართული კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

გარემოს დაცვის მაშინდელი მინისტრი გოგა ხაჩიძე და საწარმოს მაშინდელი დირექტორი გიორგი დევაძე აღნიშნავენ, რომ უხვნალექიანობის გამო, წყლის მართვასთან დაკავშირებით, საწარმოს პრობლემა შეექმნა და შესამოწმებლად, საწარმოში გარემოს დაცვის ინსპექციაა შესული.

2010 წელს გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსმა, ლევან მხეიძემ გოგა ხაჩიძის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია არ დაადასტურა. მან აღნიშნა, რომ ინსპექცია საწარმოს შიგნით შესული არ იყო, არამედ გარეთ, საწარმოსთან ახლოს ჩამდინარე მდინარე მაშავერას სინჯები აიღო და საგამოძიებო ჯგუფს გადასცა.

სამინისტროს ასეთი ანგარიში თავის ვებგვერდზე არასოდეს გამოუქვეყნებია. ასევე უცნობი დარჩა, დაისაჯა თუ არა საწარმო ამ კონკრეტული დაბინძურებისთვის.

ამ შემთხვევიდან ორი წლის შემდეგ, გაჩნდა ახალი რეგულაცია, სადაც „მადნეულმა“, უფრო ზოგადი დანაშაულისთვის – 18 წლის განმავლობაში გარემოსთვის მიყენებული დაუკონკრეტებლად ზოგადი ზიანისთვის – კომპენსაციის გადახდა იკისრა.

ამ საკანონმდებლო ცვლილებით, სწორედ ასეთი რეგულაცია შემოვიდა: კომპენსაციის გადახდის საკითხი ისე დგება, რომ სახეზე არ არის არანაირი კონკრეტული გარემოსდაცვითი დანაშაული – წყლის, ჰაერის თუ ნიადაგის დაბინძურება. კომპანიებმა კი ზუსტად

არ იციან, რაში იხდიან ფულს.

„რა დაშავა მადნეულმა 1994 წლიდან და რა შეიძლებოდა დაკისრებოდა ამისათვის – ეს მხოლოდ მკითხაობის საგანია ამგვარი ფაქტების კონკრეტულად რეგისტრაციის გარეშე“, – ამბობს სოსო ცაბაძე, გარემოსდამცველი და Rich Metal Copper-ის („მადნეულის“ შეცვლილი სახელი) მრჩეველი გარემოსდაცვით საკითხებში. – „ზემოხსენებულიდან გამომდინარე, თანხა (იგულისხმება 13 მილიონი ლარი) ციდან ჩამოვარდნილს ჰგავს“.

სხვა ქართველი გარემოსდამცველებიც ფიქრობენ, რომ ამ კანონის მიღების მიზანი გაურკვეველია.

„ცვლილებებთან დაკავშირებით, მეტი კითხვა მაქვს, ვიდრე პასუხი“, – ამბობს ლია თოდუა, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ექსპერტი გარემოსა და მომხმარებლების დაცვის საკითხებში. – „ენერჯეტიკის სამინისტროსთან რომ გვეკონდა შეხვედრა პარლამენტში, ჩვენი მთავარი შეკითხვაც ეგ იყო – რა არის ამ ცვლილების მიზანი“.

და იქმნა კანონი

ენერჯეტიკის ახალ სამინისტროში არავინ ამბობს, თუ ვისი იდეა იყო საკანონმდებლო ცვლილებები.

ირაკლი ხმალაძე, ენერჯეტიკის სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსი, ამბობს, რომ ეს ცვლილება კონკრეტულად არცერთ საწარმოზე არ იყო გათვლილი.

„ამ კანონის მიღების ერთგვარი მიზეზი ის იყო, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ამის გამოყენება მომხდარიყო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით“, – ამბობს ხმალაძე. – „არიან ცნობილი გარემოსდამაბინძურებელი საწარმოები, რომლებსაც ასევე ბევრი დასაქმებული ჰყავთ. მიზანი იყო, რომ არ მომხდარიყო საწარმოს დახურვა, რადგან ეს უფრო მეტ ზიანს მოიტანდა“.

გარემოს დაცვის ინსპექცია, რომელიც საქართველოს მასშტაბით საწარმოების სალიცენზიო პირობებს ამონიშნავდა, შეზღუდული ადამიანური და ტექნიკური რესურსების გამო, არასო-

დეს შესულა არც „მადნეულში“ და არც „საქნახშირში.“

დღემდე არ არსებობს დადასტურებული ინფორმაცია იმაზე, თუ რა მასშტაბებისაა კომპანიების მიერ გარემოს დაბინძურება.

„შესაბამისად, არ არსებობს ინფორმაცია, დადგებოდა თუ არა ამ საწარმოების დახურვის საკითხი“, – ამბობს ნელი კორკოტაძე, რომელიც 2005 წლიდან 2011 წლამდე გარემოს დაცვის ინსპექციის ინსპექტორების სამსახურის უფროსი იყო.

დანიტრესებული საწარმო, რომელიც მზადაა ასეთი სახის შეთანხმება გააფორმოს ენერგეტიკის სამინისტროსთან, ხმალადის თქმით, თვითონ მოდის სამინისტროში და კონკრეტული ვადის ფარგლებში, ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში, ჩადენილი დანაშაულისგან გათავისუფლებას ითხოვს.

„როდესაც კომპანია წინადადებით შემოდის ენერგეტიკის სამინისტროში, განცხადება ასევე მოიცავს წინადადებას, თუ რა ოდენობის კომპენსაციას სთავაზობს სახელმწიფოს“, – ამბობს ხმალადე.

შემოთავაზებულ წინადადებას პრემიერ-მინისტრი განიხილავს. მას შეუძლია საწარმოს უარი უთხრას შემოთავაზებულ წინადადებაზე.

უარს კი არ ასაბუთებს.

2012 წლის მარტიდან დღემდე, სამმა კომპანიამ შეიტანა მსგავსი განაცხადი. სამივე წინადადება თავის დროზე, მოიწონეს და დაამტკიცეს ყოფილმა პრემიერ-მინისტრებმა – ნიკა გილაურმა და ვანო მერაბიშვილმა.

„მადნეულს“ ხარკი

შეთანხმებას „მადნეულსა“ და ენერგეტიკის სამინისტროს შორის ხელი საწარმოს ყოფილმა დირექტორმა, გიორგი დევაძემ და ენერგეტიკის ყოფილმა მინისტრმა, ალექსანდრე ხეთაგურმა მოაწერეს.

ალექსანდრე ხეთაგურმა უარი თქვა ამ საკითხზე ესაუბრა. გიორგი დევაძემ, რომელიც ამჟამად სომხეთში მოღვაწეობს, არც სატელეფონო ზარებს

უპასუხა და არც ელექტრონული ფოსტით მიწერილ კითხვებს.

როცა ამ შეთანხმებას ხელი მოეწერა, საწარმო მეორედ გაყიდული არ იყო – „მადნეულს“ ჯერ კიდევ GeoProMining-ი ფლობდა. საწარმო მეორედ 2012 წლის ივნისში გაიყიდა და საწარმო და ყველა მისი აქტივი რუსულმა კომპანია Capital Group-მა შეიძინა. მას მერე, „მადნეულს“ სახელი გადაერქვა და ამჟამად Rich Metal Copper ჰქვია.

Rich Metal Copper-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი, თამუნა ლილუაშვილი, რომელიც შეთანხმების ხელმოწერის დროს კომპანიაში არ მუშაობდა, ამბობს, რომ ამჟამინდელმა მენეჯმენტმა არ იცის, თუ რატომ მოაწერა საწარმომ ხელი ამ

სოსო ცაბაძეს და საწარმოს ახალ მენეჯმენტს ასეთი შეთავაზება აქვს ენერგეტიკის სამინისტროსთან: 13 მილიონი ლარი მიზნობრივად გარემოსთვის დაიხარჯოს.

მისივე თქმით, ამჟამად, საწარმოს მთავარი გამოწვევა წყლის დაბინძურების კონტროლია.

ცაბაძის თქმით, ამისთვის დროულად უნდა მოხდეს მილსადენი სისტემიდან წყლის ჭრვა და მათი მდინარე მასავერაში მოხვედრა.

„საქნახშირის“ ხარკი

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „საქნახშირი“ ენერგეტიკის სამინისტროს 40 ათასი ლარის გადახდაზე შეუთანხმდა.

ამ საკანონმდებლო ცვლილებით, სწორედ ასეთი რეგულაცია შემოვიდა: კომპენსაციის გადახდის საკითხი ისე დგება, რომ სახეზე არ არის არანაირი კონკრეტული გარემოსდაცვითი დანაშაული – წყლის, ჰაერის თუ ნიადაგის დაბინძურება. კომპანიებმა კი ზუსტად არ იციან, რაში იხდიან ფულს.

შეთანხმებას და ვინ და როგორ გამოითვალა 13 მილიონი ლარი.

სოსო ცაბაძე, Rich Metal Copper-ის მრჩეველი გარემოსდაცვით საკითხებში, ამბობს, რომ ყიდვის დროს, როცა ახალი ინვესტორი კომპანიას სწავლობდა, მსოფლიოში აღიარებულ აუდიტორულ კომპანია KPMG-ის დახმარებით, არაფერი იცოდნენ 13 მილიონის შესახებ.

ამიტომაც, როგორც თვითონ ამბობს, მან „საქართველოს მწვანეთა მოძრაობას“ სთხოვა, რომ დოკუმენტი ოფიციალურად გამოეთხოვა ენერგეტიკის სამინისტროდან.

შეთანხმების დოკუმენტს თანხის გადახდის გრაფიკი მოჰყვება. როგორც ცაბაძე ამბობს, 3 მილიონი ლარი უკვე გადახდილია და დანარჩენი კი საწარმომ 2014 წლის მარტამდე უნდა დაფაროს.

სანაცვლოდ, ნახშირის მინისქვეშა წესით მომპოვებელ საწარმოს, 2010 წლის 6 იანვრიდან 2011 წლის 12 ოქტომბრამდე „ბუნებრივი რესურსების მოპოვების სფეროში ჩადენილი ყველა დანაშაული მოეხსნა“.

კითხვაზე, თუ რატომ შეუთანხმდა სამინისტროს კომპენსაციაზე, კუხალაშვილი ასე პასუხობს: „გადაწყვეტით, რომ ეს ერთგვარი ერთჯერადი კომპენსაცია ყოფილიყო“.

რაც შეეხება თანხის გამოთვლას, კუხალაშვილი ამ დეტალების საქმის კურსში არ არის.

„მოლაპარაკების პროცესში, სხვადასხვა დოკუმენტაცია წარმოვადგინეთ სამინისტროში“, – ამბობს ის. კუხალაშვილი ვერ აზუსტებს, კონკრეტულად რა სახის დოკუმენტები წარადგინეს სამინისტროში.

„ფული საიდან გამოითვალეს, არ ვიცი. ეს სამინისტროს უნდა ჰკითხოთ“, – ამბობს კუხალაშვილი.

ირაკლი ხმალაძე, ენერგეტიკის სამინისტროს იურისტი, ამბობს, რომ სანარმოები მათ თვითონ სთავაზობენ თანხას.

„ალბათ, კომპანია თანხის გამოანგარიშებას თავის ლოგიკას უკავშირებს.“

„Polat Yol Yapi Sanayi Ve Ticaret A.S.“ – ის სტრუქტურა

მესამედ – 2012 წლის 6 აგვისტოს – ენერგეტიკის სამინისტროს თურქული კომპანია Polat Yol Yapi Sanayi Ve Ticaret A.S. შეუთანხმდა.

განსხვავება დროშია: კომპანია „ბუნებრივი რესურსების სარგებლობის

დროებით დაყარა, რაც მოგვიანებით, აიღო კიდევ.“

იილმაზი ამბობს, რომ შეთანხმება სამინისტროსთან კომპანიის ინიციატივით მოხდა. მისი თქმით, დაჯარიმებისგან თავის არიდების მიზნით, კომპანიამ სამინისტროსთან შეთანხმების დადება გადაწყვიტა.

„რადგან პროექტი სწრაფად უნდა დაგვესრულებინა“, – ამბობს იილმაზი. – „ჩვენი ქმედება სულ ეს იყო: მინა დროებით სხვის კუთვნილ ტერიტორიაზე გვექონდა დაყრილი და არ გვინდოდა, რომ ვინმეს დავეჯარიმებინეთ.“

კითხვაზე, თუ ვინ გამოითვალა 20 ათასი ლარი და როგორ, ალი იილმაზი ამბობს, რომ მან არაფერი იცის ამის შესახებ. „ჩვენ საქართველოში სტუ-

„ეს შეთანხმებები კითხვებს ბადებს“, – ამბობს ირაკლი ხმალაძე, ენერგეტიკის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი. – „აბსოლუტურად ვეთანხმები ამ კუთხით რა მოსაზრებასაც გამოხატავენ“.

ინიციატივა ამ კანონმდებლობის გადახედვაზე გარემოს დაცვის ახალმა სამინისტრომ წამოაყენა.

„ჯალო კანონი“

20 ნოემბერს, გარემოს დაცვის სამინისტროს ახალ სტრუქტურაზე საუბრისას, გარემოს დაცვის ახალმა მინისტრმა, ხათუნა გოგალაძემ 2012 წლის 20 მარტს პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს „ჯალო კანონი“ უწოდა.

„კანონის მიხედვით, შეთანხმებები ენერგეტიკის სამინისტროსა და მენარმეს შორის იდებოდა. გარემოს დაცვის სამინისტრო არ მონაწილეობდა ამ ყველაფერში“, – აღნიშნა გოგალაძემ. – „აქედან გამომდინარე, არცკი ვიცი, რამდენად ნებაყოფლობითი იყო სანარმოების ინიციატივები. თუმცა, ინტუიცია მკარნახობს, რომ ნებაყოფლობითი არ იქნებოდა“.

სანარმოების მხრიდან შეთანხმების ნებაყოფლობაზე ეჭვს გამოთქვამს ლია თოდუაძე, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ექსპერტი გარემოსა და მომხმარებლების დაცვის საკითხებში.

„შეთანხმებები სრულ მორჩილებას ნიშნავდა კომპანიის მხრიდან – რასაც გეტყვიან, იმას უნდა მოაწერო ხელი“, – ამბობს თოდუაძე.

გარემოს დაცვის სამინისტრომ ახალი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი შეიმუშავა. ცვლილებები უნდა შევიდეს კანონშიც „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის 57-ე მუხლში, რომლის საფუძველზეც იდებოდა შეთანხმებები.

გარემოს დაცვის სამინისტროს უფროსი იურისტი მაია ბითაძე ამბობს, რომ ცვლილებები 2013 წლის მარტისთვის უნდა შევიდეს ძალაში – იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ცვლილებებს მხარს დაუჭერს. **■**

■ „კანონის მიხედვით, შეთანხმებები ენერგეტიკის სამინისტროსა და მენარმეს შორის იდებოდა. გარემოს დაცვის სამინისტრო არ მონაწილეობდა ამ ყველაფერში“, – აღნიშნა გოგალაძემ. – „აქედან გამომდინარე, არცკი ვიცი, რამდენად ნებაყოფლობითი იყო სანარმოების ინიციატივები. თუმცა, ინტუიცია მკარნახობს, რომ ნებაყოფლობითი არ იქნებოდა“.

სფეროში ჩადენილი დანაშაულისგან“ 2011 წლის 8 ივლისიდან 2012 წლის 20 ივლისამდე გათავისუფლდა.

ფულად ზარალი 20 ათას ლარში აისახა. თანხა სრულად სანარმომ უკვე გადაიხადა.

თურქული კომპანია Polat Yol Yapi Sanayi Ve Ticaret A.S. საქართველოში „ბაქო-თბილისი-ყარსის“ რკინიგზის მშენებლობის 14 კილომეტრიან მონაკვეთს აშენებდა ახალქალაქთან.

კომპანიის ფინანსური დირექტორის, ალი იილმაზის თქმით, საქართველოში ბუნებრივი რესურსების სფეროში მათი საქმიანობა იმით შემოიფარგლა, რომ კომპანიამ რკინიგზის მშენებლობის დროს, მინა ერთი ადგილიდან აიღო და მეორე ადგილას,

მრები ვართ – საქართველოს კანონმდებლობა არ ვიცით“, – ამბობს ის.

ვინ ითვლის?

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ ნარკვევი, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებას ეხება, ამბობს:

„კანონში არ არის ასახული, თუ როგორ, რა კრიტერიუმებით და ფორმით უნდა მოხდეს შეთანხმებით გათვალისწინებული კომპენსაციების გაანგარიშება. ეს გარემოებები კანონს, ფინანსური თვალსაზრისით, მთლიანად დაუსაბუთებელს ხდის, რაც არამართო გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ხასიათის, არამედ კორუფციული ხასიათის რისკებსაც ზრდის.“



WWW.LIBERALI.GE





ფოტო: ნაზარაძე

მუხა დათვი - ბიბონიის სამიზნე

2009 წლიდან დღემდე არალეგალური ნადირობის ფაქტზე მხოლოდ 4 ადამიანი დაკავებული.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ბრაკონიერობის შემთხვევები მაინც ფიქსირდება, მსხვერპლი ცხოველები „ნითელ ნუსხაში“ შესული იშვიათი ჯიშის სახეობებია. მათ შორის არის მურა დათვი, რომელიც რეპროდუქციის დაბალი ტემპით ხასიათდება.

სოფო აფციაური

ორი თვის წინ ფოტოდოკუმენტალისტი ნიკა ნიკლაური შაორის წყალსაცავთან დათვისთვის დაგებულ ხაფანგში მოყვა. მისგან თავის დაღწევის შემდეგ დაზიანებული ფეხის სამკურნალოდ ამბროლაურის საავადმყოფოს მიმართა. ქირურგმა უთხრა, რომ ბოლო პერიოდში მსგავსი დაზიანებით რამდენიმე ადამიანმა მიმართა.

შემთხვევიდან რამდენიმე კვირაში ნიკა ნიკლაური საქმის აღძვრის მიზნით შემთხვევის ადგილზე დაბრუნდა და ამბროლაურის რაიონის პოლიციის გამომძიებელს საქმის მასალები გააცნო.

იმ ტერიტორიაზე, სადაც ფოტოგრაფი დათვისთვის დაგებულმა ხაფანგმა დააზიანა, „ლიბერალიც“ იმყოფებოდა.

შაორის წყალსაცავიდან დაახლოებით 50 მეტრში შაორის ტყის მასივი იწყება. ტყის ნაწილი პიკაპის ტიპის ჯიშით პოლიციის თანამშრომლებთან ერთად გავიარეთ, დაახლოებით ერთი კილომეტრი კი – ფეხით.

„25 წელია ამ რაიონში ვცხოვრობ და ერთხელაც არ გამჩენია ამოსვლის სურვილი, აქაურობა მტაცებელი ცხოველებითაა სავსე, იარაღის გარეშე როგორ გაბედე გადაადგილება?“ – ეკითხება პატრულის ერთ-ერთი თანამშრომელი ნიკა ნიკლაურს.

სანამ შემთხვევის ადგილზე მივიდოდით, ბილიკის დასაწყისში მინაში ჩარჭობილი ჯვრის ფორმის ნიშანი შეგვხვდა.

ამავე სახის ნიშანი ბილიკის ბოლოშიც იყო დამაგრებული.

გამომძიებელმა ფოთლებით დაფარული ორმო და ის ადგილი, სადაც ხაფანგი იყო დაგებული, გულდასმით დაათვალიერა.

„ეს ხაფანგი აშკარად ძველი დაგებული იყო, დაუანგებელი იქნებოდა. შეიძლება მისი პატრონი ახლა ცოცხალიც აღარაა, თორემ სხვა შემთხვევაში ასე ადვილად ვერ გაითავისუფლებდი მისგან თავს“, – უთხრა პოლიციის თანამშრომელმა ნიკას.

მიუხედავად იმისა, რომ ხის ტოტი აშკარად ახალი დაჭედებულია და მასზე ფოთლებიც კია შემორჩენილი პოლიციელის ნათქვამს გამომძიებელიც დაეთანხმა. „მართალია, ვერ დავიჯერებ, რომ ეს მახე ახალი დაგებულია“.

ამბროლაურის რაიონის პოლიციამ საქმე სამი მუხლით აღძრა. მურა დათვე ნადირობა აკრძალულია, რადგან ის საქართველოს ნითელ ნუსხაში შესული ცხოველია, აკრძალულია ხაფანგით ნადირობა და მესამე – პირისთვის ფიზიკური ზიანის მიყენება.

როგორც აღვნიშნეთ, მურა დათვი ერთ-ერთი იშვიათი სახეობაა.

სხვა მსხვილი ძუძუმწოვრების მსგავსად, იგი რეპროდუქციის ბუნებრივად დაბალი ტემპით ხასიათდება – ძუ დათვი შთამომავლობას ორ წელიწადში ერთხელ იძლევა, ბელი სქესმნიფობას კი მხოლოდ 3-5 წლის ასაკში აღწევს.

ქვეყანაში არალეგალური ნადირობა ფართოდაა გავრცელებული, ეს კი, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს დათვის პოპულაციის მდგომარეობაზე.

სახეობათა კონსერვაციის ცენტრ „ნაკრესის“ 2004-2005 წლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, მთელი საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 450 დათვია დარჩენილი. 2006 წლის მიახლოებითი გათვლებით კი, წელიწადში ბრაკონიერები 100-მდე დათვს კლავენ.

არალეგალური ნადირობის შემთხვევებს ვერ იხსენებს ხარაგაულის პოლიციის გამომძიებელი და აღნიშნავს, რომ ფოტოგრაფ ნიკა ნიკლაურის შემთხვევა რაიონში პირველია.

„აქამდე ამბროლაურში არცერთი უკანონო ნადირობის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ინფორმაცია არ გვაქვს, რა სიხშირით ნადირობენ კონკრეტულად მურა დათვეზე“, – აღნიშნავს არაოფიციალურ საუბარში გოჩა დონაძე.

დაახლოებით ერთი წელი იქნება, რაც ტყის კონტროლი და ბრაკონიერებისგან ცხოველის დაცვა მთავრობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადააბარა, იქამდე ეს ფუნქცია გარემოს დაცვის ინსპექციას ევალებოდა, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის შემდეგ დაიშალა და ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შეუერთდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაკრესის“ ხელმძღვანელის ირაკლი შავგულიძის თქმით, პატრულის თანამშრომლებისთვის ბრაკონიერებისგან ცხოველების დაცვა პრიორიტეტული არ არის. მათ ისედაც უამრავი საქმე აქვთ, ამიტომ პოლიციისთვის ამ საქმის სათანადოდ შესრულება რთულია.

„ტყის კონტროლი და არალეგალურ ნადირობასთან ბრძოლა სპეციფიკური საქმეა. პოლიციას არ აქვს სათანადო მომზადება, რომ ტყე-ლრეში ბრაკონიერის კონტროლი შეძლოს. ზოგ ტყის მასივში, მანქანით გადაადგილებაც კი შეუძლებელია. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ საქმის შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაბარების იდეა თავიდანვე განწირული იყო. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენთვის, ცხოველთა უფლებების დამცველებისთვის, არ აქვს მნიშვნელობა, რომელი სტრუქტურა გააკონტროლებს ტყეს, მთავარია, ეს ეფექტური და შედეგიანი იყოს. შსს-ს შეეძლო ეკოპოლიციის მსგავსი სისტემა შეექმნა და ამ ჯგუფს კონკრეტულად ტყის კონტროლი დავალებოდა“, – აღნიშნავს „ნაკრესის“ ხელმძღვანელი.

პოლიციის მიერ ტყის მასივის კონტროლის სიძნელებზე ამბროლაურის პატრულის თანამშრომლებიც საუბრობენ და არაოფიციალურად აღნიშნავენ, რომ მათთვის რთულია ერთდროულად რაიონის საქმეებს მიხედონ და პარალელურად, ტყის უსაფრთხოება აკონტროლონ.

2013 წლის დასაწყისში ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ამ ფუნქციის დაბრუნებას გეგმავს.

რატომ კლავენ მურა დათვს?

დათვს სხვადასხვა მიზეზით ესხმიან თავს. „ნაკრესის“ დათვის კონსერვაციის პროგრამის ხელმძღვანელი ბეჟან ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ ეს ცხოველი თავს ესხმის შინაურ პირუტყვს და ანადგურებენ ნათესებს. ამიტომაც სოფლის მოსახლეობა სხვადასხვა საშუალებას მიმართავს დათვების გასანადგურებლად.

გარდა ამისა, საქართველოში გავრცელებულია ტყვე დათვის ბელების ყოლის ტრადიცია. რესტორანში კლიენტის მოზიდვის მიზნით, გალიებში დამწყვედული დათვები ჰყავთ ავტოგასამართ სადგურებსა და რესტორნებში.

„ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაციით, არალეგალური ნადირობის შედეგად ბოლო წლების განმავლობაში სულ რამდენიმე ადამიანია დასჯილი. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ეს არის პარადოქსი. ბევრ გზისპირა რესტორანში შეხვედებით კედელზე გაკრულ დათვის ტყავს, გალიაში მყოფ ბელებს, ნახავთ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოებს, სადაც მონასტრებში ბერებთან ერთად ცხოვრობენ ეს ცხოველები. უნდა გავითვალისწინოთ, რომ დათვი თავის ნაშიერს არასდროს ტოვებს, შესაბამისად,

■ სახეობათა კონსერვაციის ცენტრ „ნაკრესის“ 2004-2005 წლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, მთელი საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 450 დათვია დარჩენილი. 2006 წლის მიახლოებითი გათვლებით კი, წელიწადში ბრაკონიერები 100-მდე დათვს კლავენ.

შეიძლება ითქვას, რომ ერთი ბელის უკან, მინიმუმ ერთი დედა დათვია მოკლული“, – ამბობს „ნაკრესის“ თანამშრომელი.

დათვს ასევე კომერციული მიზნითაც ესხმიან თავს. საქართველოში გავრცელებულია ცხოველის დერივატებით ვაჭრობა, დათვის ქონსა და ნაღვლის ბუშტს ხალხურ მედიცინაში იყენებენ.

ნიკა ნიკლაურის თქმით, გარდა ხაფანგისა, ნადირობისთვის მარყუჟსაც იყენებენ. ხის ტოტზე დამაგრებული მარყუჟს დათვი ფეხს აბიჯებს და ჩამოვარდნილი მორი თავში ეცემა. მარყუჟს კლდის ნაპირზეც ამაგრებენ, რომლისგანაც თავისდაღწევის მცდელობისას დათვი კლდეზე ეკიდება და ამ შემთხვევაშიც, თუ ის არავინ იპოვა, კვდება.

პრობლემის გადაჭრის გზაში

ბეჟან ლორთქიფანიძის თქმით, არალეგალური ნადირობის გავრცელებას სხვადასხვა მიზეზი აქვს. კერძოდ, „ნაკრესის“ წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ პირველ რიგში, გადასახედი და მოსაწესრიგებელია ნადირობის შესახებ კანონი: „კანონმდებლობა მკაცრია, რის შედეგადაც, ჩვეულებრივი მონადირე ბევრ შემთხვევაში ბრაკონიერად გადაიქცევა. მაგალითად, კურდღელზე ნადირობა დღეს მხოლოდ სამონადირეო მეურნეობებშია დაშვებული, როცა ამის რესურსი სხვა ადგილებშიცაა. უნდა დაინყოს აღწარმოება, შემდეგ შესაბამისი კვოტა გამოიყოს და პარალელურად, მოხდეს პროცესის კონტროლი. კანონის ლიბერალიზაცია, ვფიქრობ, სიტუაციას განმუხტავდა. ამით მონადირეები და ბუნების დამცველები შეთანხმებას დადებდნენ“.

ერთ-ერთი გზა სანადირო მეურნეობების სწორი ფორმით მართვა (თუმცა, მურა დათვის შემთხვევაში, მასზე ნადირობა მეურნეობებშიც აკრძალულია).

„მართალია, ამ ბიზნესში დიდი ინვესტიციები იდება, მაგრამ ის ჯერჯერობით განუვითარებელი და არაუფექტიანია. მეურნეობები, როგორც კომერციული ერთეულები, სათანადოდ ვერ ფუნქციონირებენ და გარდა ამისა, არ ხდება მასზე კონტროლის მექანიზმის შემუშავება“, – აღნიშნავს ირაკლი შავგულიძე.




რაც შეეხება ტყის მასივის კონტროლს, „ნაკრესის“ ინფორმაციით, ამ მხრივ ყველაზე უკეთესი მდგომარეობა დაცულ ტერიტორიებზეა. მაგალითად, ვაშლოვანის ნაკრძალში, დაწესებულია პატრულირების სისტემა. რეინჯერები შეიარაღებულები არიან და დღის განმავლობაში, დაცულ ტერიტორიას ბრაკონიერებისა და უკანონო ხე-ტყის ჭრისაგან იცავენ.

„ჩვენი რეკომენდაციაა, დაცული ტერიტორიების გარეთაც ტყის კონტროლისთვის კონკრეტული პირები გამოიყენენ, რომლებსაც შესაბამისი კომპეტენცია და აღჭურვილობა ექნებათ. ეს არის ერთადერთი სწორი ნაბიჯი, რაც ცოტათი მაინც შეუწყობს ხელს არალეგალური ნადირობის შემცირებას“ – ამბობს „ნაკრესის“ ხელმძღვანელი ირაკლი შავგულიძე. ■



სხანი
შოკოლადი
98.5 FM

☎ 2 985 985
✉ radio@shokoladi.ge
🌐 radio.shokoladi.ge



	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
07:50	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები		
08:00							
09:00							
10:00							
11:00						უიკენდი	ღვინის გზამკვლევი
12:00					უიკენდი	ტეჩუუ	ნიგნები
13:00	ღვინის გზამკვლევი	ტეჩუუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ჰაუსი	ნიგნები	არტ ჰაუსი	ცოცხალი ზონა
14:00						ცხოვრების საუნდტრაკი	უიკენდი
15:00							
16:00							
17:00							
18:00	ტეჩუუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ჰაუსი	ნიგნები	ღვინის გზამკვლევი		
19:00	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი		
20:00				ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუნდტრაკი	ცხელი შოკოლადის ისტორიები	
21:00						სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები
22:00							
23:00							
00:00							
01:00							
02:00	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი		
02:30	ტეჩუუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ჰაუსი	ნიგნები	ღვინის გზამკვლევი		
03:15				ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუნდტრაკი		



ფოტოკრეატიუმი
ფრანგული
ანტი-კორიდა

ირაკლი ძნელაძე

ფოტორეპორტაჟი

კორიდა ესპანური სიტყვაა, ზუსტი თარგმანით „ხარების სირბილს“ ნიშნავს. ამ უძველესი ესპანური ტრადიციის შესახებ ალბათ, ყველას გასმენიათ. ის ესპანეთის გარდა სხვა სახელმწიფოებშიც არსებობს. საქართველოში მსგავსი ტრადიცია ცნობილი იყო სახელწოდებით „კურული“, საფრანგეთში კი „la tauromachie“.

ერთ დღეს ლუერში „რაფაელის“ გამოფენის სანახავად მიმავალი, პა-

ლე-როიალის მოედანზე, სახელმწიფო საბჭოს (conseil d'eta) წინ, მანიფესტანტთა ჯგუფს შევეფეთე. ჩემი ყურადღება მათმა პლაკატებმა მიიპყრო, რომლებზეც ხარებისადმი სასტიკი მოპყრობა იყო გამოსახული.

როგორც გადაღების დროს გავარკვიე, აქცია „ბრიჯიდ ბარდოს“ ფონდმა და ორგანიზაცია „ანტი-კორიდამ“ მოაწყო. დემონსტრანტები საფრანგეთში კონსტიტუციური სა-

ბჭოს, 21 სექტემბრის დადგენილებას აპროტესტებდნენ. ეს დადგენილება არ უარყოფდა კორიდას (ფრ. „la tauromachie“) არსებობას საფრანგეთში და როგორც ძველ ტრადიციას, მას მხარს უჭერდა.


აჟიტირებულ მომიტინგეებს შეუერთდი და მანიფესტაციის მონაწილეებთან ერთად რამდენიმე საათი გავატარე.


აღელვებისგან სრულიად გადა-



მავინყდა რაფაელის გამოფენისკენ გზის გაგრძელება.

ყველა ადამიანი ინდივიდია და ყველას თავისი აზრი აქვს. ზოგისთვის ეს უძველესი ტრადიციაა, ზოგისთვის კიდეც საშინელი სისასტიკე. ამ ყველაფრის შემხედვარეს შინაგანი პროტესტის გრძნობა გამიჩნდა.

აქციის მიუხედავად, ამ დრომდე საფრანგეთის კანონმდებლობაში არანაირი ცვლილება არ შეუტანიათ. 




ՅՄՇՄՐԱՅՄՐԿԵՄ





პატარა ბებია და იდი იზომასია



პატა ქურდაძე
მწერალი

ვიყოთ გულახდილები და ვაღიაროთ: რუსებთან კულტურულად მართლაც ბევრი რამ გვაკავშირებს. მაგალითად, კრილოვის ცნობილი იგავის პატარა ბეკეკასა და ბოროტი მგლის ტრაგიკული ფინალის გავლენა ჩვენს მენტალიტეტზე: „დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალი?“

ბეკეკას ეს ერთგვარი ეპიტაფია, წარუშლელად და ღრმად არის ამოტვიფრული ჩვენი და რუსი ხალხის სოციალურ შემეცნებაში. მართალია, ამ იგავის დაწერის შემდეგ საუკუნუნახევარი გავიდა, მაგრამ ჩვენ, ისევე როგორც ჩვენს ყოფილ „უფროს ძმებს“ გვჯერა, რომ სამართალი გეომეტრიულია და ის „ზომებზეა“ დამოკიდებული, როგორც პირად, ისე სახელმწიფოებრივ დონეზე, და ეს პრიმიტიული „კონცეფცია“ განსაკუთრებით ამ უკანასკნელის, ანუ სახელმწიფოს შემთხვევაში იგრძნობა.

რუსებს მიაჩნიათ, რომ მათი ზომები სრულიად საკმარისი არგუმენტი იმისათვის, რომ პატარა მეზობლებს, როცა მოესურვებათ, მაშინ დაუდგინონ ჭეშმარიტება, და მერე კი, გაანადგურონ. ქართველს კი სჯერა: მისი ქვეყანა იმდენად პატარაა, რომ საკუთარი ჭეშმარიტების დადგენაზე დაძაბვა სულაც არ არის საჭირო, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში, ჭეშმარიტებას დიდები ადგენენ. ბეკეკა სახელმწიფოების ერთადერთი შანსი კი ადაპტირება, ანუ ბეკეკას დიპლომატიია.

მოსაზრება, რომ საქართველოზე პატარა ბელგიას, თუ მეტი არა, არანაკლები „გეოპოლიტიკური ღირსება“ გააჩნია, ვიდრე უზარმაზარ ყაზახეთს ან მონღოლეთს, ჩვენთვის ღირებუ-

ლი არგუმენტი არ არის, რადგან მიგვაჩნია, რომ ბელგიისგან განსხვავებით, მეზობლებში არ გაგვიმართლა... ეს გრძელი და უმადური სადისკუსიო თემაა. ყველა ქვეყანა თავისი ტრაგედიიდან მოდის, და ეს ტრაგედია ძირითადად მეზობლებს უკავშირდება. ვერავის დაუმტკიცებ, რომ შენი ისტორიული ფანტომური ტკივილები უფრო ინტენსიურია, ან რა საჭიროა! მთავარია, რომ ვერც ჩვენ და ვერც რუსებმა დღემდე ვერ შევიგნეთ, რომ 21-ე საუკუნეში ქვეყნის ღირსება მისი ღირებულებებითა და მათ მიმართ ერთგულებით დგინდება და არა ზომებით. ბელგია ეკონომიკურადაც და უსაფრთხოების თვალსაზრისითაც ზუსტად ისევეა დამოკიდებული დიდ ქვეყნებზე, როგორც ჩვენ, თუმცა ის ამის გამო ბეკეკა-სახელმწიფო სულაც არაა, რომელიც ფიქრობს, რომ დიდ

მეზობლებთან – საფრანგეთთან, ბრიტანეთთან ან გერმანიასთან სამართალი არ გაუვა.

დღევანდელი მსოფლიო ძალიან შორსა სრულყოფისგან, მაგრამ ის მინც ოდნავ უფრო სამართლიანია, ვიდრე კრილოვის ეპოქაში. ყოველ შემთხვევაში, დიდისა და პატარის კონფლიქტისას სამართლიანობის შანსი გაცილებით მეტია, დემოკრატია კი სხვა არაფერია, თუ არა თანაბარი შანსი.

იმისათვის, რომ ჩვენს ეპოქაში ეს შანსი რეალური გახდეს, ანუ დიდ კაცთან სამართალი გაგვიდგეს, სულ ცოტა რამ არის საჭირო – მართალი უნდა იყო. როგორც, მაგალითად, 2008 წლის ომში, სადაც სამართალმა მთლიანად თუ არა, 80 პროცენტით მაინც იზეიმა.

ნამდვილი დემოკრატიული ღირებულებები ერთადერთი იარაღია, რო-



მელიც საქართველოსნაირ ბეკეკა სახელმწიფოს გადარჩენის შანსს აძლევს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგექცევიან ზუსტად ისე, როგორც დღეს გვექცევიან. ჩათვლიან, რომ ბეკეკასთვის განვითარების ეს დონე სავსებით საკმარისია და სტაბილურობის შენარჩუნებას შეუწყობენ ხელს. დროდადრო თავზე ხელს გადაგისვამენ, ხან დაგტუქსავენ, ხანაც შეგაქებენ, გაგინყრებიან, მერე დაგიყვავებენ... ამასობაში შენი სიკვდილივით მოსაწყენი ცხოვრება თვალსა და ხელს შუა სადღაც გაგეპარება, იმ ღირსებასავით, რომელიც კენჭებით ყრია გარშემო და რომლის აღება არც გიფიქრია, რადგან რელიგიურად გჯერა, რომ „დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი?“

გჯეროდა, რომ „ფიგაროს“ და „ვან-შინგტონ პოსტის“ ჟურნალისტის აზრი შენს შესახებ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შენივე საკუთარი. გჯეროდა, რომ თუკი რამდენიმე უცხოელი პოლიტიკოსი შენიშვნას მოგცემს იმის გამო, რომ ცდილობ, ის სამართალი იპოვო, რომელიც მის ქვეყანაში თვით ღმერთზე მაღლა დგას, ალიაქოთი უნდა ატეხო, ისტერიული დისკუსიები გამართო ტელევიზიაში, პრესში, პარლამენტში... არ გჯეროდა მხოლოდ საკუთარი სიმართლის და სწორედ ამიტომ ვერ იცავდი. რადგან პატარა, საყვარელი და სტუმართმოყვარე მარადიული ბეკეკა ხარ, და ჯერ კიდევ ვერ მიხვდი, რომ მგელი მხოლოდ შენი მხდელი წარმოსახვის ნაყოფია, რომელიც მაშინვე ქრება, როგორც კი შენს სიმართლეს დაამტკიცებ. საერთოდ, სიმართლეს ერთი უცნაური თვისება აქვს, ის გამუდმებით უნდა ამტკიცო, სხვანაირად ის დაუჯერებლად ჟღერს. მისი მოცემულობა, სტანდარტი არცერთ საზოგადოებაში არ არსებობს, თვით დემოკრატიულად მიჩნეულ დასავლეთშიც კი. თუმცა ამასაც გარკვეული ცოდნა და ნიჭი, ენერჯის დახარჯვა, შრომა სჭირდება. გაცილებით ადვილია ბეკეკა იყო და შენი სიმართლით დისკომფორტი არ შეუქმნა „დიდ კაცებს“, ამისათვის ყოველთვის გადაგისვამენ თავზე ხელს, ყოველთვის

გვერდში ამოგიდგებიან, მოგიწონებენ საქციელს და გეტყვიან, რომ ბეკეკას პირობაზე არც ისე ჩერჩეტი ხარ.

დასავლეთიდან წამოსული ზოგიერთი რეაქცია, სწორედ ამ „ბეკეკას დიპლომატიის“ ნაყოფია, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება მთელი ამ წლების განმავლობაში ნერგავდა. დასავლეთს ვერც გაამტყუნებ – როდესაც ათასგვარი პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისით თავგზააბნეულს, არც ისე კარგად ნაცნობი ახალი სიმპათიური პარტნიორი რვა წლის განმავლობაში ჩასჩიჩინებს, რომ მისი ქვეყანა „ვარდების რევოლუციამდე“ კორუმპირებული ბარბაროსებისა და

■ ნამდვილი დემოკრატიული ღირებულებები ერთადერთი იარაღია, რომელიც საქართველოსნაირ ბეკეკა სახელმწიფოს გადარჩენის შანსს აძლევს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგექცევიან ზუსტად ისე, როგორც დღეს გვექცევიან.

განგსტერების ქვეყანა იყო, ნაწილობრივ მაინც დაიჯერებს, რადგან ამ ამბებში ღრმად ქექვის არც დრო აქვს, და არც სურვილი, ისედაც მიაჩნია, რომ საკმარისზე მეტ დროს უთმობს ამ უცნაურ ეგზოტიკურ ადამიანებს, რომლებმაც საოცარი სისწრაფით, სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში აითვისეს ევროპული მანერები.


სამი თვის წინ, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, 24 აგვისტოს რადიო „ფრანს ინტერნის“ ერთსაათიანი გადაცემა „მსოფლიო სტუდიაში“ საქართველოს მიეძღვნა. „ფიგაროს“ სწორედ ის

ჟურნალისტი, იზაბელ ლესევერი, რომელმაც ამას წინათ მთელი საქართველო „შეძრა“, და პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩეველი რაფაელ გლუქსმანი ფრანგ რადიომსმენელს თითქმის ერთი საათის განმავლობაში უხსნიდნენ, თუ როგორ შექმნა სულ რამდენიმე წელიწადში მიხეილ სააკაშვილმა ბარბაროსული ქაოსიდან ცივილიზებული სამყარო, ბოლოს კი ქართველი ახალი ადამიანი – თავისივე ხატად. მთელ გადაცემას ნითელ ძაფად, რა თქმა უნდა, „რუსი სატანა-ოლიგარქის“ აჩრდილი გასდევდა. ჰყვებოდნენ, თუ როგორ გარეკეს საქართველოდან პუტინთან დაახლოებული რუსული მაფია, რომელსაც ტრადიციულად ქართველი განგსტერები ხელმძღვანელობდნენ, და რომ ისინი დღეს ყველანი საფრანგეთში და ესპანეთში იმყოფებიან, ევროპას ისე უყურებენ, როგორც ერთ დიდ სუპერმარკეტს, სადაც ყველაფრის მოპარვა შეიძლება. პრეზიდენტის მრჩეველმა საერთაშორისო საკითხებში ბოლოს აღნიშნა, რომ ღვინის შემდეგ, ყველაზე დიდი ექსპორტი, რასაც საქართველო აკეთებს, ეს ბანდიტები არიან, რითაც ერთობ შეაშფოთა მანამდე მხიარული წამყვანი... საფრანგეთში ოცი ათასი ქართველი ცხოვრობს, სულაც არ არის სასიამოვნო აღმოაჩინო, რომ შენი მეზობელი ქართველი სტუდენტი სინამდვილეში სისხლისმსმელი განგსტერია.

ეს ერთსაათიანი ქვეყნის მადისკრედიტირებელი რადიოკლოუნადა, სწორედ იმ დიპლომატიური სპექტაკლის ნაწილი იყო, რომელიც რვა წლის განმავლობაში, სხვადასხვა სახით თითქმის ყველა დონეზე დიდი ინტენსივობით იდგმებოდა.

კარგი იქნება, თუ ქართული საზოგადოება თავს დაანებებს კონფულსიურ რეაქციებს ყოველ ახალ კრიტიკულ შენიშვნაზე. ძველი ხელისუფლება თავის ბეკეკა დიპლომატებს სამშობლოში გამოიწვევს, ახალი კი, ბოლოს და ბოლოს, მიხვდება სიმართლის ზემოთ აღნიშნულ უცნაურ თვისებას – რომ ის გამუდმებით უნდა ამტკიცო და ამ მხრივ სერიოზულ მუშაობას შეუდგება. ■

მზე და იდეოლოგიები



ბექა ქურხული მწერალი

„დრო შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ მე – არა“
სემ ფეინფა

სიცოცხლეში ლიბერალი არ ვყოფილვარ. სხვათა შორის, ასაკის მიუხედავად – არც კომკავშირელი. მიუხედავად იმისა, რომ სასულიერო პირთა შთამომავალი ვარ, არც ორთოდოქსი მართლმადიდებელი დადგა ჩემგან – ილიას გაბრიელისაგან განსხვავებით ვერაფრით ვიპოვე მოძღვარი და არც მარხვის შენახვა გამომდის. არც მიცდია, თორემ კარგი ჰა, ეტყობა, წარმართული ფესვებიც თავისას შერება. აქედან გამომდინარე, არასოდეს ვყოფილვარ კონსერვატორი. თუმცა, ზუსტად ვიცი, მე-20 საუკუნის დასაწყისში რომ მეცხოვრა, მემარცხენე ნითლებსა და მემარჯვენე თეთრებს შორის ბრძოლაში, აუცილებლად თეთრების მხარეს ვიქნებოდი, არასოდეს დავუჭერდი მხარს III დასს, სოციალ-დემოკრატებს და პოლკოვნიკ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილსაც ჩავაკითხავდი მალრანის ტყეში და პანკისის ხეობაში. არასოდეს ვენდობოდი ინტერნაციონალურებსა და კოსმოპოლიტებს, ინტერნაციონალიზმი სულ ბოლშევიზმის შთაბეჭდილებას მიტოვებს, ხოლო კოსმოპოლიტიზმი – კოლაბორაციონიზმის. მაგრამ შეიძლება ნაციონალისტებზე და შოვინისტებზე, თუმცა, შეიძლება სულაც არ იყოს სასაცილო, თუნდაც იმიტომ, რომ ნაციონალიზმი ყოველთვის ფაშიზმის შთაბეჭდილებას ტოვებს, ხოლო შოვინიზმი, როგორც ყოჩალი ჯარისკაცი შევიკი იტყოდა, „კუბში ახარისხებულ იდიოტიზმის“ (აქვე მინდა გაგაფრთხილო, რომ მათემატიკის გაგებაში არა ვარ, სტაბილური ოროსანი ვიყავი, 8-ჯერ 7 არ ვიცი რამდენია და არც მანტერესებს. ასე რომ, კუბი, ფესვი, კათეტი, პროცენტი და ტოლფერდა სამკუთხედი სულ ფეხებზე მკიდა და ამაზე გამოვიდებაც „კუბში“ ახარისხებული იდიოტიზმი მგონია. ეს ისე, სხვათა შორის).

ასევე არ მჯერა, რომ მაჰათმა განდი ჯოჯოხეთში მოხვდება მხოლოდ იმიტომ, რომ ქრისტიანი არ იყო, ხოლო ვინმე ჩვენი ხმალამო-

ლებული ზაზა ციციშვილი – რომელმაც 1609 წელს ტაშისკარის ბრძოლაში თურქის ფაშას თავი გაადგებინა, მერე იმ ფაშას თავი წვერით დაითრია და ორი ხმლით დაერია თურქებს და ყირიმელ თათრებს – სამოთხეში.

სხვათა შორის, მაჰათმა განდი თავის ცნობილ ნიგნში „ჩემი ცხოვრება“ გულწრფელად წერს, რომ როდესაც რელიგიების შესწავლა დაიწყო, ყველაზე მეტად ქრისტიანობა არ მოეწონა: – „საშინელებაა, ღვინოს სვამენ და ხორცს ჭამენო“. სწორედ ხორცის ჭამისა და სმისთვის მოიძულა თავისი უფროსი შვილი, ჰარილ განდი. თუმცა, მე ძალიან მიყვარს ღვინოც, ხორციც და არც „ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა კრიშნა კრიშნა ჰარე ჰარე“-ზე მბურძღლავს. არ მჯერა, რომ ღმერთი შეიძლება მაიმუნში, თავგში, ძროხაში ან სპილოში განსხეულდეს და ზაზა ციციშვილისაც ძალიან



კარგად მესმის – უნდა დაერიო, მარა, აბა, რა უნდოდა თურქის ჯარს შუა ქართლში? თან წინა დღეს მღვდელი თევდორე ანამეს, მაგრამ თურქის ფაშას მოჭრილი თავის დათრევა და იმით ჩხუბი მაინც ნამეტანი იყო, ეგეთი რამე თვით გიორგი სააკაძესაც არ ჩაუდენია, რომელიც იქვე ახლოს იქნევდა თავის მძიმე და სისხლიან ხმალს. არასოდეს არ ვყოფილვარ რამე იდეით გატაცებული, არასოდეს მიძებნია ჭეშმარიტება და, მით უმეტეს, ვერ წარმომიდგენია, რომ ამ ე. წ. „ჭეშმარიტების“ გამო შეიძლება ადამიანს რამე დაუშავო ან სულაც მოკლა. ამავე დროს აბსოლუტურად არ მესმის

პაციფისტების და, საერთოდ, ძალიან არ ვენდობი არანაირ „ისტებს“ და „იდეოლოგიებს“... თვით ყველაზე „ჰუმანურს“ და „დადებითსაც“ კი. 1993 წ. გერმანიაში ყოფნის დროს ჩემი მეგობარი გოგონას წყალობით ანტროფოსოფებს, ე.წ. შტაინერისტებს გადავეყარე, რომელთაც გადაწყვიტეს შტაინერის მოძღვრებას ვეზიარებინე. სულ მშვენიერ რამებს ამბობდნენ, მაგრამ ჩემმა ექსპერიმენტულ სკოლაში გამობრძმედილმა გუმანმა ეგრევე მამცნო, რომ ეს ტიპები ცოტა ჰალაოთ იყვნენ და რამსები ჰქონდათ არეული. ეს გარეკილი და შეპყრობილი ხალხი კიდევ ბავშვობიდან არ მეგასებინა და ჰა, მომკალი. რასაც ვუყურებ ეს ნაირ-ნაირი „უფლებადამცველები“, „იდეოლოგები“, „კაცობრიობის გადამრჩენელები“, „ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მქადაგებლები“ და მაგრად უბერავენ ან მაგარი გოთვერნები არიან ან ორივე ერთად.

საშინლად მეზიზღება ყველანაირი ტირანია და ძალადობა. როგორც კი რაღაცას მაძალბებ, როცა ვხედავ, რომ სხვას აძალბებენ, ჩაგრავენ და აიძულებენ, ეგრევე იარაღზე გამიბრძის ხელი (აი, ამიტომაც არ მესმის პაციფისტების) ეგ კი არა, თავადაც რომ მიწოდეს რამის გაკეთება და მანტერესებდეს, როგორც კი რამეს დამაძალბებ ან ჩიჩინს დამიწყებ, ეგრევე დედა გაქვს ნატირები.


ამავე დროს, არ მჯერა დემოკრატის, სერ უინსტონის ყბადაღებულ გამონათქვამს რომ თავი დავანებოთ, რომელსაც ასე სიამოვნებით იმონებენ ხოლმე დემოკრატისა მტრები, იმ ოხერ და ჩვენებურ მიაჩიკოსკისაც აქვს მაგარი ნათქვამი – „დემოკრატია არის ბუბლიკი, რომლიდანაც ერთს ბუბლიკი ხვდება, მეორეს კი – ჰაერი ამ ბუბლიკის ნახვრეტიდანო...“ თუმცა მიაჩიკოსკი ლილია ბრიკს უნდა უმადლოდეს, რომ 1930 წელს თავში ტყვია დაიხალა და ასე გაასწრო ძალიან მძიმე ამბებს, თორემ ცოტა ხანში თავადაც ნახავდა, რა განსხვავებაა დემოკრატულ ბუბლიკსა და საბჭოთა პროლეტარიატის დიქტატურის „ფართო შარვლიდან“ ამოდრობილ სახრჩობელას ყულფს შორის.

აბა, რა გინდა, რისი გჯერაო, მკითხავთ და ღირსიც ვიქნები.

დილაადრიან ჩემს ფანჯარას ამ დეკემბრის უამინდობაშიც კი დიდი კამკამა მზე მოადგა. აი, ამ მზის მჯერა და კიდევ ბევრი რამის.

მაგას მერე დავეწერ რისი მჯერა... ცოტა ხნის შემდეგ!

ალბათ, დავწერ.



www.facebook.com/TalkShowLiberali

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოკ-შოუ "ლიბერალი" მსმენელს მიმდინარე მოვლენებზე, ფაქტებზე დაყრდნობილ, განსხვავებულ თვალსაზრისებს სთავაზობს.

გადაცემა მიუკერძოებლად და ობიექტურად საუბრობს ისეთ თემებზე, რომლებიც ქართულ მედიაში, როგორც წესი, მარგინალიზებულია.

გადაცემის მიზანია სადისკუსიო საკითხების სივრცის გაფართოება; იქნება ეს განათლების პოლიტიკა, ჯანდაცვა, სამართალი, ქსენოფობიის და ფუნდამენტალიზმის ნიშნები ქართულ საზოგადოებაში, უმცირესობის წარმომადგენლების უფლებების შელახვა და სხვა.

ეთერში გასვლის დრო: ყოველი სამუშაო დღე - 19:00

განმეორებით: ყოველი სამუშაო დღე - 02:00



სხანი
შოქოლადი
98.5 FM

ტოკ-შოუ "ლიბერალის" ავტორები და წამყვანები:



შორენა შავერდაშვილი



ნინო ბექიშვილი



ლიკა ზაკაშვილი



ნინია კაკაბაძე



თინა ყიფშიძე

ისევ იმ ოხი ქაჩაჩის ამბავი



კახა თოლორდავა
ჟურნალისტი

ჰო, ყველაფერი ისევ ისევე დარჩა, არაფერი შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა ყველაფერი შეიცვალა: თუ ერთ ქალაქში წვიმა მოდის, მეორეში აუცილებლად მზე ანათებს; ერთ ქალაქში მხოლოდ იმ სატელევიზიო არხებს უყურებენ და იმ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობენ, რომლებიც მხოლოდ გაბრწყინების იმედით გაჟღენთილ სიახლეებს აწვდიან მოქალაქეებს, იმ დროს, როდესაც მეორე ქალაქის მოქალაქეები მხოლოდ პირველი ქალაქის შემდგომი წარუმატებლობის იმედით ცხოვრობენ, შესაბამისად, მხოლოდ იმ სატელევიზიო არხებს უყურებენ და იმ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობენ, სადაც ასეთი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია.

ერთი ქალაქის მაცხოვრებლები მეორე ქალაქის ყოფილ მაღალჩინოსნებს იჭერენ და ასამართლებენ, დარწმუნებულები იმაში, რომ „სამართალმა პური ჭამა“, მეორე ქალაქში კი გააფთრებით აპროტესტებენ ამ დაჭერებს და ყველაფერს რევანშისტულ განწყობებს აბრალებენ, რაც ნიშნავს იმას, რომ როგორც ადრე, ახლაც, ერთ ქალაქში ისევ ყველაფერი კარგადაა, მეორეში კი – ძალიან ცუდად. ერთ ქალაქში ბედნიერები არიან, რომ პირსისხლიანი დიქტატორის უღელი მოიცვილეს, მეორეში კი გული წყდებათ რეფორმატორი მმართველის პოზიციების შესუსტებაზე და იმედით ელიან მომენტს, როდესაც ახალ მმართველს პირსისხლიანად მონათლავენ. ერთი ქალაქის მოსახლეობას მიაჩნია,

რომ მათი ქვეყანა უფსკრულის პირასაა გაყინული, მეორეში კი გადარჩენას ზეიმობენ. ერთ ქალაქში მიაჩნიათ, რომ მეორე ქალაქის მაცხოვრებლები გოიმები არიან და გოიმურ გადანყვეტილებებს იღებენ, მეორე ქალაქის მაცხოვრებლები კი დარწმუნებულები არიან იმაში, რომ პირველი ქალაქში მხოლოდ კარიერისტები, ქვეყნის მოღალატეები და დამნაშავეები ცხოვრობენ.

ერთ ქალაქში წარსულს მისტირიან, მეორეში კი წარსულის ხსენებაზე, შეშინებულები, პირჯვარს იწერენ. ერთ ქალაქში მიაჩნიათ, რომ ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი, რაც პირსისხლიანი დიქტატორის მმართველობის დროს გაკეთდა, ამოსაძირკვი და თავიდან გასაკეთებელია იმ დროს, რო-



დესაც მეორე ქალაქის მოქალაქეები ფიქრობენ, რომ შენების დრო პირველი ქალაქის მაცხოვრებლების ძალისხმევით დასრულდა. ერთ ქალაქში, როდესაც იქაური მაცხოვრებლები ერთად იკრიბებიან, მხოლოდ იმაზე საუბრობენ თუ რა უბედურ დღეში ჩავარდნენ, მეორეში კი მხოლოდ იმაზე, თუ როგორ გაუმართლათ. ერთ ქალაქში, როდესაც ადამიანები ერთმანეთს ეკითხებიან, – „როგორ ხარ?“ – პასუხი ასეთია – „ძა-

ლიან მაგრად!“ მეორე ქალაქში კი იგივე შეკითხვაზე ასე პასუხობენ, – „ჯერ არ დაუჭერისართ?!“ ერთ ქალაქში სულ ფეხებზე კიდათ, თუ რას ფიქრობენ მეორე ქალაქის მოსახლეები, მეორე ქალაქში კი ზუსტად ასევე ფეხებზე კიდათ თუ რას ფიქრობენ პირველი ქალაქის მოქალაქეები. ისინი არასდროს უსმენენ ერთმანეთს. ერთ ქალაქში დანაშაულების დონე კლებულობს და კიდევ უფრო დაიკლებს, მეორეში კი ის სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს. ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში შესირებული ადამიანები ერთმანეთს თვალებში ვერ უყურებენ.

ერთ ქალაქში მიაჩნიათ, რომ თუ კაცმა დიდი ფული იშოვა, ის ქვეყანასაც მიხედავს, მეორე ქალაქში კი მიაჩნიათ, რომ ასეთი კაცი ქვეყანას დალუპავს.

ერთ ქალაქს ისევ თავისი კუმირები ყავს, მეორეს კი – თავისი. ერთ ქალაქში გაღვიძება აღარ უხარიათ, მეორეში კი „ამოძრავების“ იმედით საგსენი იღვიძებენ. „ჩვენი ჯინი თქვენ ჯინზე ჯანიანია!“ – უყვირიან ერთი ქალაქის მოსახლეები მეორე ქალაქის მაცხოვრებლებს. „ჩვენი ჯინი თქვენ ჯინზე ჟინიანია!“ – პასუხობენ მეორე ქალაქიდან. „ჩვენი ზიზი ჭრილობაა, რომლის სიღრმეც ამინებს ოკეანეს!“ – ფიქრობენ ორივე ქალაქში, მაგრამ ხმამაღლა არაფერს ამბობენ. ორივე ქალაქში ერთმანეთს აბრალებენ მათი ქალაქი ცხოვრების დონით ბოლო რომ აღმოჩნდა ევროპაში, ორივე ქალაქში იციან, რომ როგორც დასავლეთის და აღმოსავლეთის შემთხვევაში, ისინი ერთმანეთს ვერასდროს შეხვდებიან, თუმცა ერთშიც და მეორეშიც ფეხზე წამოდგომით სვამენ მხოლოდ ერთი ქალაქის სადღეგრძელოს. ჰო, ყველაფერი ისევ ისევე დარჩა, არაფერი შეცვლილა, ამ ორ ქალაქს ისევ ერთი რამ აერთიანებს, – მონყენილობა. ■



www.ucnobifm.ge



ახალი დინამიკი

www.tv9.ge